## გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

!$ 2 !% fghbkb7 @)!@ | 189 (5779) | afcb5 #) stshb



!% ფგჰბკბლფყ
ვფ[ფკბ სფჯ,ფ4+
ჯორჯ სიმენონი
ყვითელი ძაღლი
შემდეგი — ბუალო - ნერსეჟაკი
ქალი, რომელიც სიცოცხლეს გამოასალმეს
წიგნი და გაზეთი ერთად 2,5 ლარი



რატომ მიდის ალასანია ზუგდიდში?

# სამეგრელოს ახალაიების კლანისგან დავიცავ!

გვ.2



გვ.2

## ანქვაბზე მომხდარი ტერაქტი გახსნილია

ტერაქტის მოწყობის ბრალდებით ბიზნესმენი ანზორ ბუტბა დააკავეს



## მსხალგორის ეკლესიაში ღვთისმშობლის ხატს სისხლი სდის

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ მსხალგორში მდებარე წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარში ღვთისმშობლის ხატს სისხლი სდის. ამის შესახებ რადიო „ჰერეთს“ ფაქტის თვითმხილველმა გიორგი მოსიაშვილმა აცნობა.

ფოტომასალა, რომელიც ინფორმაციას თან ერთვის, გიორგი მოსიაშვილის გადაღებულია.

ღვთისმშობლის ხატს რომ სისხლი სდის, ეს რადიო „ჰერეთს“ ნეკრესის ეპარქიის მიტროპოლიტმა მეუფე სერგიმ დაუდასტურა. იგი მომხდარს სასწაულს უწოდებს.

## ლადო პაპავა: კარგია, ხელისუფლება საელჩოებს რომ აკრიტიკებს“

გვ.4





## ივანიშვილმა თავისი ხალხი თბილისიდან რეგიონებში გაუშვა

ვის იმედად მიდის „ქართული ოცნება“ არჩევნებზე

გვ.3



## სოსო ჯაჭვლიანი: ხელისუფლებასთან კონსტრუქციული საუბარი შედეგს არ მოიტანს

გვ.4

## ნიქიერში“ საავტორო უფლებები დაარღვიეს

გვ.5

ვის ეკუთვნის ლექსი, რომელმაც პატარა ანა ქაშიბაძეს წარმატება მოუტანა

ISSN 1987-9385





## ნანა ფაჩუაშვილი: თეატრის სიყვარული ბევრ რამეს გაგაკეთებინებს“

გვ.7

## რატომ იზრდება თავდაცვის ბიუჯეტი და რაში გამოიყენებენ 70 ათას რეზერვისტს



გვ.5

ნებაყოფლობით რეზერვში წასვლას პოლიციელებსა და სამხედროებსაც აიძულებენ?!

# ანქვაბზე მომხდარი ტერაქტი გახსნილია

## ტერაქტის მოწყობის ბრალდებით ბიზნესმენი ანზორ ბუტბა დააკავეს

თეა მარხვაიძე

**აფხაზური საზოგადოება დიდი ხანია ელოდება ალექსანდრე ანქვაბის ამფეთქებლების დაკავებას. ლოდინი რამდენიმე წელს გაგრძელდა. ამასობაში აფხაზთა ლიდერს უკვე ექვსი ტერაქტი მოუწყვეს. აქამდე არც ერთი მათგანი გამოძიებული არ იყო. შესაბამისად, ძნელი იყო იმის მტკიცება, იყო თუ არა ეს ტერაქტები ერთმანეთთან კავშირში. ასევე უცნობი დარჩა, ვინ მტრობდა აფხაზთა ლიდერს.**

მტრები მას საკმაოდ მრავლად ჰყავს. განსაკუთრებით ახლა მოუმრავლდა მტერი. ის კრიმინალებს სერიოზულად დაუპირისპირდა. ბოლო ტერაქტი, ექსპერტთა მოსაზრებით, სწორედ კრიმინალურმა სამყარომ განახორციელა. ტერაქტის ერთ-ერთ ორგანიზატორად დედ ხასანიც კი იყო მიჩნეული, რომელსაც აფხაზეთის აწ გარდაცვლილ პრეზიდენტ ბაღაფშთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. მას კარგი ნაცნობობა აკავშირებდა აფხაზური ეკლესიის წინამძღოლ ბესარიონ აპლიასთანაც. ანქვაბს კი კრიმინალური ავტორიტეტები გულზე არასდროს ეხატა.

რიგით მეექვსე ტერაქტამდე ცოტა ხნით ადრე მოკლეს აფხაზი კრიმინალი ვალმერ ბუტბა, რომელსაც ძალიან დიდი გავლენა ჰქონდა და ადგილობრივ ხელისუფლებას პრობლემებს უქმნიდა. არსებობს მოსაზრება, რომ შესაძლოა თებერვალში ანქვაბს ვალმერ ბუტბას საახლობლო დაესხა თავს.

ანქვაბზე განხორციელებული ტერაქტების სერიას შესაძლოა ფარდა აეხადოს. ამ კვირაში დაიჭირეს ხალხი, რომლებიც ანქვაბის აფეთქებაში არიან ეჭმიტანილი.

აფხაზური მედიის ცნობით, 12 აპრილს, ძალოვანი უწყებების ერთობლივი მუშაობის შედეგად, შესაძლებელი გახდა 6 ადამიანის დაკავება, რომლებიც 22 თებერვალს ალექსანდრე ანქვაბზე განხორციელებულ თავდასხმაში არიან ეჭვმიტანილი.

— დაკავებულთა მიმართ საგამოძიებო-ოპერატიული ღონისძიებები ტარდება.

ეჭვმიტანილთა საცხოვრებელი ადგილის ჩხრეკისას აღმოჩენილი და ამოღებულია დიდი რაოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი: ავტომატები, პისტოლეტები, ხელის ყუმბართმტყორცნი, ღამის ხედვის აპარატურა, დიდი რაოდენობით საბრძოლო მასალა და ასევე ნარკოტიკული საშუალებები, — იუწყება „აპსნიპრესი“.

როგორც რუსული მედია აფხაზეთის პროკურატურის წყაროებზე დაყრდნობით იუწყება, დაკავებულთა შორის არის ბიზნესმენი ანზორ ბუტბა, — აფხაზი ბიზნესმენის ბესლან ბუტბას ნათესავი, რომელიც, თავის მხრივ, ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებში ანქვაბის მოწინააღმდეგის, სერგეი შამბას მხარდამჭერია.

რუსული გაზეთები ავრცელებენ პროკურატურის წარმომადგენლის განცხადებას, რომლის თანახმადაც, ანქვაბმა თავდასხმის შემკვეთების სახელები იცოდა.

— ის გაფრთხილებებს იღებდა ბიზნესმენებისგან, რომლებიც უკმაყოფილო იყვნენ მისი ბრძოლით ჩრდილოვან ეკონომიკასთან, — იუწყება „ლაიფ ნიუსი“.

გაპრეზიდენტების შემდეგ კრიმინალებთან ერთად ბაღაფში ბიზნესმენებსაც დაერია. როგორც ამბობენ, მის გამო აფხაზეთი ბევრმა ბიზნესმენმა დატოვა.



ტერაქტში ეჭვმიტანილების დაკავებას სოხუმში დიდი ამბები მოჰყვა. აფხაზი ბლოგერები ამ თემაზე აქტიურად წერდნენ. სოხუმში კი დაკავებულთა ახლობლებმა საპროტესტო აქცია მოაწყვეს. ისინი ტერაქტში ეჭვმიტანილების სასწრაფოდ გათავისუფლებას მოითხოვენ.

ყველაზე დიდი რეზონანსი ანზორ ბუტბას დაკავებას მოჰყვა, რომელიც, რუსული და აფხაზური მედიის ცნობით, ბესლან ბუტბას ნათესავი უნდა იყოს.

ამ ინფორმაციას არ ადასტურებს გაზეთ „ჩეგემსკაია პრავდას“ რედაქტორი ინალ ხაშიგი.

— ანზორ და ბესლან ბუტბები მხოლოდ მოგვარეები არიან. ანზორ ბუტბა წარმოშობით ბზიფის ხეობიდან არის, ბესლან ბუტბა კი — აფხაზეთის დასავლეთ ნაწილიდან. ისინი სისხლით ნათესავები არ არიან, — განაცხადა „ეხო კავკაზთან“ საუბარში ხაშიგმა,

რომელიც ამბობს, რომ ანზორ ბუტბა საკმაოდ მსხვილი ბიზნესმენია. ხაშიგს არ შეუძლია იმის თქმა, თუ რა შეიძლება ჰქონოდა ბუტბას ანქვაბთან გასაყოფი.

— მე არ ვფლობ ინფორმაციას, რატომ მტრობდა ან მტრობდა თუ არა ბუტბა ანქვაბს. პრეზიდენტის მტერი რომ იყო, ამას დიდი მიზეზი არ სჭირდება. ეს ხომ მაინც კავკასიაა, — ამბობს „ჩეგემსკაია პრავდას“ რედაქტორი.

ინალ ხაშიგი იმასაც იხსენებს, რომ ანქვაბსა და ანზორ ბუტბას პატარა უთანხმოება გასულ წელს მოუვიდათ.

— იმ დროს ალექსანდრე ანქვაბი ჯერ კიდევ აფხაზეთის ვიცე-პრეზიდენტი იყო. ანზორ ბუტბას უნდოდა ლიცენზია, რათა კარიერი აემუშავებინა. ეს კარიერი გუდაუთასთან ახლოს მდებარეობს. ანქვაბმა ლიცენზია არ მისცა. მათ შორის გარკვეული უთანხმოება მოხდა, — ამბობს ხაშიგი და დასძენს, რომ ეს არ შეიძლებოდა ტერაქტის მოწყობის მიზეზი გამხდარიყო.

რაც შეეხება სხვა დაკავებულებს, როგორც ხაშიგი ამბობს, ისინი ცნობილი პირები არ არიან და მათი ვინაობის შესახებ მხოლოდ მათი ოჯახის წევრებმა იციან.

ნამდვილად საინტერესოა, როგორ დასრულდება ამ საქმის გამოძიება. საინტერესოა ისიც, ვის შესტენიან წინა 6 ტერაქტს. რომლებიც ანქვაბზე წინა წლებში განხორციელდა.

აფხაზურ პრესაში მაშინ იწერებოდა, რომ ანქვაბმა კარგად იცოდა, ვინ იდგა მისთვის მოწყობილი ტერაქტების უკან. ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ ამაში რუსეთის ხელი ერია.

რუსები ანქვაბს ბოლომდე მაინც არ ენდობიან. ის მათთვის თავიდანვე მიუღებელი ფიგურა იყო.

წინა ტერაქტების დროს ერთ-ერთ ვერსიად ქართული კვალიც სახელდებოდა. ქართველების მონაწილეობა არც ერთხელ არ დადასტურებულა. ბოლო ტერაქტის დროს კი ითქვა, რომ ამ დანაშაულში ქართული კვალი არ იკვეთებოდა.

ქართველი და აფხაზი ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ ბოლო ტერაქტი კრიმინალების მიერ იყო მოწყობილი. კრიმინალებმა ანქვაბი რამდენჯერმე გააფრთხილეს კიდევაც.

კრიმინალები, თავის მხრივ, ანქვაბმაც გააფრთხილა. მან პირობა დადო, რომ რესპუბლიკაში წესრიგს დაამყარებდა. აფხაზეთის მოსახლეობამ ის პრეზიდენტად სწორედ ამიტომ აირჩია.

ის წლების განმავლობაში მუშაობდა სამართალდამცავ სტრუქტურებში. ამ ხნის განმავლობაში მან წესრიგის მოყვარული კაცის სახელი მოიპოვა. აფხაზური პრესა წერდა, რომ კომუნისტების დროს ანქვაბმა საკუთარი მამაც კი დააკავა. ზოლოტნიკი (ასე ერქვა მამას) თურმე გადაჭარბებული სიჩქარით მართავდა მანქანას.

# სამეგრელოს ახალაიების კლანისგან დავიცავ!

## რატომ მიდის ალასანია ზუგდიდში

ქეთი ხომერიკი

რას პასუხობს დიმიტროვის განცხადებას და როგორ აპირებს სამეგრელოს ახალაიების კლანისგან დაცვას? ,,ახალ თაობას“ ,,ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია ესაუბრა.

*— მაშინ, როდესაც თქვენ ირწმუნებით, რომ ხელისუფლება სამეგრელოში უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებს ქმნის, დიმიტროვი აცხადებს, რომ მონიტორინგის მისიას ასეთი ფორმირებები არც კი შეუნიშნავს...*

— მე გადამოწმებული ინფორმაცია მივაწოდე უშიშროების საბჭოს, რომელიც არის რეალური და იქ კონკრეტული მონაცემებია ადგილებისა და გვარების მიხედვით. ამას პრევენციული ხასიათი ჰქონდა და შეასრულა კიდეც ეს ამოცანა, რადგან სწორედ ამის მერე დაიწყო სააკაშვილმა და თავდაცვის სამინისტრომ ლაპარაკი ამაზე და სამართლებრივი ჩარჩოების შექმნა რეზერვისთვის.

*— ქუთელია უარყოფს, რომ ჯერ ტერიტორიული რეზერვი შეიქმნა და სამართლებრივი ბაზის მოწესრიგება შემდეგ დაიწყო...*

— არ იყო სამართლებრივი ბაზა მოწესრიგებული, რადგან არც პრეზიდენტის განკარგულება არ იყო და არც თავდაცვის მინისტრის ბრძანებები და რაც მნიშვნელოვანია, საერთოდ ბიუჯეტში არ იყო ეს. თქვენ ჟურნალისტი ხართ და შეგიძლიათ შეამოწმოთ ეს. ასე რომ, ეს ყველაფერი არის ტყუილი. მათზე იყო ძალიან სერიოზული ზეწოლა საერთაშორისო მხრიდან, თვითონ ქართული საზოგადოების მხრიდან და მოუწიათ აღიარება, რომ ეს ჯგუფები არის, რადგან ვერსად ვერ წაუვიდოდნენ ამ ჯგუფების არ აღიარებას. ახლა უკვე ამას დაარქვეს ნებაყოფლობითი რეზერვი და რაც მთავარია, ეს ხალხი უკვე დარეგისტრირდება, ვისაც უნდა ნებაყოფლობით რეზერვში ყოფნა და დარეგისტრირებული, აღრიცხული ადამიანების გამოყენებას სააკაშვილი ასე იოლად ვერ შეძლებს სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ, რაც ჰქონდათ კიდეც ჩაფიქრებული, მაგრამ მე ამ საქმეს, რა თქმა უნდა, არ შევეშვები. პირადად კონტროლზე მექნება აყვანილი და თუკი გაჩნდება ახალი ფაქტები, იმ წუთში ამაზე რეაგირებას გავაკეთებ. რაც შეეხება ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას, თავად ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას არც უარყვია და არც დაუდასტურებია ეს ინფორმაცია. მე გუშინ მქონდა სატელეფონო საუბარი დიმიტროვთან, რომელმაც აღნიშნა, რომ არ უთქვამს არსად იმის შესახებ, რომ ალასანიას ინფორმაცია ეჭვს იწვევსო, ასეთი რამ არ განმიცხადებიაო პირადად მითხრა. აქედან გამომდინარე, გამიკვირდა, რომ ასეთი დაუზუსტებელი ინფორმაცია გაუშვა ერთ-ერთმა სააგენტომ. ფაქტი ის არის, რომ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია არც უარყოფს და არც ადასტურებს.

*— ის ფაქტი, რომ სადამკვირვებლო მისიის ფუნქცია ასეთი ფორმირებების შემჩნევაა, ცხადია. რატომ ვერ ამჩნევს?*

— შეიძლება ვერ ამჩნევენ, ეს მათ ჰკითხეთ, ჩემი გადასაწყვეტი ეს არ არის. მე, კონკრეტული ინფორმაცია მივაწოდე უშიშროების საბჭოს, მათ არ გადაამოწმეს, მაგრამ აღიარეს, რომ ასეთი ფორმირებები არსებობს და რაღაში სჭირდება ამას დიმიტროვის დადასტურება. თავად უშიშროების საბჭომ აღიარა, რომ გვყავს ეს ფორმირებები, მაგრამ ეს არის რეზერვი, თავს იმართლებს. და თქვენ რატომ არ აღნიშნეთ, არ ვიცი, იმ განცხადებაში ნათქვამია, რომ თუ არ არის კომუნიკაცია ხელისუფლებასა და ევროკავშირის მონიტორინგს შორის, ეს ძალიან ცუდიაო, თქვენ მარტო ერთი მონაკვეთი მოიტანეთ მისი გამოსვლის. ეს არ რის მთავარი საკითხი, ეს ინციდენტი ამოწურულია დიმიტროვთან დაკავშირებით. იმას, რასაც თქვენ ვერ ამჩნევთ, ამჩნევს მთელი სამეგრელო, თქვენ თქვენი კოლეგის მიერ გადაღებულ ვიდეომასალასაც არაფრად მიიჩნევთ, სადაც რამდენიმე დაჯგუფებული ადამიანი ერთად იყო ბინაში შესული? მაინტერესებს თქვენი აზრი.



*— თქვენ რა იცით, რას ვერ ვამჩნევ, ან ვამჩნევ, მე ვარ ჟურნალისტი და კითხვები უნდა დავსვა, თქვენ კიდევ მიპასუხოთ.... გამოდის, ევროკავშირის მისია არ არის სანდო?*

— თქვენ გინდათ მათქმევინოთ ის, რაც მე არ მითქვამს. თქვენი ამოცანა ახლა არის, რომ ვთქვა, სანდო არ არის ევროკავშირის მისია და მე არ ვიტყვი ამას. ევროკავშირის მისია არის ძალიან მნიშვნელოვანი, მას აქვს კონკრეტული ამოცანა, რომ პრევენცია გააკეთოს ესკალაციის ქართულ-აფხაზურ ადმინისტრაციულ საზღვარზე და ქართულ-ოსურ ადმინისტრაციულ საზღვარზე.

*— ჰოდა, ხომ უნდა შეენიშნა ეს ფორმირებები?*

— არა, ეგ სხვა რამეა, შეიძლება ისეთ ზონაში არიან ისინი, სადაც მათი პასუხისმგებლობის ზონა არ არის. მე მათ მაგივრად კომენტარს არ გავაკეთებ, ჰკითხეთ მათ.

*— ისე, კარასინის განცხადება მოჰყვა თქვენს განცხადებას. მისი თქმით, ხელისუფლება შეიარაღებულ ფორმირებებს რომ ქმნის, ამას ქართველი ოპოზიციონერებიც ადასტურებენ... რამდენად მომგებიანი იყო თქვენი განცხადება კოალიციისთვის?*

— მე, სიმართლეს ვამბობ, ჩემი მთავარი ამოცანაა ხალხმა იცოდეს სიმართლე. 90-იან წლებში ჩვენ ასე ველოდებოდით, ხმას არ ვიღებდით, შეიქმნა შეიარაღებული ფორმირებები და მერე ერთმანეთი დავხოცეთ. ამის განმეორება რომ არ მოხდეს ჩანასახშივე, როდესაც სააკაშვილმა გადაწყვიტა, რომ შექმნას ძალები, რომელსაც დაუპირისპირებს სამოქალაქო საზოგადოებას, ეს უნდა იყოს აღმოფხვრილი. თქვენ რა, გიკვირთ სააკაშვილის მიერ საკუთარი ხალხის მიმართ ძალის გამოყენება? გაიხსენეთ, რა ხდებოდა 2009 წელს, გაიხსენეთ, 2008 წლის საკუთარი არჩევნების წინ, როგორ ჩაცხრილა ავტობუსი გალის რაიონში, რომელიც მის მიერ იყო ინსცენირებული და ვითომ აფხაზების მიერ იყო ჩაცხრილული. სააკაშვილის მთელი ხელისუფლება დამყარებულია ძალასა და შიშზე. შიში რომ გავტეხოთ, თავიდანვე უნდა მივუთითოთ სააკაშვილის იმ მეთოდებზე, რის შედეგადაც შეიძლება ეს ადამიანები, ხშირ შემთხვევაში პატრიოტი ქართველები, გამოიყენონ მეორე პატრიოტი ადამიანების წინააღმდეგ. კარასინი ყოველთვის აკეთებს ასეთ განცხადებებს, 12 წლის განმავლობაში. აქედან გამომდინარე, მე არაფერ შუაში ვარ და ეს არის ყურითმოთრეული. ჩვენ ვსაუბრობთ შედეგებზე — მთავარი, რაც აძლევს ესკალაციის მიზეზს, არის სააკაშვილის გაუთვლელი ძალადობრივი საქმიანობა. სააკაშვილი, რომელიც იძახის ყოველდღე, რომ ქმნის რეზერვს, გამოდის სამხედრო რიტორიკით, რომელსაც აბსოლუტურად საფუძველი არ აქვს. ეს არის პრობლემა. ასე რომ, მე, როგორც პატრიოტი ადამიანი, როგორც მოქალაქე, ვიქცევი სწორად, როდესაც პატრიოტი ადამიანები მაწვდიან განცხადებას, გამოვიტან სააშკარაოზე, ეს ჩემი სამოქალაქო ვალია და ისიც, რომ დავუპირისპირდე იმ კლანს, რომლის ხელითაც სააკაშვილი მართავს, აშინებს სამეგრელოს რეგიონს, ეს არის ახალაიების კლანი.

*— სამეგრელოს ახალაიების კლანისგან განსაკუთრებით სჭირდება დაცვაო, აცხადებთ, ამას როგორ მოახერხებთ? როდის გადადიხართ სამეგრელოში?*

— გადასვლას ვაპირებ თვის ბოლოს. იქ ჩავდივარ იმისთვის, რომ ახლოს ვიყო ჩემს მოქალაქეებთან, მათი ცხოვრებით ვიცხოვრო, განსაკუთრებით, მშობლიურ სამეგრელოში, რომელიც მართლაც ახალაიების კლანს აქვს აყვანილი და ყველა სფეროს აკონტროლებს. ჩემი მთავარი ამოცანაა ველაპარაკო ჩემს მოქალაქეებს და ახალაიების ძალადობას გავცე შესაბამისი პასუხი ადგილზე სამართლებრივ ფორმებში. ასე რომ, რა თქმა უნდა, რეაგირებას მივცემ ძალადობის ყველა ფაქტს.

*— იმავე ოლქში აპირებთ კენჭისყრას?*

— ჯერ ამაზე ნაადრევია ლაპარაკი.

*— ქდმ-ის ინიციატივა მინდა შემიფასოთ...*

— ეს არის აბსურდი. ეს არის დაკვეთილი ნაციონალური მოძრაობის მხრიდან საკუთარ პარტიაზე - ქდმ-ზე. ეს კონსტიტუცი-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ივანიშვილმა თავისი ხალხი თბილისიდან რეგიონებში გაუშვა

## ვის იმედად მიდის „ქართული ოცნება“ არჩევნებზე

ნათია ხურცილავა

**კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერები რეგიონებში ჩასვლას და პოლიტიკური პროცესის იქ წარმართვას აპირებენ. ირაკლი სესიაშვილი წინასაარჩევნო პერიოდს თელავში გაატარებს და „ქართული ოცნების“ ოფისს უხელმძღვანელებს. რამდენად გაამართლებს ეს ტაქტიკა, არჩევნების შემდეგ გამოჩნდება.**

**ინტერვიუ ქართული ოცნების“ წარმომადგენელ ირაკლი სესიაშვილთან:**

*— ბატონო ირაკლი, კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერები თავიანთი წარმოშობის ადგილებს უბრუნდებიან თუ შეიძლება ასე ითქვას, რატომ? ეს არის ახალი ტაქტიკა, რომელიც წინასაარჩევნოდ შეიმუშავეთ?*

— პოლიტიკოსობა არ ნიშნავს, რომ დედაქალაქში იჯდე და მუდმივად ტელეკამერების წინ პოზირებდე. პოლიტიკოსობა, სუფთა პოლიტიკის მართვა ხალხთან ურთიერთობას ნიშნავს. სწორედ მოქალაქეებისგან უნდა ეცნობოდე საჭირბოროტო საკითხებს. იმას, რაც ქვეყანას და ხალხს აწუხებს. მათთან ერთად უნდა განიცდიდე პრობლემებს და მათთან ერთად უნდა ფიქრობდე ამ პრობლემების გადაწყვეტის გზების ძიებას. ხშირად მქონია შემთხვევა, როდესაც ადამიანებთან ურთიერთობისას ბევრი რამ შემიძენია მათგან. ამის საფუძველზე გაცილებით გონივრულ გადაწყვეტილებას იღებ. ეს არის ერთი მხარე ამ გადაწყვეტილების, რაც შეეხება პოლიტიკურ გადაწყვეტილებას, რეგიონებში ვითარება გაცილებით რთულია. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს: პირველი, ხელისუფლებას ოკუპირებული აქვს ძირითადი მედია საშუალებები, კონტროლირებადი ტელევიზიები მოსახლეობის ზომბირებას ეწევა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. ერთი მხრივ, მოსახლეობის დეზინფორმირებას ახდენს შავი პიარის ელემენტებით და ამ პოლიტტექნოლოგიებით ხელისუფლება ძალაუფლების შენარჩუნებას ცდილობს. ხელისუფლება მთლიანად სამართლებრივი ჩარჩოდან არის გამოსული.

*— რას გულისხმობთ?*

— მაგალითად, დარჩიაშვილს ვუსმენდი და საუბრობდა, მოქალაქეობა რომ არ მისცეს ბიძინა ივანიშვილს, ეს იურისტების დასკვნა არისო. როგორ ფიქრობთ, ბიძინა ივანიშვილს მოქალაქეობა მისცეს ან არ მისცეს, ეს საკითხი იურისტებმა გადაწყვიტეს? ან ეს სამართლებრივი საკითხია? არა, რასაკვირველია. ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება და ეს ყველამ კარგად იცის. სხვა მაგალითიც შემიძლია დავასახელო, თუ რატომ არის სამართლებრივი ჩარჩოდან გამოსული, მთელი ძალოვანი უწყება, პოლიცია, უშიშროება, სოდი, კუდი, გადასულია პოლიტიკური ოპონენტების თვალთვალზე, ზეწოლაზე, მოსახლეობის დაშინებაზე.

*— კონკრეტული მაგალითი შეგიძლიათ გვითხრათ?*

— ახლა „ქართული ოცნების“ ოფისში ვარ და გარეთ რამდენიმე მანქანა დგას, რომელიც მუდმივად გვითვალთვალებს. მაგალითად, სხვადასხვა სოფლებში, კონკრეტულად ახმეტაში, გაზეთებს არიგებენ, ჯერ მათ დასდევენ, რომ არ დაარიგონ გაზეთები, მერე ართმევენ, მოქალაქეებს კითხვას უკრძალავენ. მე, რიგითი მოქალაქე, რომელიც საშემოსავლოს ვიხდი ჩემი გადასახადებით, ვქირაობ ამ ადამიანებს, რომ დაიცვან ჩემი, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქის უსაფრთხოება. ეს ადამიანები კი მითვალთვალებენ. დღეს ძალოვანი უწყებები პოლიტიზირებულია, ისინი პოლიტიკურ ძალაზე, ნაციონალურ მოძრაობაზე მუშაობენ, თუ შეიძლება ასე ითქვას. ეს უკვე აღარ არის პოლიტიკური პარტია. წარმოუდგენელია მას პოლიტიკური პარტია ეწოდოს. ეს არის მიხეილ სააკაშვილი და მისი პოლიტიკური მაფია. პოლიტიკური ორგანიზმი არ არის ნაციონალური მოძრაობა. ის სახელმწიფოს ხარჯზე, სახელმწიფოს რესურსებით ცდილობს სააკაშვილს და მის კლანებს ძალაუფლება შეუნარჩუნოს.

*— თქვენ საუბრობთ შემოტევაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა რეგიონებში, მაგალითად, კონტროლის პალატის მხრიდან, მაგრამ რამდენად შეძლებთ ამას დაუპირისპირდეთ?*

— იმ პირობებში, როდესაც რეგიონებში ვითარება რთულია, მოსახლეობის ტოტალური დეზინფორმირება ხდება, როდესაც ადამიანებს უკრძალავენ „გლობალტივი“-ს, „მე-9 არხს“, „მაესტროს“ უყურონ, როდესაც მოსახლეობას ძალოვანი უწყებების თანამშრომლები ატერორებენ, რთულია დედაქალაქიდან ადევნო თვალყური ამ ყველაფერს. ასეთ არათანაბარ პირობებში ჩვენი ამოცანაა, რომ მოსახლეობასთან უშუალო კონტაქტი გვქონდეს. ერთი მხრივ ადამიანები, რომლებსაც ამ ქვეყნის ბედი ანაღვლებთ და ადეკვატურად აფასებენ შექმნილ ვითარებას, ძალიან ბევრი თავისი ნებით მოდის, რადგან ყელში ამოუვიდათ დიქტატორული მმართველობა. ამ ადამიანების სურვილია, რომ ჩვენგან იმედები გაიმყარონ, რომ ამ ქვეყანას ეშველება და ეს ხელისუფლება რეალურად შეიცვლება. ამისთვის სასაუბროდ მოდიან და ამიტომ იქ უნდა იყო არა როგორც რიგითი პოლიტიკოსი, არამედ გარკვეული წონის მქონე. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მეორე, მნიშვნელოვანი საკითხი ის არის, რომ ჩვენ თავად უნდა გავიდეთ მოსახლეობასთან. ადამიანებს უნდა შევხვდეთ, იმათ, ვინც დეზინფორმაციის მსხვერპლი არის. რეალურად უნდა ავუხსნათ, რა ხდება. მათ შორის უნდა მოვიშველიოთ სტატისტიკა, კონკრეტული ფაქტები. ამ ადამიანებს პირველ რიგში უნდა ვუთხრათ, რისთვის მოვდივართ და რატომ მოვდივართ? ბიძინა ივანიშვილმა, რომელსაც არაფერი აკლდა და სიკეთის თესვას თავისუფლად გააგრძელებდა, ამ ყველაფერზე უარი თქვა და ამ ბრძოლაში ჩაება. ესეც უნდა ავუხსნათ ხალხს რატომ? პირველ რიგში, უნდა ვუთხრათ, რას და როგორ ვაპირებთ. ხელისუფლება შავ პიარს იყენებს, როდესაც ბიძინა ივანიშვილის განცხადებას ციტირებს დემოკარტიის შექმნასთან დაკავშირებით, რომელიც ევროპას გააკვირვებს.

*— ბატონი ივანიშვილის ამ ფრაზას მართლაც მოყვა არაერთგვაროვანი რეაქციები...*

— პირდაპირ გეუბნებით, მართლაც იკვრება ისეთი გუნდი, რომელსაც რეალურად შეუძლია იმაზე უკეთესი სახელმწიფო შექმნას, ვიდრე ეს ჩვენს ოცნებაში წარმოგვიდგენია. ამას როგორ გავაკეთებთ და როგორ მივაღწევთ ასეთ საქართველოს, ეს უნდა ავუხსნათ ადამიანებს. რეგიონში თითოეული სოფლის მდგომარეობა შევისწავლეთ. ასევე პოტენციალს შევისწავლით და თითოეულ სოფელთან მიმართებაში გვექნება, როგორც სისტემური მიდგომა, თუ როგორ უნდა შეიცვალოს სახელმწიფო, ასევე, როგორ აისახება ის თითოეულ სოფელზე, დასაქმების პრობლემა არის უმთავრესი და უმტკივნეულესი, რომელიც ადამიანებს ყოველდღიურად აწუხებთ. ეს არის უდიდესი პრობლემა. ბიძინა ივანიშვილმა თავის ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა, როდესაც მე მილიარდი შევთავაზე სააკაშვილს სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის, მან უარი განმიცხადაო. ვერ მივხვდი, რატომ მითხრა უარიო, ახლა ვხვდები, რატომ მითხრა უარი. წელში გამართული გლეხი, რომელიც მილიარდიანი ინვესტიციის შედეგად მართლაც გაიმართებოდა წელში და საკუთარი ოჯახის გამომკვებიც იქნებოდა და განვითარებასაც შეძლებდა, ასეთი წელში გამართული გლეხი ყოველთვის არის დამოუკიდებელი. ამ დროს მას მეტი მოთხოვნაც უჩნდება თავის ხელისუფლების მიმართ. ასეთი გლეხების, ზოგადად ასეთი ადამიანების ეშინია სააკაშვილს. იმიტომ არის, რომ ადამიანები სოციალურად არიან გაჭირვებული, სოციალური სიდუხჭირე ფონად სჭირდებათ, რადგან პატარა დახმარებაც კი, მაგალითად, 20-30 ლარიან ვაუჩერსაც კი სააკაშვილი იყენებს, როგორც პოლიტიკური მოქრთამვის ელემენტს. მეტიც, რამდენადაც შეხება მაქვს რაიონებთან, ადამიანებს მინიმალური ხელფასი აქვთ. მაგალითად, თელავში, მუნიციპალიტეტში ვინც მუშაობს, მუზეუმში თუ სხვაგან, მინიმალური ხელფასი აქვთ.



*— მაგალითად?*

— 200-300 ლარი. თანაც მაქსიმუმს გეუბნებით. ამ ადამიანებს ამის დაკარგვისაც კი ეშინიათ. ის ინვესტირება რომ განხორციელებულიყო თუნდაც სოფლის მეურნეობაში, ეს ადამიანები წელში გაიმართებოდნენ და არ იქნებოდნენ დამოკიდებული იმაზე, რომ 200 და 300 ლარის გულისთვის ხმას ვერ იღებენ. ეშინიათ სამსახური არ დაკარგონ, მაშინ, როდესაც ეს თანხა მათ გადასახადებშიც კი არ ყოფნით. ასეთი ვითარებაა შექმნილი. ჩვენ ამ ვითარებას ადეკვატური პასუხი უნდა გავცეთ, ეს ჩვენი ვალდებულებაა.

*— რა იქნება ადეკვატური პასუხი?*

— ადეკვატური პასუხი იქნება სოფლის მეურნეობის განვითარება, ჯანდაცვის სისტემის სრული გამართვა, განათლების სფეროს განვითარება და ხელშეწყობა, დასაქმების პრობლემის გადაჭრა.

*— ასეთი დაპირებები ხშირად მოგვისმენია?*

— ეს პრიორიტეტები არ არის ცრუ დაპირებები, რომელსაც სააკაშვილი მუდმივად აჟღერებს. ხელისუფლება, ერთი მხრივ, სამართლებრივი ჩარჩოდან არის გამოსული და მეორე მხრივ, სიყალბეზე დგას, რომლის ტირაჟირებაც ხდება. მუდმივად ხდება მოსახლეობის მოტყუება, მერე ამ ტყუილებს კონტროლირებადი მედია საშუალებებით ამყარებენ, ე.წ სახელისუფლო ექსპერტები, რომლებიც თავს უკრავენ ამ ყალბ დაპირებებს. ერთი ყალბი დაპირება მეორეთი იცვლება, მეორე — მესამეთი და ასე გრძელდება. ამ ადამიანებს, რომლებსაც სხვა არაფერი არ დარჩენიათ თუ არა შეჰყურონ უფალს და იმედით იყვნენ, საბოლოოდ ცრუ დაპირებების მსხვერპლნი ხდებიან. მახსოვს, ადგილობრივი არჩევნების დროს, 2010 წელს ხელისუფლება მოსახლეობას უამრავი პრობლემის მოგვარებას პირდებოდა. საბოლოო ჯამში მივიღეთ ის, რომ არჩევნები დამთავრდა, ხელისუფლებამ ყველაფერი გაინაღდა და მეორე დღესვე დაიწყო ტრანსპორტის გაძვირება, წყლის გაძვირება, დენის გადასახადის მიბმა ნაგვის გადასახადზე, მობილურიდან გადასახადის აღება სასწრაფოსა და სახანძროზე მოგვემსახურება თუ არ მოგვემსახურება. ყველაფერზე გადასახადი დააწესეს, მაშინ როდესაც, სააკაშვილმა თქვა, რომ გადასახადები მხოლოდ რეფერენდუმის გზით უნდა შეიცვალოსო. ჯარიმების გაზრდა მოინდომეს, ფული ხომ უნდა ამოიღონ, რომ პოლიტიკურად გაუსწორდნენ ოპონენტებს.

*— რა გარანტია აქვთ ამ ქვეყნის მოქალაქეებს, რომ ივანიშვილის გამარჯვების შემთხვევაშიც არ მოხდება იგივე, რომ არ გაიზრდება გადასახადები?*

— ამ კითხვაზე ძალიან მარტივია პასუხი. დღეს, ვინც ხელისუფლებაშია, მათ ძალიან კარგად ვიცნობ, ისინი მართლა ჯიბე გაღლეტილები მოვიდნენ, როგორც ცოტა ხნის წინ სააკაშვილმა თქვა და მოვიდნენ ამ ქვეყნის გასაძარცვად. დღეს ამ კლანებს, ფაქტობრივად, ხელში აქვთ ჩაგდებული მთელი ქვეყნის ბიზნესი. კატასტროფაა ისიც, რომ ეს ფული არ ბრუნავს, მოპარულ ფულს ვერ აჩენენ და ქვეყნის ფარგლებს გარეთ მიაქვთ. ესენი მოვიდნენ იმისთვის, რომ ხალხი გაეძარცვათ და სახელმწიფო გამოეყენებინათ. რაც შეეხება ჩვენს გუნდს, ამ გუნდს სათავეში ღირსეული ადამიანი — ბიძინა ივანიშვილი უდგას, რომელიც მოდის არა იმისთვის, რომ ამ სახელმწიფოს ხარჯზე იცხოვროს ან გამდიდრდეს, პირიქით. მოდის იმისთვის, რომ ამ სახელმწიფოს მისცეს ის, რაც თავად აქვს მიღებული. მისი ხასიათიდან, მისი ლიდერის თვისებებიდან გამომდინარე პირდაპირ გეუბნებით, არაერთხელ უთქვამს, რომ ის კორუფციას ვერ შეეგუება, იმ ადამიანს ვერ აიტანს, ეს იქნება მისთვის პირველი მტერი.

*— ასეთი საუბრები გაქვთ?*

— რა თქმა უნდა. ეს მას ღიადაც განუცხადებია. გარდა ამისა, ამ ადამიანმა თავისი ცხოვრებით დაამტკიცა, რომ მას ქვეყნისთვის შეუძლია სიკეთის შექმნა. ივანიშვილი რასაც ამბობს, მას ყოველთვის აკეთებს. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ეს სუბიექტურია და ინდივიდზე დაყრდნობილი. ბატონი ბიძინას გარშემო ვხედავ ადამიანებს, რომლებიც მთელი გულითა და სულით არიან მოწოდებული, რომ ბოლოს და ბოლოს, ამ სახელმწიფოს ჩამოყალიბება დასრულდეს. ჩადგეს განვითარების ნორმალურ, დასავლურ კალაპოტში და შემდეგ უკვე განვითარების ნახტომს ვერაფერი შეაჩერებს. მეტიც, სირცხვილია ასეთი კულტურის, ისტორიის მატარებელი ქვეყანა და მოსახლეობა მუდმივად ასეთი კატაკლიზმების პირობებში ცხოვრობდეს. ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უნდა ავიღოთ პასუხისმგებლობა ჩვენი წინაპრებისა და შთამომავლების წინაშე.

*— როგორც ჩანს, ამ პასუხისმგებლობის აღება არც ისე მარტივი იქნება, რადგან პრეზიდენტმა პარლამენტში განაცხადა, რომ ის ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ გაიმარჯვოს ამ არჩევნებზე. თუ არჩევნები საკონსტიტუციო ვადებში ჩატარდა, ძალიან ცხელი შემოდგომა გვექნება. რას ელოდებით?*

— სააკაშვილი ძალაუფლებას რომ ჩაებღაუჭება და ყველანაირ უმსგავსობაზე წავა, ეს ფაქტია, რადგან ამის მოწმენი არაერთხელ ვყოფილვართ. ეს თუნდაც იმ ძალადობაში გამოიხატა, რომელიც საკუთარ ტყავზე გვიგრძნია, მაგრამ ჩვენი იმედი არის პირველ რიგში ის, რომ მოსახლეობა, ამ ქვეყნის მოქალაქეები გასცემენ პასუხს და შეაფასებენ იმ ნამოქმედარს, რაც სააკაშვილმა ჩაიდინა ბოლო რვა წლის განმავლობაში. ამ ყველაფერს პასუხს ჩვენი მოქალაქეები გასცემენ, ჩვენ ამ საქმეში წინახაზზე ვიქნებით. მაქსიმალურად ვეცდებით, რომ ჩვენი რესურსი გამოვიყენოთ იმისთვის, რომ მოსახლეობა სწორი არჩევანის გასაკეთებლად მზად იყოს. მეორე მხრივ, ნებისმიერი ჩვენი მოქალაქე და მათი არჩევანი უნდა დავიცვათ.

*— რას გულისხმობთ დაცვაში? როგორ შეიძლება ეს მოხდეს?*

— ვერ გესაუბრებით თუ რა მეთოდოლოგიით დავიცავთ ჩვენს მოქალაქეებს თუ ხმებს. ეს საკითხი არ არის პრესაში სასაუბრო, მაგრამ გეტყვით, რაც აქამდე გაკეთდა.

*— რა გაკეთდა?*

— მაგალითად, მოქალაქეს, რომელსაც კონტროლის პალატაში იბარებენ, ჩვენ მათ ჩვენს იურისტებს ვაყოლებთ, არასამთავრობო სექტორთან ვთანამშრომლობთ, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს ინფორმაციას ვაწვდით. პრევენციული მექანიზმებით ხელისუფლებას არ ვაძლევთ საშუალებას, რომ თავზეხელაღებულად მოახდინონ ამ ადამიანებზე ზეწოლა. ამ მუშაობამ შედეგი გამოიღო და ეს ფაქტია, რადგან კონტროლის პალატამ უკან დაიხია. მოქალაქეების დაბარების ახალი ფაქტები აღარ გვსმენია. დღეს ამ თემასთან დაკავშირებით ხელისუფლება მუდმივად თავდაცვით პოზიციაშია. ასეც დარჩებიან ბოლომდე. მეორე, საერთაშორისო დამკვირვებლები ჩამოდიან, რომელიც სააკაშვილმა მიიწერა, ესეც ჩვენი მოქმედების შედეგია. ფაქტიურად სააკაშვილი აიძულეს, რომ ეს გაეკეთებინა. როდესაც საერთაშორისო დამკვირვებლები ჩამოვლენ და საარჩევნო პროცესს ლუპის ქვეშ მოაქცევენ, მერწმუნეთ, ძალადობა შემცირდება, ფართო ხასიათი არ ექნება. ამ პირობებში ჩვენ შიშის ფაქტორის განეიტრალებას ვაპირებთ, რაც მეტ შესაძლებლობას მოგვცემს, რომ ხალხს ვესაუბროთ, როგორი ქვეყნის აშენებას ვაპირებთ. ეს ყველაფერი პოზიტიურ შედეგამდე მიიყვანს ჩვენს ქვეყანას და მის მოქალაქეებს.

შორენა კოწოწაშვილი

**არაერთი პოლიტიკოსი ოპოზიციური ფლანგიდან აცხადებს, რომ სააკაშვილი, კარგი გაგებით, 'პოლიტიკური ცხოველია~. მას კარგი პოლიტიკური ალღო აქვს. შესაბამისად, ბევრისთვის გამოუცნობია, ის როდის და რა ნაბიჯს გადადგამს. ზოგიერთი არ გამორიცხავს, რომ სააკაშვილი გაერიდოს, ასე ვთქვათ, ბოლო მომენტში პოლიტიკურ პროცესს, ე.წ. ტაიმაუტი აიღოს და დროებით რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციაში იმუშაოს. ეს კი მას შანსს მისცემს, რამდენიმე წლის შემდეგ კვლავ სცადოს საქართველოს ხელისუფლებაში მოსვლა.**



# ლადო პაპავა: კარგია, ხელისუფლება საელჩოებს რომ აკრიტიკებს“

პროფესორი ლადო პაპავა, პრაქტიკულად, გამორიცხავს, რომ სააკაშვილმა ეს ანუ „ვაცლავ ჰაველის გზა“ გაიაროს.

— ეს სცენარი აბსოლუტურად გამორიცხულია, რადგან სააკაშვილისთვის სხვა ადგილი, გარდა ქვეყნის ლიდერობისა, არ არსებობს. მან თვითონ ჩაიყენა თავი ამ მდგომარეობაში. რა აკეთოს ამ ტაიმაუტის განმავლობაში? საერთაშორისო ორგანიზაციები არ წაიყვანენ სააკაშვილს ბევრი მიზეზის, თუნდაც 2008 წლის აგვისტოს გამო, როცა კინაღამ მესამე მსოფლიო ომის წინაშე დაგვაყენა. და კიდევ: ყველა სერიოზულ საერთაშორისო ორგანიზაციაში რუსეთია. რუსეთი კი მას ყოველთვის დაბლოკავს, — აცხადებს ლადო პაპავა. მისი თქმით, „რუსეთი ყველანაირად ცდილობს, სააკაშვილს დაეხმაროს შემოდგომაზე არჩევნებში გამარჯვებაში. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას შემოდგომაზე დანიშნული რუსული სამხედრო წვრთნები სამხრეთ კავკასიაში. 2008 წელს ხომ სამხედრო წვრთნებს ომი მოჰყვა. ახლაც ატარებს წვრთნებს შემოდგომაზე, როცა ჩვენთან საპარლამენტო არჩევნებია, რათა შექმნას ომის დაწყების შიში და ამით სააკაშვილს ხელ-ფეხი გაუხსნას ნაციონალიზმის გაძლიერებისათვის, რაც მას, როგორც მოქმედ პრეზიდენტს, შესაძლო ომის მოლოდინში აძლიერებს“.

— არანაირი ომი არ იქნება რუსეთთან. უბრალოდ, სააკაშვილს ექნება არგუმენტები, რომ მტერია კარს მომდგარი. ამით მოსკოვი ეხმარება სააკაშვილს, რომ გაიმარჯვოს არჩევნებში. ვფიქრობ, იარაღის ჟღარუნი იქნება. სააკაშვილი იტყვის, მოდით, ერთად დავდგეთ, როცა ქვეყანას უჭირსო. შეიძლება, ერთი-ორი გაისროლოს კიდეც რუსეთმა, რათა სააკაშვილმა საგანგებო მდგომარეობა შემოიღოს, — აღნიშნავს პაპავა.

გთავაზობთ ინტერვიუს პროფესორ ლადო პაპავასთან

*— ბატონო ლადო, ობამა-სააკაშვილის შეხვედრის შემდეგ ელოდით თუ არა პროცესების ასეთ განვითარებას და კვლავ ინარჩუნებს თუ არა სააკაშვილი ობამას ადმინისტრაციის მხარდაჭერას?*

— ასე ვიტყოდი, ვითარება შეცვლილია, მაგრამ არა — დიამეტრულად. სააკაშვილს დღესაც აქვს დასავლეთის მხარდაჭერა. თუმცა, უფრო მეტად გამოიკვეთა კრიტიკული შეფასებები. თუნდაც ის, რომ ჰილარი კლინტონი თითქოს აპრილში უნდა ჩამოსულიყო და დღესაც არ არის ცნობილი, როდის ჩამოვა. დარწმუნებული ვარ, კლინტონი ჩამოვა, თუმცა, არის რაღაც პროცესები, რომლებზეც ამერიკა უფრო მკაფიოდ უნდა ჩამოყალიბდეს საქართველოსთან მიმართებით. ბოლო დროს საკმაოდ კრიტიკული გამოსვლები აქვს ამერიკის ელჩს, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება თითქოს იგნორირებას უკეთებს. ეს კი მისთვისვეა უარესი. შეხედეთ, რა ხდება: ამერიკა საქართველოში უშვებს ახალ ელჩს. ჯონ ბასი გამოირჩეოდა კრიტიკული განცხადებებით, მისი შემცვლელი ჯერ არ ჩამოსულა და ის უკვე აკეთებს კრიტიკულ შეფასებებს. ასე რომ, გარკვეულწილად, არის საკმაოდ კრიტიკული შეფასებები, თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ სიტუაცია სააკაშვილთან მიმართებით დიამეტრულად შეიცვალა. ჯერჯერობით სააკაშვილი და მისი რეჟიმი ინარჩუნებენ დასავლეთის მხარდაჭერას. დასავლეთი აძლევს შანსს სააკაშვილს, ისტორიაში შევიდეს, როგორც დიდი დემოკრატი. ისინი არ აპირებენ, გადახედონ იმ ზღაპარს, რომ სააკაშვილი არის დემოკრატი, თუ სააკაშვილი არ გახდება პრემიერ-მინისტრი. პირიქით, ისინი გააძლიერებენ მითს სააკაშვილის დემოკრატიულობის შესახებ და ამით მას აძლევენ შანსს, რომ სააკაშვილი იყოს მეორე ვაცლავ ჰაველი და ისტორიაშიც ასე შევიდეს.

*— ანუ ამერიკელები კვლავ თვალს დახუჭავენ სააკაშვილის არადემოკრატიულ მმართველობაზე?*

— დახუჭავენ თვალს, თუ სააკაშვილი არ შეეცდება, რომ დარჩეს ხელისუფლებაში. თუმცა, რადგან უკვე გაჩნდა შეფასებები სიტყვის თავისუფლებაზე, სასამართლოს არარსებობაზე, მედიის თავისუფლებაზე, ეს ნიშნავს იმას, რომ დასავლეთის მხრიდან გარკვეული „ბწკენები“ უკვე გამოიკვეთა. თუ სააკაშვილი შეეცდება, დარჩეს ხელისუფლებაში, მაშინ მას ნიღაბი მოეხსნება და ისტორიაში შევა, როგორც გამოკვეთილი ავტორიტარი მმართველი. ამ ყველაფერს კიდევ ერთი მომენტი აძლიერებს — ამერიკელებზე ძალიან დიდ გავლენას ახდენენ ლობისტური კომპანიები. ბოლო დრომდე, სანამ ივანიშვილი მოვიდოდა პოლიტიკაში, სააკაშვილს კონკურენტი არ ჰყავდა. ის ბიუჯეტის თანხებს იყენებდა პიარისათვის და უცხოეთში გამოქვეყნებულ სტატიებში ისე იყო წარმოჩენილი, თითქოს მართლაც არის დემოკრატიის ფლაგმანი პოსტსაბჭოთა სივრცეში. მაგრამ სხვა ოპოზიციურ პარტიებს არ ჰქონდათ შესაბამისი თანხები, რომ დაექირავებინათ ლობისტური კომპანიები და ემხილებინათ სააკაშვილი და მისი რეჟიმი იმ შეცდომებსა და გადაცდომებში, რომლებიც წლების განმავლობაში დაგროვდა. ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლით ამის რესურსი გაჩნდა. ამან შესაძლებლობა მისცა დასავლეთს, დაინახოს ის უარყოფითი მხარეებიც, რაც არის დამახასიათებელი სააკაშვილის რეჟიმისათვის.

*— თქვენ ამბობთ, ამერიკა გაალმერთებსო. ამას გააკეთებს 7 ნოემბრის, 26 მაისის, აგვისტოს ომისა და სხვა უმძიმესი ფაქტების მიუხედავადაც?*

— რა თქმა უნდა, ეს უკვე რამდენი ხანია აპატია, მაგრამ აუცილებლად გაუხსენებს, თუ სააკაშვილი პრემიერ-მინისტრის სავარძელში გადაინაცვლებს.

*— კი, აპატია, მაგრამ ამან ქვეყანაში ანტიამერიკული განწყობები გაზარდა.*

— კი, გეთანხმებით. მსოფლიოში ძნელად მოსაძებნია ქვეყანა, სადაც ანტიამერიკული განწყობები არ არის. სხვათა შორის, საქართველოს დათვური სამსახური გაუწია ბუშის ჩამოსვლამ. ამის შემდეგ სააკაშვილმა ირწმუნა, რომ მას ყველაფრის გაკეთება შეუძლია, დასავლეთი ყველაფერს აპატიებს და ასეც მოხდა.

*— თქვენი საუბრიდან გამოდის, რადგან ნაც-მოძრაობის ელიტა ქილიკით აკეთებს კომენტარებს ბასის განცხადებებზე, უნდა ვიფიქროთ, რომ სააკაშვილი არა ჰაველის, არამედ რეჟიმის გამყარების გზას ირჩევს?*

— რა თქმა უნდა, სააკაშვილს ეს მეორე გზა ურჩევნია, მაგრამ ერთი რამ უნდა გვახსოვდეს — ღვთის მადლით, ჩვენ არ გვაქვს იმდენი ნავთობი, გაზი და ოქრო, რომ მან ეს მოახერხოს. ამიტომ ის ვერ იქნება ისეთი მმართველი, როგორიც არის უზბეკეთში, ყაზახეთში ან აზერბაიჯანში. მისი რესურსი საქართველოს არა აქვს. საქართველოს სჭირდება დასავლეთის დახმარება. სააკაშვილის მიდრეკილება დიქტატურისაკენ ყოველთვის იყო გამოკვეთილი.

*— ეს ცნობილია, თუმცა, დღეს სხვა პოლიტიკური კალენდარია...*

— მიუხედავად ამისა, სააკაშვილის პარტიის მეტ-ნაკლებად ცნობილი ფიგურები აკრიტიკებენ ჯონ ბასს. თვითონ სააკაშვილი და საგარეო საქმეთა მინისტრი ვაშაძე აკრიტიკებენ საელჩოებს. ეს კარგი საფუძველია იმისთვის, რომ საქართველოში ვითარება შეიცვალოს. მე, პირადად, ძალიანაც მომწონს, რომ აკრიტიკებენ, იმიტომ რომ ისინი ამით იმ ტოტს ჭრიან, რომელზეც სხედან. როგორც იქნა, საქართველოში გვეღირსა ისეთი ელჩი, რომელსაც ჭკუა მოეკითხება, თორემ ამერიკიდან გვყავდა ისეთი ელჩი, რომელიც იყო აბსოლუტური გაუგებრობა. ვგულისხმობ მაილსს, რომელიც ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტში ვარდების რევოლუციის წინ წერდა ასეთ წერილებს: საქართველოს მომავალი პრეზიდენტი დიდი ალბათობით შალვა ნათელაშვილი იქნებაო. მაშასადამე, ამერიკის მაშინდელმა ელჩმა საერთოდ ვერ იგრძნო, რა მწიფდებოდა ქვეყანაში „რევოლუციის“ სახით.

*— სხვათა შორის, იმ პერიოდში ნათელაშვილს საკმაოდ სოლიდური რეიტინგი ჰქონდა.*

— კი, მაგრამ ელჩმა რეალური სიტუაცია ვერ იგრძნო. მოდით, ღიად ვთქვათ: შალვა ნათელაშვილი ურეიტინგო არასოდეს ყოფილა და ახლაც არ არის. მაგრამ, როცა დიპლომატი ხარ, კონკრეტულ ქვეყანაში რამდენიმე წელი მუშაობ და იმას ვერ ხვდები, რა შეიძლება მოხდეს და რაზე ხარჯავს ფულს სოროსი, მაშინ უვარგისი დიპლომატი ყოფილხარ! ამის შემდეგ ამერიკიდან ჩვენ გვყავდა ელჩი ტეფტი. აბა, გაიხსენეთ მისი რომელიმე საყურადღებო განცხადება. მე ასეთი არ მახსენდება. ძლივს ვეღირსეთ ამერიკიდან სერიოზულ წარმომადგენელს ჯონ ბასს. ის ყოველთვის მკაცრი არ არის, ცდილობს, ბალანსი დაიცვას. თუ ნაციონალურ მოძრაობაში ვერ ხვდებიან, რომ ამერიკის ელჩს ასე არ უნდა ელაპარაკონ, მით უარესი მათთვის...

*— როგორ ფიქრობთ, რატომ გადაწყვიტა სააკაშვილმა, ივანიშვილის პოლიტიკური ინტერესების დაკმაყოფილება საკონსტიტუციო ცვლილებებით მოეგვარებინა და რატომ თარგამაძის ქრისტიან-დემოკრატების ხელით?*

— ქრისტიან-დემოკრატებმა თავიანთი სახე მაშინ აჩვენეს, როდესაც 2008 წელს პარლამენტში ოპოზიციის შესვლა-არშესვლის საკითხი წყდებოდა. სამწუხაროდ, თარგამაძესთან ერთად სხვა პოლიტიკური ძალებიც შევიდნენ პარლამენტში, მათ შორის, ლეიბორისტებიც, რომლებიც დეპუტატების ხელფასს იღებენ, მაგრამ პარლამენტში არ დადიან. მე გამიხარდებოდა, ლეიბორისტები პარლამენტის სხდომებს რომ ესწრებოდნენ და თავიანთი მჭევრმეტყველი და დასამახსოვრებელი გამოსვლებით პარლამენტის ტრიბუნიდან და არა ქუჩიდან აკრიტიკებდნენ ნაციონალებს. რაც შეეხება ქრისტიან-დემოკრატებს, ითქვა, რომ ეს არის სააკაშვილის მიერ შექმნილი მართული ოპოზიცია. ასეთი აღქმა აქვს დღეს ქრისტიან-დემოკრატებს საზოგადოებაში. ზუსტად ამ გზას დაადგნენ ,,ახლებიც“. რაც შეეხება ივანიშვილის საკითხს, მე თავიდანვე წინააღმდეგი ვიყავი, რომ ბატონ ბიძინას უარი ეთქვა საფრანგეთის მოქალაქეობაზე. ინტუიციით ვგრძნობდი, რომ სადღაც ეს მაინც დასჭირდებოდა. რუსეთის მოქალაქეობა უნდა დაეთმო, მაგრამ არა — საფრანგეთის! რა თქმა უნდა, ის, რასაც ქრისტიან-დემოკრატების პროექტი ითვალისწინებს, არის ნონსენსი, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე, შეეძლოს, გახდეს პარლამენტის თავმჯდომარე, პრემიერის პოსტი დაიკავოს და ა.შ. როგორ, მოქალაქეობა არ შეიძლება და ეს ყველაფერი შეიძლება? თუ ის მოქალაქე არ არის, მერე რა ვალდებულებები უნდა წაუყენო? დავუშვათ, ჩაიდინა ქვეყნის ღალატი. თუ ის საქართველოს მოქალაქე არ არის, ვის უღალატა? ვისი მოქალაქეც არის, იმ ქვეყნისთვის შეიძლება არც უღალატია. თან ისმის კითხვა: ევროკავშირის მოქალაქე შეიძლება გახდეს იგივე პრემიერ-მინისტრი, მაგრამ ისრაელის ან აშშ-ის მოქალაქე რატომ არ შეიძლება? რატომ ასეთი დისკრიმინაცია? გასაგებია, ეს მხოლოდ იმიტომ კეთდება, რომ სააკაშვილის რეჟიმმა ერთხელ უკვე აღიარა თავისი შეცდომა ბიძინა ივანიშვილის მეუღლესთან დაკავშირებით, რომელსაც მოქალაქეობა აღუდგინეს და არ უნდათ, მეორედაც აღიარონ შეცდომა, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთიდან ზეწოლა ძალიან დიდია. ამიტომ ნაციონალებმაც მოიფიქრეს ასეთი სქემა: არ აღიარონ თავიანთი შეცდომა და, მეორე მხრივ, ასეთი ნონსენსით აძლევენ ივანიშვილს არჩევნებში მონაწილეობის საშუალებას, თანაც ამ ნონსენსის ინიციატორია არა ნაც-მოძრაობა, არამედ „ოპოზიციური“ ქრისტიან-დემოკრატები. რაღაც რომ მოხდეს, ხელისუფლება იტყვის: ჩვენ არ გვინდოდა, მაგრამ დემოკრატიულობის ნიშნად „ოპოზიციის“ ინიციატივა გავითვალისწინეთო. თუ ეს ასე დაკანონდა, მართალია, კონსტიტუციურად არასწორია, თუმცა, დღეს ეს სულაც არ არის ცუდი არც ივანიშვილისთვის და არც საქართველოსთვის.

*— რატომ არ არის ივანიშვილისთვის ცუდი? თავად ივანიშვილი ამბობს, რომ მისთვის მსგავსი საკონსტიტუციო ნორმა მიუღებელია.*

— იმიტომ რომ, პრაქტიკულად, გამოვიდა, რომ ერთი კაცისთვის იცვლება კონსტიტუცია. ის, რომ ივანიშვილი ნატურალიზაციის გზით გამხდარიყო საქართველოს მოქალაქე, მაშინ ის იქნებოდა ერთ-ერთი ათასობით ადამიანთა შორის, ვინც ამ გზით გახდა საქართველოს მოქალაქე. ახლა კი გამოდის, რომ ის არის ერთადერთი, ვისთვისაც იცვლება კონსტიტუცია. ეს არის სერიოზული პოლიტიკური გამარჯვება. თანაც საფრანგეთის მოქალაქეობა მისთვის არის დაცვის სერიოზული გარანტია. ივანიშვილზე ყველანაირ შეტევას ვერ განახორციელებენ, იმიტომ რომ მის უკან ევროკავშირის საკმაოდ სერიოზული ქვეყანა დგას. ვფიქრობ, ივანიშვილისთვისაც და ქვეყნისთვისაც ეს ცვლილება დღევანდელ ვითარებაში ტაქტიკური მოსაზრებებით უკეთესია, თუმცა, თუ „ქართული ოცნება“ უმრავლესობით მოვა პარლამენტში, რაც ბევრი ქართველის მართლაც ოცნებაა, ივანიშვილის კოალიციას ხელახლა ექნება დასაწერი კონსტიტუცია და იქ გასწორდება ეს შეცდომა უცხო ქვეყნის მოქალაქის არჩევნებში მონაწილეობის შესახებ. ნუ დაგვავიწყდება, რომ სახელმწიფო გვაქვს თავიდან ასაწყობი და ახალი კონსტიტუციის დაწერა გარდაუვალია!

## სოსო ჯაჭვლიანი: ხელისუფლებასთან კონსტრუქციული საუბარი შედეგს არ მოიტანს

ხელისუფლებასთან კონსტრუქციული საუბარი შედეგს არ მოიტანს, რაც დიდი ხანია ცნობილია. ეს კომენტარი „სახალხო კრების“ წევრმა სოსო ჯაჭვლიანმა ქუჩის აქციებთან დაკავშირებით პოლიტი-



კური კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის ირაკლი ალასანიას განცხადებაზე გააკეთა.

ჯაჭვლიანის თქმით, ის, რომ ალასანია გასულ წელს „სახალხო კრების“ აქციებს უპირისპირდებოდა, ახლა კი, აქციების ჩატარებაზე თვითონ საუბრობს, სასაცილოა.

ამის მაგალითად ჯაჭვლიანმა ერთი ანეგდოტი გაიხსენა, რომლის გმირსაც „გონება ეხსნება“.

მისი თქმით, ქვეყნისთვის ყველაზე კარგი გამოსავალი არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლაა, თუმცა, ხელისუფლება, რომ ამაზე წამსვლელი არ არის, ეს ყველასთვის ცხადია.

როგორც ჯაჭვლიანმა „ნიუსპრესთან“ საუბარში განაცხადა, ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ ჩაიდინა უკანონობა, როდესაც 9 აპრილს „სახალხო კრების“ წარმომადგენლებს მემორიალთან მისასვლელად 40 წუთი ალოდინა.

„სამძიმარზე რომ არ მიგიშვებენ სანთლის დასანთებად, ამისთვის პროტესტის მრავალნაირი ფორმა არსებობს. როცა მთავრობა არღვევს კონსტიტუციას და არ იცავს კანონს, სწორედ ამისთვის არსებობს ქუჩის აქციები. მთელ მსოფლიოში ასეა“– აღნიშნა მან.

ჯაჭვლიანმა ერთიანი ოპოზიციური ფრონტის შექმნის აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება და განაცხადა, რომ ხელისუფლება შესაცვლელია და ამისთვის ყველა პარტია უნდა გაერთიანდეს.

„მაშინ, როცა ეს ფაშისტური დიქტატურაა მოსაშორებელი, ყველა ერთ მხარეს უნდა დადგეს და დავარქვათ — ჩვენ და ისინი“ — განაცხადა ჯაჭვლიანმა და ხაზი გაუსვა, რომ ამისთვის ყველაზე კარგი ავტორიტეტი და მაღალი ნდობა ბიძინა ივანიშვილს აქვს.

მისი აზრით, სწორედ ივანიშვილმა უნდა განაცხადოს ამის შესახებ და ყველა ვინც მასთან არ დადგება „ისინი“ იქნება. „ეს ხელისუფლების ფსიქოლოგიურ ნგრევას გამოიწვევს“ — განაცხადა ჯაჭვლიანმა.

ნიუსპრესი

## სამეგრელოს ახალაიების კლანისგან დაიცავ!

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ური გაუგებარი ცვლილებები კიდევ ერთხელ ნიშნავს, როგორ უყურებს ნაციონალური მოძრაობაც და ქდმ-ც კონსტიტუციას და როგორ ჭრიან და კერავენ. ისე არგებენ ერთ ადამიანს და ეს ყველაფერი არის სააკაშვილის პოლიტიკურ ნებაზე მორგებული. მარტივად უნდა გადაწყდეს მოქალაქეობის საკითხი, უკანონოდ ჩამოერთვა და გაასწორონ უკანონობა და დაუბრუნონ მოქალაქეობა ივანიშვილს, თუ უნდათ და ამის პოლიტიკური ნება აქვთ.

*— მიუხედავად ყველაფრისა, ამ საკონსტიტუციო ცვლილების შემდეგ ივანიშვილს პოლიტიკური უფლებები ენიჭება...*

— ჩვენ ისეთი სამართლებრივი ქვეყანა გვინდა შევქმნათ, რომ არ შეიძლება ერთი ადამიანის პოლიტიკურ განწყობას ერგებოდეს კონსტიტუცია. რატომ ჩეხავ და ჭრი კონსტიტუციას, როდესაც გაქვს კანონით უკანონოდ ჩამორთმეული უფლების აღდგენის საშუალება პრეზიდენტს, თუკი, პოლიტიკური ნება გაქვს, მაგრამ სააკაშვილი იმდენად მხდალია, რომ თავისი გაფუჭებული საქმის გამოსწორება თვითონ არ უნდა, რათა არ ჩაეთვალოს სისუსტეში. ახლა მოიფიქრა ასეთი კონსტიტუციური ცვლილებების შეთავაზება. ეს არის აბსოლუტურად გაუგებარი და უპრეცედენტო რამ.

# ნიჭიერში“ საავტორო უფლებები დაარღვიეს

## ვის ეკუთვნის ლექსი, რომელმაც პატარა ანა ქაშიბაძეს წარმატება მოუტანა

შალვა ჯოხაძე

პროექტი „ნიჭიერი“ კვლავ რჩება ერთ-ერთ ყველაზე რეიტინგულ შოუდ ქართულ სატელევიზიო სივრცეში. ტელემაყურებელი ორშაბათ საღამოს ინტერესით ელის და შემდეგ, მთელი კვირის განმავლობაში, „ნიჭიერის“ მონაწილეების ნიჭიერაბა-უნიჭობის შესახებ მსჯელობს. ყველა აღნიშნავს, რომ წელს არცთუ ბევრი კარგი ნომერია, თითზე თუ ჩამოთვლი იმ მონაწილეებს, რომელთაც სტატუსი „ნიჭიერი“ ესადაგებათ. მათ შორის გახლავთ პატარა გოგონა, ანა ქაშიბაძე, რომელმაც მის მიერ წაკითხული ლექსით დედაზე მაყურებლისა თუ ჟიურის წევრების აღფრთოვანება გამოიწვია. გოგონა უდავოდ, ნიჭიერია, თუმცა მის წარმატებაში ერთ-ერთი მთავარი როლი მაინც საოცარმა ლექსმა — „არ დამელალო, დედი“ — ითამაშა. ალბათ, ეს ლექსი ბევრს მოეწონა, თუმცა ცოტამ თუ იცის, ვინაა ამ სტრიქონების ავტორი. გეტყვით, რომ ლექსი ახალგაზრდა შემოქმედს, დიკა სალაყაიას ეკუთვნის.



დიკა ოჯახთან ერთად ხობში ცხოვრობს, მას დაახლოებით ანა ქაშიბაძის ასაკის ქალიშვილი ჰყავს. ხობელები უკვე ამაყობენ, რომ დიკა სალაყაიას ლექსმა ასეთი აღიარება მოიპოვა. თუმცა, ლექსის ასეთ პოპულარობას ავტორისათვის არასასიამოვნო ფაქტებიც მოჰყვა. იმავე „რუსთავი 2“-მა თავიდან საავტორო უფლება არად ჩააგდო და დიკა სალაყაიას შესახებ არაფერი უთქვამს. ლექსი ერთადერთ საიტ ლიტერატურა.გე-ზე იყო დადებული და შეუძლებელია, ნიჭიერის გუნდს არ სცოდნოდა, ვის ლექსს იყენებდა თავის შოუში. საიტზე შავით თეთრზე წერია, რომ ლექსი დიკა სალაყაიასია. თუმცა, მას მერე, რაც დიკამ მისი საავტორო უფლების დაცვა მოითხოვა, „ნიჭიერის“ საიტზე ლექსს ავტორის სახელი მიაწერეს. იმავეს ვერ ვიტყვით ათობით სხვა საიტზე, სადაც ლექსი გადაბეჭდეს, ავტორის ვინაობა კი დაივიწყეს. დიკა სალაყაია კვლავ აგრძელებს ბრძოლას იმისათვის, რომ მისი ინტელექტუალური საკუთრება არავინ მიითვისოს.

დიკა პროფესიით ჟურნალისტია. დიდი ხანია წერს ლექსებსა და მინიატურებს. რამდენიმე წლის წინ გამოსცა მინიატურების კრებული „დაბოლილი ორქიდეა“, რომლის შედგენაშიც წვლილი ყველასთვის ცნობილმა პროფესორმა, ნოდარ ტაბიძემ შეიტანა, კრებულს წინასიტყვაობაც მანვე დაურთო. თუ როგორი ისტორია აქვს დიკა სალაყაიას უკვე ყველასთვის ნაცნობ და საყვარელ ლექსს, ამის შესახებ „ახალ თაობას“ თავად ახალგაზრდა შემოქმედმა უამბო.

დიკა სალაყაია:

— ბატონმა ნოდარ ტაბიძემ მითხრა, რომ ჩემი სამი წიგნის რედაქტორი უნდა ყოფილიყო და აუცილებლად უნდა მეწერა, თუმცა, რატომღაც, ისეთი ინტენსივობით წერა აღარ განვაგრძე. ისე კი, ჩემთვის, ყოველთვის ვწერდი და ჩემი ლექსების მკითხველი მხოლოდ ძალიან ახლობელი ადამიანები იყვნენ. ამ ლექსს კი განსაკუთრებული ისტორია აქვს, 2009 წელს დავწერე. ის დღე კარგად მახსოვს, დედამ დამირეკა, მისი ხმა არ მომეწონა, მივხვდი, რაღაც აწუხებდა. ძალიან მინდოდა მისვლა და მოფერება. ეს ლექსი თითქოს ერთი ამოსუნთქვით დავწერე და მესიჯებად გავუგზავნე დედაჩემს. ისე მოეწონა, ტიროდა და მანვე მთხოვა, სადმე გამომექვეყნებინა. მეც საიტ ლიტერატურა.გე-ზე განვათავსე. მას შემდეგ თითქმის ოთხი წელი გავიდა. მე წერისთვის ვერ თუ არ ვიცლიდი, სხვადასხვა სფეროში ვმუშაობდი. ბოლო დროს ჟურნალისტიკაც არ მხიბლავდა, ხან ადამიანური რესურსების სფეროთი დავინტერესდი, ხან რით და ხანაც — რით. არ ვიცოდი, რა მეკეთებინა. მამა გიორგის „ფეხით მოსიარულეს“ ვკითხულობდი, სადაც ის მამა გაბრიელის უდიდეს ძალაზე საუბრობს. ლოცვა მომინდა. არასოდეს ასეთი გულით არ მილოცია. მამა გაბრიელის საფლავის მიწა მეჭირა ხელებში. მისგან სითბო მოდიოდა. მახსოვს, როგორ ვთხოვე, მამა გაბრიელ, მამა გიორგი, გევედრებით, მიმანიშნეთ, ვინმეს პირით მითხარით, რა უნდა ვაკეთო-მეთქი.

ძალიან მალე, ტელევიზორი ჩავრთე და... ვიღაც გოგონა ჩემს ლექსს კითხულობდა, დარბაზი ტიროდა. ეს ნიშნად მივიღე, აი, თურმე, რა უნდა მეკეთებინა. თუმცა, გული დამწყდა, რომ ლექსი შემოკლებული იყო და ავტორიც არ უხსენებიათ. მაშინვე გამიჩნდა კითხვა, ლექსზე დარბაზი, ჟიური, წამყვანები ატირდნენ და ნუთუ არავის დაებადა კითხვა ავტორთან დაკავშირებით? საკუთარი პროფესიიდან გამომდინარე ჩემი, როგორც ავტორის, უფლებები კარგად ვიცი და მისი დაცვის სურვილი გამიჩნდა.

როგორც აღვნიშნეთ, დიკა „ნიჭიერის“ წარმომადგენლებს დაუკავშირდა და შეცდომის გამოსწორებას მიაღწია.

დიკა სალაყაია:

— რამდენადაც ვიცი, „ნიჭიერის“ ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა, როცა მონაწილე ლექსით მეორე ტურში გადავიდა. ამის მერე, მე და ანა ქაშიბაძის დედა დავმეგობრდით. მიხარია, რომ ანამ წაიკითხა ეს ლექსი. ეს გოგონა ძალიან მიყვარს. მე, უბრალოდ, ავტორის დამალვასა და ტექსტის შინაარსობრივ შემოკლებაზე მქონდა პრეტენზია, თორემ ჰონორარზე პრეტენზიაც კი არ მქონია. ეს ჩემთვის ისეთი სათუთი ლექსია, ამას არც კი გავიფიქრებდი. მიხარია, რომ ეს ლექსი აქამდეც და მით უფრო ახლა, ამდენმა ადამიანმა შეიყვარა. მას უკვე თითქმის ყველა ბავშვი კითხულობს, მაგრამ ბევრმა კვლავ არ იცის, რომ ლექსის ავტორი მე გახლავართ. მადლობა ყველას თბილი კომენტარებისათვის ინტერნეტ-საიტებზე. მე თითქმის 20-მდე საიტი აღმოვაჩინე, სადაც ეს ლექსი არის დადებული, ავტორი კი მითითებული არაა. ზოგიერთმა თხოვნის შემდეგ ჩაასწორა და დაიცვა საავტორო უფლება, ზოგი მას ისევ არღვევს. ოდესმე ხომ უნდა ვცეთ ერთმანეთის ინტელექტუალურ საკუთრებას პატივი?

როგორც დიკა სალაყაიასგან შევიტყვეთ, საავტორო უფლებათა დაცვის ასოციაცია საქმის ვითარებას გაეცნო და მასზე უკვე რეაგირებს.

— არ დავუშვებ, ჩემთვის ასე ძვირფასი ლექსი ვიღაცებმა მათი სურვილისამებრ სახეშეცვლილი ავრცელონ. ჩემი უფლებების შესახებ ვიცი და მას აუცილებლად ბოლომდე დავიცავ. ახლა აღდგომის ჟამია და მინდა ყველას უდიდესი სიკეთე გისურვოთ. გჯეროდეთ, სასწაულები ყოველ წამს ხდება. მადლობა უფალს, მამა გაბრიელს და მამა გიორგის, რომ მეც გამხადეს პატარა სასწაულის ღირსი. ახლა ზუსტად ვიცი, რომ უნდა ვწერო, — აღნიშნავს დიკა სალაყაია.

# რატომ იზრდება თავდაცვის ბიუჯეტი და რაში გამოიყენებენ 70 ათას რეზერვისტს

## ნებაყოფლობით რეზერვში წასვლას პოლიციელებსა და სამხედროებსაც აიძულებენ?!

შალვა ჯოხაძე

ადამიანის უფლებათა ცენტრი სამხედრო ხარჯების შემცირებას და მილიტარისტული რიტორიკის შეწყვეტას მოითხოვს. ორგანიზაცია ყველას შეახსენებს, რომ სამხედრო დანახარჯების გაზრდით სახელმწიფო ვერც საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტებს მოაგვარებს და ვერც უზარმაზარ აგრესორ სახელმწიფოს — რუსეთს დაამარცხებს. ადამიანის უფლებათა ცენტრი დარწმუნებულია, რომ კონფლიქტების მოგვარება მხოლოდ მშვიდობიანი მეთოდებით არის შესაძლებელი. ხოლო რუსეთის აგრესიული პოლიტიკის თავიდან ასაცილებლად ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება და საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერის მოპოვებაა საჭირო.



— 12 აპრილი სამხედრო დანახარჯების შესახებ გლობალური აქტივობის დღე გახლდათ. ამ თარიღის აღნიშვნის ინიციატორია მშვიდობის საერთაშორისო ბიურო და პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტი. ამ დღის აღნიშვნის მიზანია სამხედრო დანახარჯებთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ საზოგადო ცნობიერების ხელშეწყობა. ასევე მისი მიზანია, რჩევა მისცეს შესაბამის ინსტიტუტებს, ეს თანხები ჰუმანური განვითარების ხელშეწყობისთვის დახარჯონ. ადამიანის უფლებათა ცენტრი საქართველოში მშვიდობის საერთაშორისო ბიუროს წარმომადგენელი ორგანიზაციაა. ბიურო ერთმანეთს უპირისპირებს სამხედრო დანახარჯების მაღალ დონეს, მაგალითად, მილენიუმის განვითარების მიზნების შეუსრულებლობას. სტოკჰოლმის საერთაშორისო მშვიდობის კვლევის ინსტიტუტის 2010 წლის მონაცემების მიხედვით, მსოფლიოში 1.531 მილიარდი დოლარი დაიხარჯა სამხედრო მიზნებისათვის.

მშვიდობის საერთაშორისო ბიუროს მიაჩნია, რომ ძალადობრივი კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების კვლევა ნათელყოფს უამრავ ფაქტორს, მაგრამ არ მიანიშნებს, რომ ქვეყნის უსაფრთხოებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უფრო მრავალრიცხოვანი არმიების შექმნას. ფაქტობრივად, იარაღზე დახარჯულმა თანხებმა შეიძლება გამოიწვიოს სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარებისთვის საჭირო რესურსების გაფლანგვა. საწინააღმდეგო შემთხვევაში, ეს რესურსები ხელს შეუწყობდა კონფლიქტების ძირეული მიზეზების აღმოფხვრას. მსგავსი ნეგატიური ეფექტები მოიცავს არა მარტო პირდაპირ ფულისა და რესურსების ხარჯვას იარაღზე (მაშინ, როცა ისინი შეიძლება გამოვიყენოთ ადამიანური განვითარებისათვის), არამედ ამასთან დაკავშირებულ უარყოფით გავლენას ადამიანების ჯანმრთელობაზე, რაც შეიძლება გამოიწვიოს მსგავსი იარაღების კვლევამ, განვითარებამ, ტესტირებამ და ასევე იარაღის უსაფრთხო გაუვნებელყოფამაც — განსაკუთრებით, როცა საქმე გვაქვს ატომურ, ბიოლოგიურ და ქიმიურ იარაღთან, — აცხადებენ ადამიანის უფლებათა ცენტრში.

ორგანიზაციის წარმომადგენელთა თქმით, ცხადია, რაც უფრო დიდია სამხედრო ხარჯები, მით უფრო მცირე თანხა რჩება სხვა მიმართულებებზე დასახარჯად, როგორიცაა — კომუნალური ხარჯები, ინფრასტრუქტურის მშენებლობა და შენახვა, ასევე განათლება და ჯანდაცვა.

ადამიანის უფლებათა ცენტრი შეშფოთებულია საქართველოს პრეზიდენტის ბოლოდროინდელი მილიტარისტული განცხადებებით. შეშფოთების საფუძველს ისიც იძლევა, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის მსგავსი გამოსვლები წინ უძღოდა 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტს რუსეთთან, რასაც ქვეყნისთვის კატასტროფული შედეგები მოჰყვა.

11 აპრილს მიხეილ სააკაშვილი თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ საწარმო „დელტას“ ესტუმრა. საწარმოს თანამშრომლებთან საუბრისას სააკაშვილმა განაცხადა, რომ „მშვიდობისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, საქართველოს ჰქონდეს საკუთარი სამხედრო წარმოება და განავითაროს ნებაყოფლობითი რეზერვის ახალი სისტემა.

— სახელმწიფომ აიღო ქარხანა მთლიანად კონტროლის ქვეშ — ეს და სხვა ქარხნები — და აღმოჩნდა, რომ ყუმბარმტყორცნების გამოშვებაც შეგვიძლია, ავტომატებისაც და ნაღმმტყორცნებისაც... არავინ გვაძლევდა ანტისატანკო იარაღს 2008 წლამდე. ყველას ვეხვეწებოდით, რომ მოგვეცით. ახლა, სხვათა შორის, უფრო გაიხსნა ეს ბაზრები, მაგრამ ახლა არც გვჭირდება ყიდვა — ჩვენი გამოვუშვით, ჩვენი გვაქვს!.. დარწმუნებული ვარ, რომ კარგად ვიმუშავებთ, ავაწყობთ ანტისაჰაერო სისტემას, — განაცხადა სააკაშვილმა და დასძინა, რომ მომავალი წლიდან საქართველოს ექნება განახლებული საფრენი აპარატები, რითაც შეძლებს იარაღის გადატანას ბევრად უფრო გრძელ მანძილზე და ბევრად უფრო ეფექტურად, ვიდრე ძველი რუსული „შტურმავიკები“.

სააკაშვილმა საწარმო „დელტას“ გახსნაზე სიტყვით გამოსვლისას 2008 წლის აგვისტოს მოვლენებიც გაიხსენა:

— თქვენ ნახეთ ქარხანა, რომელიც იბომბებოდა. ქვეყანა, რომელიც გარდაცვლილად გამოაცხადეს. პრეზიდენტი, რომელიც, მათი ჭკუით, ცხედარია უკვე რამდენიმე წელიწადია და სხეულის ერთი ნაწილით უნდა ყოფილიყო დაკიდებული... ყველანი ერთად შევიკრიბეთ და ვუყურებთ ჩვენს „ლაზიკებს“, ჩვენს „დიდგორებს“, ჩვენს ყუმბარმტყორცნებს, ჩვენს უპილოტო საფრენ აპარატებს. მგონი ჩვენს მტერს ძალიან ცუდი სიზმარი ესიზმრება და ჯობია იბწკინოს და გამოიღვიძოს.

პრეზიდენტ სააკაშვილის ასეთი რიტორიკა ადამიანის უფლებათა ცენტრს მხოლოდ ოთხი წლის წინანდელ ტრაგიკულ გამოცდილებას ახსენებს — გამოცდილებას, რომელმაც ვერც პრეზიდენტს და ვერც მთავრობას ვერაფერი ასწავლა. იმის ნაცვლად, რომ სახელმწიფო სახსრები სოციალურ პროექტებზე იყოს მობილიზებული და მოხმარდეს ჯანდაცვის, განათლებისა და ეკონომიკის სფეროებს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების მოცულობა 2001 წლიდან 2008 წლამდე 2.600.000 ლარიდან — 1.545.225.000 ლარამდე გაიზარდა. ამის შესახებ ადამიანის უფლებათა ცენტრი დაწვრილებით წერდა სპეციალურ ანგარიშში — „ფეთქებადი მილიარდი“. 2011 წლის ნოემბერში კი საქართველოს საპარლამენტო უმრავლესობამ სწრაფი ტემპით განიხილა და დაამტკიცა ცვლილება სახელმწიფო ბიუჯეტში, რითაც თავდაცვის სამინისტროს დაფინანსება 660 მილიონი ლარიდან 704,6 მილიონამდე გაიზარდა.

ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსების გარდა, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს „დახმარების“ სახით ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდანაც ერიცხება სოლიდური თანხები. ეს თანხები, რეგიონებში, სავარაუდოდ, ნებაყოფლობითი რეზერვის მომზადებას უნდა მოხმარდეს.

— იმ დროს, როდესაც უამრავი ადამიანი სიღატაკეში ცხოვრობს, მუნიციპალიტეტების საკრებულოების ბიუჯეტებიდან თავდაცვის სამინისტროსთვის გაღებული „დახმარება“, უბრალოდ, უსინდისობაა და არაფერი აქვს საერთო არც მშვიდობის დაცვასთან, არც პატრიოტიზმთან და არც ზოგადად, გონივრულობასთან, — აცხადებენ ადამიანის უფლებათა ცენტრში.

პრეზიდენტი სააკაშვილი ნებაყოფლობითი რეზერვის თემასაც გამოეხმაურა და აღნიშნა:

— ჩვენ დავიწყეთ რეზერვისტთა სისტემის ხელახალი აწყობა და მივიღეთ ფენომენალური შედეგი — ჩვენს მტერს ეს ძალიან აღიზიანებს და მათ ქართველ აგენტებს, ე.წ. პოლიტიკოსებს ძალიან აღიზიანებთ რეზერვისტები, მაგრამ სოფლებში, სადაც თავდაცვის სამინისტრო შევიდა, ყველა ზრდასრული მამაკაცი ჩაეწერა რეზერვში — გამაოგნებელი შედეგია — საქართველოს ყველა მოქალაქე, მიუხედავად ეთნიკური წარმომავლობისა.

პრეზიდენტის თქმით, ზაფხულისთვის 70 000 ნებაყოფლობითი რეზერვისტი იქნება გადამზადებული, ხოლო მომავალ წელს მათი რიცხვი 150 000 მიაღწევს.

— ეს ნიშნავს იმას, რომ ყველა სოფელს ეყოლება რაზმი თავდაცვისათვის და ეს არის ყველაზე მყარი გარანტია მშვიდობის, — განაცხადა სააკაშვილმა და იქვე მოიყვანა ფაშისტური გერმანიის მაგალითი, რომელმაც უარი თქვა შვეიცარიაში შესვლაზე იმიტომ, რომ შვეიცარია ერთადერთი ევროპული ქვეყანა იყო, რომელსაც აწყობილი ჰქონდა რეზერვისტთა სისტემა.

ადამიანის უფლებათა ცენტრი წუხს, რომ ხან ფინეთის, ხანაც შვეიცარიის წარსულიდან მეტისმეტად უადგილო და შეუფერებელი მაგალითებით პრეზიდენტი სააკაშვილი კვლავ და კვლავ ცდილობს, გააღვივოს მილიტარისტული განწყობები ქვეყანაში და გააგრძელოს გამალებული შეიარაღება. ამავე დროს, ადამიანის უფლებათა ცენტრი იზიარებს ოპოზიციის ნაწილისა და სამოქალაქო საზოგადოების შეშფოთებას, რომ ხელისუფლებამ ნებაყოფლობითი რეზერვი, შესაძლოა, პოლიტიკური ოპონენტების მიერ მოწყობილი დემონსტრაციების დასაშლელად გამოიყენოს. ამ შეშფოთების საფუძველს იძლევა ცვლილებები კანონმდებლობაში, რომლის თანახმად, ნებაყოფლობით რეზერვში გაწევრის უფლება შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებსაც მიეცათ.

— გაუგებარია, რატომ უნდა წავიდეს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი ნებაყოფლობით რეზერვში, როდესაც მას ისედაც აქვს თავისი ვალდებულება ქვეყნის თავდაცვის წინაშე?! — აცხადებენ ადამიანის უფლებათა ცენტრში.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს საქართველოს პრეზიდენტს, მთავრობისა და პარლამენტის წევრებს, შეამცირონ შეიარაღების ხარჯები, მეტი დრო დაუთმონ მშვიდობიან დიპლომატიას და არ დაუშვან სხვადასხვა სახის კონფლიქტების გაღვივება საქართველოში.

ადამიანის უფლებათა ცენტრი, ასევე, მიმართავს სამოქალაქო საზოგადოებას, თითოეულ მშვიდობისმოყვარე ადამიანს, მშვიდობიანი ფორმებით გამოხატოს პროტესტი ხელისუფლების მილიტარისტულ ქმედებებზე, წინ აღუდგეს ომისა და დაპირისპირების საფრთხის შემცველ ნებისმიერ ინიციატივას.

# ირაკლი დოკვაძის საქმე სტრასბურგის სასამართლომ წარმოებაში მიიღო

გულიკო ბალაძე

**2009 წლის აპრილში, ფალიაშვილის ქუჩაზე მომხდარი მძიმე დანაშაულის ჩადენაში, კერძოდ კი, გოჩა კვირჭიშვილსა და ელზა გულიაშვილზე თავდასხმაში ბრალდებული ირაკლი დოკვაძის საქმე სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლომ განსახილველად მიიღო. ირაკლი დოკვაძეს 30 წელი აქვს მისჯილი და რუსთავის მეექვსე საპყრობილეში იმყოფება. ადვოკატი დავით კორკოტაშვილი დარწმუნებულია, რომ სტრასბურგის სასამართლო ირაკლი დოკვაძეს უდანაშაულოდ ცნობს. ასევე პროკურატურისა და სასამართლოსთვის კარგადაა ცნობილი, თუ ვინ, რატომ და რა მოტივით ჩაიდინა აღნიშნული დანაშაული. თუმცა, არ იცის, რა მოტივი ამოძრავებდათ მათ, როცა აღნიშნული დანაშაულის ჩადენაში მტკიცებულებათა ფალსიფიცირების გზით ირაკლი დოკვაძე დაადანაშაულეს.**

*— ბატონო დავით, ირაკლი დოკვაძის საქმე სტრასბურგის სასამართლოში რატომ გააგზავნეთ, საქართველოში ყველა ინსტანციაში გქონდათ გასაჩივრებული?*

— უზენაესმა სასამართლომ ჩვენი სარჩელი დაუშვებლად ცნო, როგორც მას სჩვევია. ის შესული საჩივრების 95%-ს არ იხილავს და მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარს აცხადებს. თუ უზენაესი სასამართლო საჩივარს განიხილავს, ვალდებულია, სიღრმისეულად ჩასწვდეს არგუმენტაციას, მაგრამ უზენაესი სასამართლო, ფაქტობრივად, უარს აცხადებს საქართველოში მართლმსაჯულების განხორციელებაზე. ამ შემთხვევაშიც ყოვლად უსაფუძვლოდ თქვა უარი ირაკლი დოკვაძის საჩივრის განხილვაზე. ეს არის უზენაეს სასამართლოში დანერგილი მავნე პრაქტიკა. ჩვენ საჩივარი გავაგზავნეთ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში და ძალიან მალე მოგვივიდა დადებითი პასუხი, სტრასბურგის სასამართლომ საქმე განსახილველად მიიღო.

*— თქვენ რა მიიჩნიეთ მნიშვნელოვნად, როცა აგზავნიდით საქმეს სტრასბურგში?*

— ირაკლი დოკვაძეს ბრალად ედება, რომ იგი იმყოფებოდა რა გოჩა კვირჭიშვილის საცხოვრებელ სახლში, ყოველგვარი მოტივეს გარეშე, თავის არეში რკინის ჩაქუჩის ჩარტყმით სურდა მოეკლა გოჩა კვირჭიშვილი და მისი მეუღლე ელზა გულიაშვილი (ეს არის განაჩენის არსი), რომელმაც ასევე დაუდგენელი მიზეზების გამო განზრახვის სისრულეში მოყვანა ვერ შეძლო და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, შემდეგ იქნა დაკავებული, გასამართლებული და დასჯილი.

*— ორ ინსტანციაში არსებითად განხილვისას სასამართლომ მოტივი ვერ დაადგინა?*

— დიახ, ადამიანს დასდეს ბრალად მძიმე დანაშაული — ორსულ ქალბატონს თავში ჩაქუჩი ჩაარტყი და მოკვლა გინდოდაო (ასე რომ ყოფილიყო, რა ადამიანობაზეა საუბარი), მაგრამ, რა მოტივით უნდა გაეკეთებინა ეს დოკვაძეს, არ დაუდგენია. ეს საკითხი, საერთოდ, მიჩუმათებულია. საქმეში სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ჩავერთე, როდესაც, ფაქტობრივად, სასამართლო გამოძიება მთავრდებოდა. საქმე შევისწავლე და აღმოჩნდა, რომ ირაკლი დოკვაძე სრულიად უდანაშაულოა. ის, ფაქტობრივად, განტევების ვაცად აქციეს.

*— რატომ გგონიათ, რომ ირაკლი დოკვაძე უდანაშაულოა და ის განტევების ვაცად აქციეს?*

— საქმის გაცნობის შედეგად თვალშისაცემი გახდა იმ მტკიცებულებათა ფალსიფიკაცია, რომელიც პროკურატურამ სასამართლოში ბრალდების მტკიცებულებებად წარმოადგინა. ასევე საქმეშია გოჩა კვირჭიშვილის აშკარად ყალბი და მეტად საეჭვო ჩვენებები. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არსებობს დაზარალებულ ელზა გულიაშვილის დების ჩვენებები, მიცემული სასამართლო გამოძიების დროს, სადაც ისინი პირდაპირ ამხელენ გოჩა კვირჭიშვილსა და მის დედას, იზოლდა გაბუნიას, თავიანთი დის მკვლელობის მცდელობაში.

*— დაზარალებულმა ელზა გულიაშვილმა ბრალდებულის დედა კარგად მიიღო და მასაც უთხრა, რომ ირაკლი დოკვაძეს მისთვის არ დაურტყამს, მაგრამ ელზა გულიაშვილი რატომღაც დღემდე ქმედებაუუნაროდაა მიჩნეული. სასამართლო კი მისი ბედით რეალურად არ დაინტერესებულა. თუ აღნიშნული დანაშაული ირაკლი დოკვაძემ ჩაიდინა, დაზარალებული და მისი ოჯახი ბრალდებულის დედას კარგად რატომ უნდა ხვდებოდნენ?*

— ეს არანაირ ლოგიკაში არ ჯდება. თავად პროკურატურამ და სასამართლომ ყველაფერი გააკეთა, რომ ელზა გულიაშვილს როგორც წინასწარი გამოძიების დროს, ასევე სასამართლოში პროცესზე არ ჰყოლოდა კანონიერი წარმომადგენელი. კანონიერი წარმომადგენელი ნიშნავს ქმედებაუუნარო პირის, ანუ ელზა გულიაშვილის ინტერესების წარმოდგენას სასამართლოში. მას არ დაუნიშნეს კანონიერი წარმომადგენელი. მას, საერთოდ, მეურვეც არ ჰყოლია ოფიციალურად, კანონის დადგენილი წესით დანიშნული. ელზა გულიაშვილს თითქოს იცავდა დაზარალებული მხარის ადვოკატი. შემდეგ მისმა დებმა პარალელურად მოიწვიეს ადვოკატი დავით დადიანი. ის გაეცნო სისხლის სამართლის საქმის მასალებს, გაესაუბრა ქალბატონ ელზა გულიაშვილს, მონაწილეობა მიიღო სასამართლო გამოძიებაში და საბოლოო სიტყვაში მოითხოვა ირაკლი დოკვაძის პატიმრობიდან გათავისუფლება, ვინაიდან ის არის უდანაშაულო. ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა ქართული სამართლის ისტორიაში, როდესაც დაზარალებული ამბობს ბრალდებულზე, უდანაშაულოა და გაათავისუფლეთ პატიმრობიდანო.



*— რა მტკიცებულებები იყო და რა გაირკვა საბოლოოდ?*

— მტკიცებულებები იყო სისხლიანი ჩაქუჩი, რომელიც ამოღებულ იქნა შემთხვევის ადგილის დათვალიერების მეორე დღეს. თვალსაჩინო ადგილზე იყო ყუთში ჩადებული. აღმოჩნდა, რომ წინა დღეს იმავე ოთახში 7 საათის განმავლობაში ექსპერტები, გამომძიებლები და პოლიციელები შემთხვევის ადგილს დეტალურად ათვალიერებდნენ, რა დროსაც ამოიღეს საქმისთვის მნიშვნელოვანი ყველა არსებული მტკიცებულება, მაგალითად, სისხლის კვლები, გასროლილი მასრები, გადაჭრილი ბოთლები, რომლებიც მაყუჩად იყო გამოყენებული.

*— რომელზეც მიუთითებდა ირაკლი დოკვაძე, რომ გოჩა კვირჭიშვილი იარაღის გამოცდას ატარებდა გაურემონტებელ ბინაში.*

— დიახ. ეს სისხლიანი ჩაქუჩი ვერ იქნა აღმოჩენილი შემთხვევის პირველი დათვალიერების დროს. საინტერესოა, რაში დასჭირდა გამოძიებას შემთხვევის ადგილის ხელმეორედ დათვალიერება მეორე დღეს? ფაქტია, სისხლიანი ჩაქუჩი შემთხვევის ადგილის 7-საათიანი დეტალური დათვალიერების დროს იქ აღმოჩენილი არ ყოფილა. შესაბამისად, ჩვენ ვასკვნით, რომ აღნიშნული ჩაქუჩი და მასზე არსებული სისხლის ლაქები გაყალბებულია.

*— სისხლი შემდეგ არის ჩაქუჩზე მისხმული?*

— დიახ, შემდეგ არის მისხმული, რათა ყოფილიყო ვერსია, თითქოს გოჩა კვირჭიშვილისა და ელზა გულიაშვილისთვის თავის არეში დაზიანებები ჩაქუჩით არის მიყენებული. როცა ნახავ ჩაქუჩს და წარმოიდგენ, ირაკლი დოკვაძეს ეს ჩაქუჩი რამდენჯერმე თავში რომ ჩაერტყა ადამიანისთვის, მიხვდები, ის ნამდვილად ვერ გადარჩებოდა. ამ ჩაქუჩის ერთი დარტყმაც კი საკმარისია, ადამიანს თავი გაუჩეხო, ისეთი მძიმე და დიდი ჩაქუჩია. საქმეში კი საუბარია, რომ ეს ჩაქუჩი რამდენჯერმე ჩაარტყა გულიაშვილს თავის არეში და ასევე რამდენჯერმე ჩაარტყა გოჩა კვირჭიშვილს თავის არეში, რომელსაც ავარიის შედეგად თავი ჰქონდა დაზიანებული და პლატინა ჰქონდა ჩადგმული. ყოვლად დაუჯერებელ და ფანტასტიკურ ამბებს ყვება კვირჭიშვილი. ვინაიდან საჭირო იყო დანაშაულის საგანი, გადაწყვიტეს, დანაშაულის საგანი ყოფილიყო ჩაქუჩი, რომელიც ხელმეორე დათვალიერების დროს ბინიდან ამოიღეს. მტკიცებულებად წარმოადგინეს აგრეთვე დოკვაძის ფეხსაცმელი, რომელზეც თითქოსდა დადგინდა, რომ იყო სისხლის მცირე ნაწილაკები. როდესაც დოკვაძე დააკავეს და მიიყვანეს პოლიციაში, მას ჰკითხეს, რა ტანსაცმელი ეცვა, როცა გოჩა კვირჭიშვილთან იყო. დოკვაძემ მიუთითა, რაც ეცვა, მაშინ როცა თავისუფლად შეეძლო ეთქვა, რომ ის ტანსაცმელი ეცვა, რაც იმ წუთში. მან აღნიშნა, რომ სხვა ფეხსაცმელი ეცვა, ის უკვე გაფუჭებულია, წვიმაში ფეხი დაუსველდა, ძირი აბსოლუტურად გაცვეთილია და სახლში დაყარა. ეს ფეხსაცმელი ამოიღეს. ამოღების ოქმი რამდენჯერმე დაწერეს, გააყალბეს. შემდეგ ფეხსაცმელზე აღმოჩნდა სისხლის წერტილოვანი კვალი. ჩატარდა დნმ-ის ანალიზი, რომელმაც დაადგინა, რომ გოჩა კვირჭიშვილისა და ელზა გულიაშვილის სისხლის კვალი იყო. ასე, მტკიცებულების ხელოვნურად შექმნით გამოძიებამ შეთითხნა დოკვაძის ბრალდება.

*— როცა მტკიცებულებების ხელოვნურობაზე საუბრობთ, იმის თქმა გინდათ, რომ ფეხსაცმელზე ხელოვნურად დააწვეთეს დაზარალებულების სისხლი?*

— რა თქმა უნდა. შემთხვევის ადგილიდან მათ ჰქონდათ წაღებული სისხლის კვალი და მტკიცებულების ხელოვნურად შესაქმნელად გამოიყენეს. აღნიშნული ფეხსაცმელები არ დალუქეს კანონით დადგენილი წესით. ოჯახის წევრები დალუქვის ოქმს ხელს არ აწერენ, რაც ცალსახად დადასტურდა სასამართლოში.

*— როგორც ვიცით, ფეხსაცმელზე აღმოჩენილ სისხლთან დაკავშირებით არსებული ექსპერტიზის დასკვნაც ბუნდოვანია. იქ ეწერა, რომ იმდენად მცირე იყო სისხლის კვალი (სამი წერტილი სახით), რომ იმის დადგენა, ვისი სისხლია, თითქმის შეუძლებელი გახლდათ.*

— ექსპერტიზის დასკვნა ბუნდოვანია. მათ ფეხსაცმლიდან ამონაჭერი გააკეთეს და ისე ჩაატარეს ექსპერტიზა. ჩვენ ექსპერტიზისაგან მოვითხოვეთ, ნიმუში მოეცათ, გვინდოდა ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარება, მაგრამ გვიპასუხეს, ნიმუში ბუნებაში აღარ არსებობს, ვინაიდან ის ექსპერტიზის ჩატარების დროს დაიხარჯაო. შემდეგ მოვითხოვეთ, გადმოეცათ ფეხსაცმელები, რომელიც ასევე საქმის ნივთიერი მტკიცებულებაა. აღმოჩნდა, რომ სააპელაციო სასამართლოში ეს მტკიცებულება არ არსებობს. ფეხსაცმელიც გაქრა. გაქრა სისხლის კვალი, გაქრა ფეხსაცმელი.

*— ბრალდების ეს მტკიცებულებები მას შემდეგ გაქრა, რაც თქვენ სტრასბურგში საჩივარი შეიტანეთ?*

— არა. როდესაც პროცესი დამთავრდა, ყველა ნივთის უკან დაბრუნება მოვითხოვეთ, მათ შორის, ფეხსაცმლის, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ფეხსაცმელი არ არის.

*— პირველი ინსტანციის სასამართლოში იყო, სასამართლოზე აჩვენეს.*

— უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჩვენ ოფიციალურად გვიპასუხეს, რომ დოკვაძის ფეხსაცმელი, უმნიშვნელოვანესი მტკიცებულება, არ არსებობს. დარჩა კვირჭიშვილის ჩვენებები, რომელიც პირველი დაკითხვისას აჩვენებს, რომ მას წარმოდგენა არა აქვს, ვინ ჩაიდინა აღნიშნული დანაშაული, ვინ ჩაარტყა მას თავში. საერთოდ, დოკვაძეს არც კი ახსენებს.

*— კვირჭიშვილი ერთ-ერთ გაზეთში იქ ისეთ რამეებს ყვება, რაც მას სასამართლოში ჩვენებების დროს არ უთქვამს.*

— საერთოდ, გოჩა კვირჭიშვილის სტილია ახალ-ახალი ფაქტების მოგონება ყოველი დაკითხვის დროს და ახალი ვერსიების გაჟღერება, რაც მის არამყარ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე მიუთითებს. როგორ შეიძლება, ადამიანმა სიმართლე, რომელიც მყარად გაქვს ჩაბეჭდილი გონებაში, ცვალო და ამატო ტყუილები.

*— გაზეთში ამბობს, ისრაელში რომ ვიმკურნალე, მას შემდეგ გამახსენდა, რაც მოხდაო. ისრაელში ყოფნის შემდეგ არ მისცა ჩვენება სასამართლოში, რომ ის არ უთქვამს, რაზეც საუბრობს გაზეთში?*

— ადამიანი რომ თავის ჩვენებებს თავდაყირა აყენებს, ეს უკვე ეჭვის პირდაპირი საფუძველია. შეიძლება, ადამიანმა ყოველი დაკითხვის დროს ჩვენება შეცვალოს?

*— თქვენ ეჭვი შეგაქვთ ჩაქუჩით დანაშაულის ჩადენაში. გამოძიებას რაში დასჭირდა დანაშაულის იარაღად ჩაქუჩის წარმოდგენა?*

— აქ მთავარი ისაა, პროკურატურისა და სასამართლოსთვის ცნობილია თუ არა, სინამდვილეში რა მოხდა გოჩა კვირჭიშვილის საცხოვრებელ სახლში. ცალსახად დარწმუნებული ვარ, რომ მათ აქვთ ზუსტი სურათი და ზუსტი ინფორმაცია, თუ რა მოხდა გოჩა კვირჭიშვილის ოჯახში, ვინ ჩაიდინა აღნიშნული დანაშაული, რა მოტივით, რა იარაღით და რა ხერხით — ჩაქუჩია ჩარტყმული თუ სხვა საგანი.

*— აღნიშნული დასკვნის საფუძველს რა გაძლევთ?*

— აღნიშნული დასკვნის საფუძველს იძლევა პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ფირი. ირაკლი დოკვაძის ადვოკატებმა მოითხოვეს, ამოღებულიყო გოჩა კვირჭიშვილის საცხოვრებელი სახლის სადარბაზოსთან დამონტაჟებული ვიდეოთვალის ფირები, რომელიც 24-საათიან რეჟიმში ასახავდა დანაშაულის ჩადენის დღეს, გოჩა კვირჭიშვილის საცხოვრებელი სახლის სადარბაზოში შემავალ და გამავალ ყველა პირს, მათ შორის, დოკვაძის შესვლისა და გამოსვლის დროს, ანუ ყველაფერი იქნებოდა გაშიფრული. პროკურატურამ სასამართლოში ფირები წარმოადგინა და აღმოჩნდა, რომ მხოლოდდამხოლოდ ის მონაკვეთი არ იყო, რომელიც ადასტურებდა, როდის შევიდა ირაკლი დოკვაძე გოჩა კვირჭიშვილის სახლის სადარბაზოში და როდის გამოვიდა, ანუ დანაშაულის ჩადენის წინა პერიოდი, დანაშაულის ჩადენის პერიოდი და მომდევნო პერიოდი იყო ამოჭრილი, ანუ 12-დან 3 საათამდე პერიოდი ამოჭრილია.

*— ეს რას ნიშნავს?*

— ეს არის შეგნებულად გაკეთებული.

*— რატომ აკეთებს ამას პროკურატურა, რა ინტერესი აქვს?*

— ვერ გეტყვით, პროკურატურას რა მოტივი აქვს და რა ამოძრავებს.

*— შს სამინისტრომაც ჯერ კიდევ მაშინ გაავრცელა ირაკლი დოკვაძის ამ საკითხში ბრალეულობაზე განცხადება, როცა მისთვის რეალურად ბრალიც არ იყო წაყენებული (ამ განცხადებიდან ერთი თვის შემდეგ წაუყენეს ბრალი)...*

— არც ბრალი იყო წაყენებული და არც ეჭვი არსებობდა.

*— რატომ აბრალებს გოჩა კვირჭიშვილი ირაკლი დოკვაძეს ამ დანაშაულის ჩადენას?*

— დოკვაძე იმ დღეს რეალურად იყო კვირჭიშვილის ოჯახში მისული და იმიტომ აბრალებს. რატომაც იყო მისული დოკვაძე, კვირჭიშვილმა ძალიან კარგად იცის. დოკვაძემ მას მიუტანა მოსასმენი აპარატი, რომელიც თავისი ხელით ააწყო, რაც ამოიღეს შემთხვევის ადგილიდან (პატარა აპარატია). ის ძალიან მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა. ირაკლი დოკვაძემ განაცხადა, რაზე იყო მისული გოჩა კვირჭიშვილთან და სასამართლოზე მოითხოვა, სპეციალისტი მოეყვანათ და დეტალურად ახსნიდა, რა მექანიზმი სად როგორ იყო შეერთებული, რაზეც სასამართლომ მას უარი განუცხადა. ძალიან ბურუსით მოცული საქმეა.

*— ამბობენ, რომ მას შემდეგ, რაც კვირჭიშვილს გამომძიებლებმა უთხრეს, ის შეიძლებოდა დაეპატიმრებინათ მისი ყოფილი რძლის წინააღმდეგ დანაშაულის დაგეგმვის გამო, შემდეგ მასზე თავდასხმა თანდათან დოკვაძეს დააბრალა.*

— სავსებით შესაძლებელია. კვირჭიშვილის ბოლოდროინდელი გააქტიურებაც არ არის შემთხვევითი. ის თავისი გარდაცვლილი ძმის მეუღლეს საშინელი დანაშაულის — ქმრის მკვლელობას აბრალებს. აღნიშნული საკითხი გამოძიებულია, არაერთხელ განიხილეს და აბსურდულ გარემოებად მიიჩნიეს. როგორც გავიგე, მათ ახლა ოჯახური დავა აქვთ და აღნიშნული თემები ისევ წამოიწია.

*— სტრასბურგის სასამართლოს რას სთხოვთ?*

— ირაკლი დოკვაძის მიმართ სასამართლო არასამართლიანი იყო; მართლმსაჯულება განხორციელდა ფორმალურად, ვინაიდან ყველა ის შუამდგომლობა, რომელიც დაადასტურებდა ირაკლი დოკვაძის უდანაშაულობას, მტკიცებულებათა ფალსიფიცირებას, უარყოფილ იქნა სააპელაციო სასამართლოს მიერ. სასამართლომ მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევების იგნორირება მოახდინა.

*— რა საპროცესო დარღვევებზე ამახვილებთ ყურადღებას?*

— უპირველესად, ჩვენ ვითხოვდით ჩასტარებოდა განმეორებითი ფსიქიატრიული და ფსიქოლოგიური ექსპერტიზა ქალბატონ ელზა გულიაშვილს, ვინაიდან მისთვის ტრავმის მიყენებიდან შუამდგომლობის აღძვრამდე გასული იყო თითქმის წელიწად-ნახევარი.

*— სასამართლო პროცესზე დები აცხადებდნენ, რომ ელზა გულიაშვილი სრულ გონებაზეა.*

— ამას მისი ადვოკატი დავით დადიანიც ადასტურებს, რომელმაც ინახულა.

# ნანა ფაჩუაშვილი: თეატრის სიყვარული ბევრ რამეს გაგაკეთებინებს“

ეკა ირემაშვილი

მსახიობმა ნანა ფაჩუაშვილმა ქალის საუკეთესო როლისთვის თეატრის მოღვაწეთა კავშირისგან ჯილდო მიიღო. ხელოვანი ქეთი დოლიძის მიერ ათონელის თეატრში დადგმულ სპექტაკლში „დილა მშვიდობისა, ასდოლარიანო!“ მთავარი როლის – მერის შესრულებისთვის დაჯილდოვდა. მსახიობი სპექტაკლში დაუძლურებული მოხუცის როლს თამაშობს. წარმოდგენაში მასთან ერთად ნინელი ჭანკვეტაძე, რამაზ იოსელიანი და ნუგზარ რუხაძე მონაწილეობენ. ათონელის თეატრში დადგმული სპექტაკლი შემოქმედებითმა ჯგუფმა საფრანგეთშიც ჩაიტანა და იქ მცხოვრები ქართველებისთვის გაითამაშა.

ამჟამად მსახიობი რუსთაველის თეატრში ახალ როლზე მუშაობს, სადაც ასევე მოხუც ქალს განასახიერებს. კიდევ რა სიახლეებია ნანა ფაჩუაშვილის შემოქმედებაში, ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ.

**ნანა ფაჩუაშვილი:**

– ძალიან გახარებული და ბედნიერი ვარ. წლის საუკეთესო ქალის როლისთვის დამაჯილდოვეს. როცა ჟიურიში არიან თეატრმცოდნეები და რეჟისორები, წინასწარ არაფერს ამბობენ. როცა კონკურენციაა, ყოველთვის მოულოდნელობა ჯობია.

***– ელოდით ამ წოდებას?***

– ფაქტი ერთია, როცა მაყურებელი მადლიერია, იქ ყველაფერი ნათქვამია. ამას მსახიობი ყოველთვის გრძნობს. შეიძლება, ჩემს თამაშს ვერ ვგრძნობდე, მაგრამ ყოველთვის ვგრძნობ, როგორ მიიღო მაყურებელმა ეს სპექტაკლი. ერთ წელზე მეტი ვთამაშობდით ათონელის თეატრში და ძალიან მადლიერი იყო მაყურებელი. აქედან გამომდინარე, შემიძლია ვთქვა, რომ ეს როლი წარმატებულია.

***– თემა საკმაოდ მტკივნეულია.***

– თემაც ცნობილია, პერსონაჟიც საკმაოდ ახლობელია. როცა ადამიანი წლებში შედის და ბერდება, სამწუხაროდ, ყველაზე რთული პერიოდი იწყება. ადამიანებს სიბერე თითქმის ერთნაირი აქვთ – ავადმყოფობენ, მარტო რჩებიან. ერთხელ ჩვენს სპექტაკლზე იაპონელები იყვნენ სტუმრად და ერთ-ერთმა თქვა, ამ სპექტაკლმა დედაჩემი გამახსენა და ცრემლი ჩამომივარდა, დედა ზუსტად ასეთ მდგომარეობაში მყავდაო. უმეტესობას, ალბათ, სიბერე ერთნაირად ულიმღამო და ავადმყოფობით მტკივნეული აქვს. როცა ასეთი მოხუცი შენი ახლობელია, მეტად გტკივა, გაწუხებს და, გინდა, არ გინდა, პარალელს ავლებ. ხატიანოვსკი-გარუჩავას პიესამ ის მოიგო, რომ ძალიან დღევანდელი, ძალიან თანამედროვე, ახლობლური, მტკივნეული და ნაცნობი თემაა.

***– როგორია თქვენი მერი?***

– პირველ მოქმედებაში მერის ავადმყოფობას აქვს ხაზი გასმული. ის უმწეო, უსუსური მოხუცია. უკვე რომ მიდიხარ ამ ცხოვრებიდან, ადამიანი ყოველთვის გარკვეულ პარალელს ავლებ და შენს თავს ან შენს ახლობელს ადარებ და გტკივა. ამიტომაც მაყურებელს გარკვეული სიმპათიები ებადება ასეთი პერსონაჟების მიმართ. ალბათ, ამით რაღაც მოიგო ჩემმა გმირმა – ის ძალიან ახლობელი იყო. ადამიანი ასეთ ფორმაში როდესაც ნახავს მეორე ადამიანს, სიბრალულის გრძნობა ეუფლება და ეს ყველაფერი მტკივნეულია. არავინ ვიცით, როგორ დავბერდებით, როგორ წავალთ ამ ცხოვრებიდან, წვალებით, შეუბრალებლობით. სადღაც კარგიც არის, რომ არ ვიცით, როგორ გავალთ ამქვეყნიდან.

***– ქართველი მაყურებელიც ატირეთ?***

– ერთხელ, მახსოვს, დიმა ჯაიანმა ბრძანა, ექიმები იყვნენ ჩემთან ერთად პარტერში და ერთმა მითხრა, ალბათ, ეს მსახიობი თვეობით დადიოდა საავადმყოფოში და იღებდა იქიდან ნიუანსებსო. არც ერთი დღე საავადმყოფოში არ ვყოფილვარ, უბრალოდ, როცა ადამიანი მგრძნობიარეა, ის უკვე ჯდება მასში. რისი მსახიობია, რომ ეს ყველაფერი არ გაიხსენოს, არ გააკეთოს და არ გადმოსცეს.

***– მსახიობები ამბობენ, რომ ესა თუ ის თვისება კონკრეტული ადამიანისგან აიღეს. თქვენი პერსონაჟი როგორ შეიქმნა?***

– არ ვიცი, რაღაც საოცრება მოხდა. ჩემში, ეტყობა, ეს იჯდა, თავისთავად მოხდა ყველაფერი. დამერწმუნეთ, თქვენ რომ მოგცენ ეს როლი, მიუხედავად იმისა, რომ პროფესიონალი მსახიობი არ ხართ, მაინც წამოგიტივტივდებათ რაღაც, რაც თქვენს გონებაშია ჩარჩენილი. ალბათ, ეს ყველაფერი ჩემში დაგროვდა, პატარა ხომ აღარ ვარ. რეპლიკებზე წამოვიდა პერსონაჟის აგება, რეჟისორის ამოცანიდან წამოვიდა. როცა სწორ ამოცანას გეტყვის რეჟისორი, მაშინ ყველაფერი გამოვა. ქეთი დოლიძემ ეს ნამდვილად გააკეთა. მე მადლიერი მსახიობი ვარ და ვიცი რეჟისორის ფასი. როდესაც რეჟისორი სწორად მუშაობს, მსახიობი ყოველთვის სწორ გზაზეა.

***– მანამდე გიმუშავიათ ერთად?***

– არა, მიუხედავად იმისა, რომ ოჯახებით ახლობლები ვართ, ერთად არასოდეს გვიმუშავია. ჩვენ სხვადასხვა თეატრში ვმუშაობდით და ერთმანეთს არ შევხვედრივართ. ფილმებში არ ვყავდი დანახული და ახლა ამბობს, ძალიან ენანობ, რომ ნანა ჩემს ფილმებში არ არისო.



***– ახლა უკვე გვიანია?***

– რა თქმა უნდა, როცა ახალგაზრდა ვიყავი, მაშინ უფრო შეიძლებოდა ჩემი ფილმებში გადაღება. ახლა უკვე გვიან არის.

***– დანარჩენ მსახიობებთან ერთადაც არასდროს გითამაშიათ?***

– არც ნინელი ჭანკვეტაძესთან, არც რამაზ იოსელიანთან არ მითამაშია. მათი სახით შევიძინე ძალიან კარგი მეგობრები. ნინელის ძალიან დიდი წვლილი აქვს, ქეთისთან ერთად, რომ ასე ვითამაშე ეს როლი, იმიტომ რომ არ მინდოდა არ როლის თამაში, ნინელი კი ძალიან მეხმარებოდა.

***– რატომ არ გინდოდათ, გეშინოდათ?***

– არა, შიში არაფერ შუაშია. არ მინდოდა, მეთამაშა იმ თეატრში, სადაც სამხატვრო ხელმძღვანელი ვარ. არაფერი არ მითამაშია ათონელის თეატრში. ვფიქრობ, ორ საქმეს ადამიანი ვერ გააკეთებს ხარისხიანად. ღმერთის წყალობით, ამ შემთხვევაში ყველაფერი გამოვიდა.

***– სრულიად არაპროფესიონალია ნუგზარ რუხაძე. როგორი პარტნიორობა გაგიწიათ?***

– ყველა არაჩვეულებრივია. ამ ადამიანების სახით შევიძინე არაჩვეულებრივი მეგობრები და პარტნიორები. ნუგზარ რუხაძე ქეთის აღმოჩენაა. მანამდე უთამაშია ამერიკაში ლევან უჩანეიშვილთან და ია ფარულავასთან ერთად. როცა ადამიანი ნიჭიერია, ის უკვე საინტერესოა.

***– ეს სპექტაკლი საფრანგეთში წაიღეთ. ბევრი ქართველი მოვიდა?***

– ძირითადად ეს სპექტაკლი ქართველი ემიგრანტებისთვის ჩავიტანეთ. ბევრი ქართველი იყვო. ერთი კურიოზი დამემართა, თუ ამას კურიოზი ჰქვია. აქედან წავედი ვირუსიანი, როგორც კი ჩავედი, ხმა დავკარგე. ამდენი წელია, რუსთაველის თეატრში ვარ, ვეშაპ სცენაზე ვდგავარ და ხმა არასოდეს დამიკარგავს. რომ ჩავედი საფრანგეთში, საერთოდ არ მქონდა ხმა. ქეთი თბილისს დაუკავშირდა, დიდი დოზით მივიღე საკმაოდ ძლიერი წამლები, ცოტა პანიკაც იყო, საღამოს სპექტაკლი იყო. დილით ხმა ცოტათი წამოვიდა. სამი სპექტაკლი ვითამაშეთ და მაყურებელმა თქვა, რამხელა გარდასახვა იყო, ხმაც კი ბებრული და ხრინწიანი იყოო, სინამდვილეში მე ჩემი გაჭირვება მქონდა, არ ვიცოდი, როდის მიმტყუნებდა ხმა. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა, ისეთი გულწრფელი იყო მათი ცრემლები, ტაში, ემოციები, ყველაფერი დამავიწყდა. ისეთი წერილები მიიღო ქეთიმ, გულის ამაჩუყებელი, ვერც წარმოიდგენთ. საკმაოდ მნიშვნელოვანი და საჭირო გასტროლები იყო, თან სპექტაკლის თემაც დროული და საჭიროა.

***– მას შემდეგ, რაც ეს პერსონაჟი ითამაშეთ, არ შეგეშინდათ სიბერის?***

– ერთ საიდუმლოებას გაგიმხელთ, ამ სპექტაკლში არანაირი გრიმი არ მაქვს. რაღაც ისეთი რამ ხდება, საკმარისია, დავიხურო ქუდი და გაპუწული თმა იქიდან გამოჩნდეს, ჩემში უცნაური რამ ხდება, უკვე სულიერად ვბერდები. არ ვიცი, ეს როგორ გითხრათ. გასვლის წინ უკვე ვარ სერიოზულად ბებერი. არც ერთი ხაზი ფანქრით არ მაქვს გაკეთებული. ტონი, რომელიც სიფერმკრთალეს იძლევა, ისიც არ მაქვს. დამიჯერეთ, როდესაც ადამიანი შინაგანად გრძნობს თავს ბებრად, ის ნამდვილად უკვე ბებრად გამოიყურება, მით უმეტეს, ათონელის თეატრში იმდენად პატარა სცენაა, რომ იქ არც შეიძლება, გრიმი გაიკეთო.

***– ეს პერსონაჟი „დურუჯზეც“ იყო წარდგენილი.***

– ჩემი აზრით, აქ ბევრად კომპეტენტური ჟიური იყო, ვიდრე „დურუჯზე“. იმიტომ არა, რომ აქ მომანიჭეს პრიზი. ჟიურიზე მართლა ბევრია დამოკიდებული. როდესაც ჟიურიში პროფესიონალები არიან, იქ მეტი ობიექტურობაა. ამაზე მეტს ვერ გეტყვით „დურუჯთან“ დაკავშირებით. ჩემი შეცდომა ის იყო, რომ საერთოდ „დურუჯში“ მივიღე მონაწილეობა, მაგრამ, ხომ იცით, შეცდომებზე სწავლობენ.

***– ახლა რაზე მუშაობთ?***

– ახალ როლს ვამზადებ რუსთაველის თეატრში. ტომ სტოპარდის ერთ-ერთი პიესაა. არ მაქვს ძალიან დიდი როლი, მაგრამ მნიშვნელოვანი როლია. კარგად მაქვს დაცდილი პატარა როლების თამაში. მინდა, გავხადო საინტერესო, ამიტომ იქ მინდა, რთული და საოცარი გრიმი გავიკეთო. რუსთაველის თეატრში დიდი სცენაა და, რომ არ დავემსგავსო ამ სპექტაკლის პერსონაჟს, სხვა ხერხებს ვეძებ.

***– იქაც ბებერს თამაშობთ?***

– დიახ. ხომ იცით, როგორც არის. ერთხელ რომ ითამაშებ, მერე უკვე მორჩა.

***– ეს ყველაფერი თქვენზე ფსიქოლოგიურად არ მოქმედებს?***

– როცა პარტნიორი არის ლამაზი, ახალგაზრდა და მიმზიდველი ყველანაირად, მე რა დამრჩენია? დამრჩენია, ვიყო უშნო, ბებერი, მაგრამ – ხარისხიანი. შეიძლება, ის არის ჩემი პლუსი, რომ ყოველთვის ვგრძნობ, რა, რატომ და როდის უნდა ვითამაშო.

***– ანუ თქვენი წლები თქვენი სიმდიდრეა?***

– სამწუხაროდ, ასეა. ანა მანიანმა ბრძანა, ჩემი თითოეული ნაოჭი მიყვარს, მასთან ბევრი ჩემი წარმატებაა დაკავშირებულიო. მე ნამდვილად არ მიყვარს ჩემი ნაოჭები, მაგრამ, რა ვქნა, მაქვს და... აზრი არა აქვს ახლა ხელოვნურ ჩარევას. მსახიობი ნაოჭების გარეშე არაფერია. ის მიმიკა, ის პლასტიკა, ის სახიერი გამოსახვაა მთავარი და ეს არის ჩვენი ინსტრუმენტი. ძალიან მინდა, უფრო კარგად გამოვიყურებოდე, მაგრამ ამაზე მეტად მინდა, ვიყო კარგი მსახიობი. იცით, რა გაგებით ვამბობ? ჩემი გამომეტყველება მინდა გადაედოს მაყურებელს და დამეხმაროს განცდებში, იმ იუმორში, რისი გადმოცემაც მინდა. აუცილებლად ბუნებრივი უნდა იყო, სხვანაირად არ გამოვა ხარისხი. ჩემი პროფესიის გამო, იძულებული ვარ, მქონდეს ნაოჭები, ჯობია, ვიყო კარგი მსახიობი. ჩემი სილამაზე უკვე გაქრა, ყვავილივით დაჭკნა, ახლა უკვე სხვა რამით შემიძლია მაყურებლის მოხიბვლა.

***– რაც ასაკი მოგემატათ, როლების ნაკლებობას არ უჩივით?***

– მსახიობი უნდა შეეგუოს იმას, რომ რეპერტუარი არ არის. ძირითადად ახალგაზრდებზეა აქცენტი. მაშინ ვიღაც უნდა დაინტერესდეს, რომ შენ გამო მოიტანოს პიესა თეატრში. მე უფრო ვერგები რუსთაველის თეატრს, ვიდრე რუსთაველის თეატრი მერგება მე. იყო დრო, როცა რუსთაველის თეატრი მე მერგებოდა, მაგრამ ის დრო წავიდა. ახლა ის პერიოდია, როცა მე უნდა მოვირგო.

***– ამას შეეგუეთ?***

– სხვა გზა ნამდვილად არ არის. ვის უნდა ვეჯიბრო, როცა მდინარე მიდის სხვა დინებით? ამიტომ ყოველთვის უნდა ვამტკიცო, რომ ჯერ კიდევ შემიძლია. ბრძოლისუნარიანი ადამიანი ვარ. როცა მსახიობი ამას ვერ შეძლებს, ის უკვე მუშაობასაც ვერ შეძლებს. ბევრი მაგალითი მქონია ჩემს შემოქმედებაში, როცა დამიმტკიცებია, რომ შემიძლია. ეს ხშირად არ ხდებოდა, მაგრამ, როცა მოვიდა პერიოდი, რომ ახალგაზრდა აღარ ხარ, რეპერტუარი, სამწუხაროდ, ისე არ გეწყობა, როგორც გინდა, პატარა როლს რომ მოგცემენ, უნდა იყო მაგარი, ყოველ შემთხვევაში, ამისთვის ვიბრძვი.

***– ათონელის თეატრში გაქვთ პრემიერები?***

– არა, ეს ძალიან რთულია. ვინაიდან ეს კერძო თეატრია, მატერიალური შესაძლებლობები ცოტაა. ჩვენ არ გვაქვს საშუალება, დავდგათ ახალი სპექტაკლები. ჩვენ გვირჩევნია, თუკი რამეს გავაკეთებთ, იყოს ხარისხიანი. ეს ექსპერიმენტი ჩავატარე – ბევრი სპექტაკლი დავდგით, მაგრამ არ გამოდგა. ერთხელ სტრუქტურას ვცვლით, მორჩვეთ, რა გავაკეთოთ-მეთქი. ექსპერიმენტებზე იმუშავეთ. თითქოს გავაკეთეთ, მაგრამ არ გაამართლა. ცოტა რთულია, აღმოაჩინო საინტერესო რეჟისორი, საინტერესო მსახიობი, ამას წლები უნდა. ამას ათონელმა ველარ გაუძლო.

***– გიღირდათ ამ თანამდებობაზე წასვლა?***

– ძალიან სასიამოვნოა. მსახიობის შემოქმედებაში ყოველთვის არის ეტაპები. შემიძლია, ჩემი შემოქმედება სამ ეტაპად დავყო – როცა მაძლევდნენ ლამაზმანებს, ცისფერ როლებს, უმწეოს, როცა სხვები ძალადობდნენ, ეს წლების მანძილზე გრძელდებოდა. მეორე ეტაპზე, როცა 40 წელს მივუახლოვდი, უკვე დაიწყო ისეთი როლები, როცა სულიერად მარტოა პერსონაჟი, გამიმართლა, ერთი-ორჯერ თვითონ ავირჩიე პიესა, სტურუამ ხელი შემიწყო, რომ ის პიესები დაიდგა. ასეთი რამ თითქმის არ ხდება, მაგრამ ესეც ბედია. მარტოობის თემა იყო, უცნაური ქალები ვითამაშე, მაგრამ – საინტერესო და საყვარელი პერსონაჟები. მესამე ეტაპზე იყო საკმაოდ ძლიერი, მრისხანე, შურისმაძიებელი როლები. ჩემდა საბედნიეროდ, ჩემი შემოქმედება სამ ეტაპად დაიყო. როცა ილევა შენი შემოქმედების, ჯანმრთელობის რესურსი, ყოველთვის არის გამოსავალი...

***– წახვიდე თეატრიდან?***

– არა, კი არ წახვიდე, მაინც იყო თეატრში და აკეთო ის საქმე, რომელიც გიყვარს. ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო, მომეწვია ჩემი კოლეგები ათონელის თეატრში, მიმეცა მათთვის მწვანე გზა და ეკეთებინათ თავიანთი საყვარელი საქმე. ეს დიდ სიამოვნებას მგვრიდა და მგვრის დღესაც, იმიტომ კი არა, რომ ძალიან კეთილი ვარ, ესეც მშველის, რომ შემოქმედებითად გავიხანგრძლივო სიცოცხლე.

***– „სამოთხის ვაშლები“ რაში გშველით?***

– „სამოთხის ვაშლები“ მშველის იმაში, რომ ვარ მუდმივ მეცადინეობაში. ამ ხნის ადამიანმა ვისწავლე კომპიუტერი, სულ კომპიუტერში ვარ, ვაგროვებ მასალებს. შეიძლება, ათი ფურცელი წავიკითხო და ერთი წინადადება ვთქვა გადაცემაში, მაგრამ მომზადებული მივდივარ ჩემს კოლეგებთან, ახალგაზრდებთან და ჩემს პროდიუსერთან, თან რეჟიმში ვარ, დილას ადრიანად ვდგები, თავს ტელევიზიაში ვიწესრიგებ, ჩემს კოლეგებთან, ახალგაზრდებთან, ჩვენს სტუმრებთან მაქვს კონტაქტი. ბევრი საინტერესო თემა გვაქვს. ეს ყველაფერი, ჩემთვის პირადად, საინტერესოა. ტელევიზიასაც თავისი ხიბლი აქვს და პოპულარობაც, რა თქმა უნდა.

***– მოგწონთ პოპულარობა?***

– მსახიობები ამბობენ ხოლმე, არ მიყვარს პოპულარობაო, მე, პირიქით, ძალიან მიყვარს პოპულარობა, რატომაც არა?! ეს ძალიან ბევრს ნიშნავს. თეატრისგან განსხვავებით, ტელევიზია მომენტალურად გხდის პოპულარულს, იმიტომ რომ თეატრში ყველა არ დადის. სერიალში ნაკლებად არის ხარისხი, ვიდრე თეატრში, უბრალოდ, იქაც პოპულარობის შანსი მეტია. ვითამაშე ერთ-ერთ სერიალში და სიამოვნება ნამდვილად მივიღე. ის პერსონაჟი დღესაც ძალიან მიყვარს, იქაც დიდი შრომაა საჭირო და, რაც მთავარია, კარგი რეჟისორი, რომ სწორად მოგცეს ამოცანა და მიაღწიო მიზანს. სერიალი ხომ იმისია, ვითარდებოდეს, თუმცა, შეიძლება, სულაც არ განვითარდეს.

***– თქვენმა გამოცდილებამ მოგცათ იმის უფლება, რომ აირჩიოთ როლები?***

– მსახიობს იშვიათად ეძლევა საშუალება, თვითონ აირჩიოს როლი. ასეთი ორი როლი მქონდა და რაღაცნაირად თავი გავართვი, მაგრამ დიდი მასშტაბის როლები, რაზეც ოდესღაც ვოცნებობდი, არ შედგა და მივხვდი, რომ ოცნებას აზრი არა აქვს. როცა რეჟისორი შემოგთავაზებს როლს და ამაზე არც კი გიფიქრია, დავრწმუნდი, რომ ასეთი შემოთავაზებები უფრო ამართლებს. ზოგჯერ არც იცი ამ პიესის არსებობა, ამიტომ ჯობია, სხვამ იფიქროს და შენ იყო მისი აღმოჩენა, ვიდრე ტყუილად იოცნებო. მსახიობისთვის ბედი აუცილებელია. ჩემს თაობაში საკმაოდ საინტერესო და კარგი კოლეგები იყვნენ სხვადასხვა თეატრში, მაგრამ არ სწყალობდათ ბედი, ან შეიძლება მათი დანაშაულიც არის. თეატრი თუ არ გიყვარს ფანატიკურად, თუ არ გადალახე საოცარი ბარიერები, საოცარი ტკივილი...

***– ინტრიგების ბარიერებიც?***

– ინტრიგები ნაკლებად არის. უფრო სიძნელეების ბარიერი ვიგულისხმე. როცა გული გეტკინება, ან შენ უნდა გეთამაშა და ვერ დაგინახეს, ეს ყველაფერი მოქმედებს ადამიანზე. არანაკლებ მნიშვნელოვანია, სხვისი წარმატების აღქმა როგორ მოქმედებს შენზე, ზოგი წახდება, ზოგს ინტერესი უფრო მეტი აქვს. ეს ყველაფერი უნდა შეძლო. სიყვარული ხომ ძალიან ბევრ რამეს გაკეთებინებს! ასევეა თეატრიც. როცა ფანატიკურად გიყვარს თეატრი, ყველაფერი გამოვა. მე ნამდვილად ფანატიკურად მიყვარდა და მიყვარს ჩემი თეატრი, ალბათ, ამიტომაც შევძელი ის, რომ ჩემი თაობიდან მარტო დავრჩი. ამას ტრაბახით ნამდვილად არ ვამბობ, ჩემი თაობის მეგობარი გვერდით არავინ მყავს. ეს ტრაგედიაა. ჩემი თაობის მამაკაცი მსახიობებიც კანტიკუნტად არიან შემორჩენილი. ბევრმა ამ სიძნელეებს ვერ გაუძლო, ან თავიანთი ხასიათის გამო, ან სხვამ დაჩაგრა, ან დრომ მოიტანა. მიზეზი უამრავია. ძალიან ბევრ სიძნელეს გავუძელი, იმიტომ რომ ძალიან მიყვარდა თეატრი და, ალბათ, იმიტომ, რომ ბედიც მწყალობდა. ჩემთვის ახლა მთავარია, რაც შეიძლება საინტერესოდ, მშვიდად ვიცხოვრო, რაც კი დამრჩენია, ვიყო სასურველი დედა, სასურველი მეგობარი, სასურველი ბებია და მსახიობი. ეს არის ჩემი ოცნება და მგონია, რომ ძალიან ბევრია. ძალიან მინდა, გამიმართლოს. მიუხედავად ჩემს ცხოვრებაში ბევრი ტრაგედიისა, მინდა, მქონდეს მშვიდი სიბერე და თუნდაც რომელიმე ასპექტში სასურველი ვიყო.

# ინგლისსა და საფრანგეთში ნაკლული ტურია



## ინგლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 14.04 | ნორვიჩი-სიტი | 5.5 | 4.33 | 1.53 |
| 14.04 | სუონსი-ბლექბერნი | 2.0 | 3.4 | 3.75 |
| 14.04 | სანდერლენდი-ვულვზი | 1.53 | 4.2 | 6.0 |
| 14.04 | ვესტ ბრომვიჩი-ქპრ | 2.05 | 3.5 | 3.4 |
| 15.04 | მანჩესტერი-ასტონ ვილა | 1.17 | 6.0 | 10.0 |
| 16.04 | არსენალი-უიგანი | 1.22 | 5.0 | 9.5 |

**ნორვიჩი-სიტი**

ნორვიჩი: ***ტრავმ***-აარონ ვილბრაამი, მაიკლ ტიერნი, დანიელ აიალა

სიტი: ***ტრავმ***-იაია ტურე; დისკვ-მარიო ბალოტელი

**სუონსი-ბლექბერნი**

სუონსი: ***ტრავმ***-კემი აუგუსტინი

ბლექბერნი: ***ტრავმ***-მიჩელ სალგადო, ვინსე გრელა; ***დისკვ***-ანტონი მოდესტე

**სანდერლენდი-ვულვზი**

სანდერლენდი: ***ტრავმ***-ნიკლას ბენდტნერი, ფრეიზერ კემბელი, ჯონ ოში, ვესლი ბრაუნი, ტიტუს ბრამბლი

ვულვზი: ***ტრავმ***-სტივენ ჰანტი, ჯიმი ოჰარა

**ვესტ ბრომვიჩი-ქპრ**

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-ლიამ რიდველი, ჯიმი მორისონი, ჯერომ ტომასი, მარტონ ფულოპი, სტივენ რიდი, ზოლტან გერა

ქპრ: ***ტრავმ***-ალეხანდრო ფორლინი, კირონ დაიერი; ***დისკვ***-შონ დერი, ჯიბრილ სისე

**მანჩესტერი-ასტონ ვილა**

მანჩესტერი: ***ტრავმ***-ფედერიკო მაკედა, ანდერსონი, ანდერს ლინდეგაარდი, დარენ ფლეტჩერი, ნემანია ვიდიჩი, მაიკლ ოუენი

ასტონ ვილა: ***ტრავმ***-მარკ ალბრაიტონი, კრის ჰერი, სტივენ ვორნოკი, სტილიან პეტროვი, დარენ ბენტი, ფაბიან დელფი, კირონ კლარკი, რიჩარდ დანი

**არსენალი-უიგანი**

არსენალი: ***ტრავმ***-კირონ გიბსი, ჟერვინიო, აბუ დიაბი, პერ მერტეზაკერი, ემანუელ ფრიმპონგი, ჯეკ უილშირი; ***დისკვ***-ლორენ კოსიენლი

უიგანი: ***ტრავმ***-უგო როდალეგა(?)

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 33 | 25 | 4 | 4 | 78:28 | 79 |
| 2.სიტი | 33 | 23 | 5 | 5 | 79:26 | 74 |
| 3.არსენალი | 33 | 20 | 4 | 9 | 66:41 | 64 |
| 4.ტოტენჰემი | 33 | 17 | 8 | 8 | 57:38 | 59 |
| 5.ნიუკასლი | 33 | 17 | 8 | 8 | 50:42 | 59 |
| 6.ჩელსი | 33 | 16 | 9 | 8 | 56:38 | 57 |
| 7.ევერტონი | 33 | 13 | 8 | 12 | 38:34 | 47 |
| 8.ლივერპული | 33 | 12 | 10 | 11 | 40:36 | 46 |
| 9.ფულემი | 33 | 11 | 10 | 12 | 43:43 | 43 |
| 10.ნორვიჩი | 33 | 11 | 10 | 12 | 46:52 | 43 |
| 11.სანდერლენდი | 33 | 11 | 9 | 13 | 42:41 | 42 |
| 12.სტოკი | 33 | 11 | 9 | 13 | 32:45 | 42 |
| 13.ვესტ ბრომვიჩი | 33 | 11 | 6 | 16 | 39:47 | 39 |
| 14.სუონსი | 33 | 10 | 9 | 14 | 35:44 | 39 |
| 15.ასტონ ვილა | 32 | 7 | 14 | 11 | 35:44 | 35 |
| 16.ქპრ | 33 | 8 | 7 | 18 | 38:56 | 31 |
| 17.უიგანი | 33 | 7 | 10 | 16 | 31:57 | 31 |
| 18.ბოლტონი | 32 | 9 | 2 | 21 | 36:65 | 29 |
| 19.ბლექბერნი | 33 | 7 | 7 | 19 | 45:70 | 28 |
| 20.ვულვზი | 33 | 5 | 7 | 21 | 34:73 | 22 |

## ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 14.04 | რეალი-ხიხონი | 1.08 | 10.0 | 23.0 |
| 14.04 | ლევანტე-ბარსელონა | 12.0 | 6.0 | 1.22 |
| 15.04 | ესპანიოლი-ვალენსია | 2.9 | 3.25 | 2.4 |
| 15.04 | ბეტისი-ოსასუნა | 1.91 | 3.4 | 4.0 |
| 15.04 | სარაგოსა-გრანადა | 2.1 | 3.2 | 3.5 |
| 15.04 | ვილიარეალი-რასინგი | 1.5 | 4.0 | 6.5 |
| 15.04 | მალაგა-სოსიედადი | 1.5 | 4.0 | 7.0 |
| 15.04 | ბილბაო-მალიორკა | 1.75 | 3.6 | 4.5 |
| 15.04 | რაიო-ატლეტიკო | 2.87 | 3.3 | 2.37 |
| 16.04 | ხეტაფე-სევილია | 2.5 | 3.3 | 2.75 |

**რეალი-ხიხონი**

რეალი: ***ტრავმ***-არავინ

ხიხონი: ***ტრავმ***-სებასტიენ ეგურენი, ფორმოუზ მენდი, არნოლინ გრეგორი

**ლევანტე-ბარსელონა**

ლევანტე: ***ტრავმ***-ასიერ დელ ორნო

ბარსელონა: ***ტრავმ***-დანი ალვეში, ხერარდ პეკი, ერიკ აბიდალი, ფონტასი, დავიდ ვილია, იბრაჰიმ აფელაი

**ესპანიოლი-ვალენსია**

ესპანიოლი: ***ტრავმ***-ხუან ალბინი, რუი ფონტე, ფელიპე მატიონი

ვალენსია: ***ტრავმ***-ვიქტორ რუისი, რობერტო სოლდადო, მიგელი, ევერ ბანეგა

**ბეტისი-ოსასუნა**

ბეტისი: ***ტრავმ***-ნელსონი, მარიო, ალდეკოაოტალორა უსტარისი

ოსასუნა: ***ტრავმ***-რუბენ გონსალესი, ჯავალ ნეკოუმანი, სერხიო, იბრაჰიმ ბალდე, კიკე სოლა, მასუდ სოჯაიე

**სარაგოსა-გრანადა**

სარაგოსა: ***ტრავმ***-არავინ

გრანადა: ***ტრავმ***-რობერტო, ფრან რიკო, პაპე დიაკატე, ჰასან იებდა

**ვილიარეალი-რასინგი**

ვილიარეალი: ***ტრავმ***-ანგელ ლოპესი, ხოსე კატალა, ჯუზეპე როსი

რასინგი: ***ტრავმ***-მარიო(?), ლაუტარო აკოსტა, ტონო

**მალაგა-სოსიედადი**

მალაგა: ***ტრავმ***-ვილფრედ კაბალიერო, ხიაკიმი, ჯერემი ტულანანი, ჟულიო ბაპტისტა

სოსიედადი: ***ტრავმ***-ვადიმ დემიდოვი, ინიგო მარტინესი, მარკელ ბერგარა

**ბილბაო-მალიორკა**

ბილბაო: ***ტრავმ***-ინიგო ლოპესი, დავიდ ლოპესი, იგორ მარტინესი, კარლოს გუპრეგი

მალიორკა: ***ტრავმ***-არავინ

**რაიო-ატლეტიკო**

რაიო: ***ტრავმ***-ემილიანო ალმენტეროსი, სუელიტონ პერეირა, ხავი ფუეგო, მიჩელი

ატლეტიკო: ***ტრავმ***-ანტონიო ლოპესი, სილვიო

**ხეტაფე-სევილია**

ხეტაფე: ***ტრავმ***-მიჩელი, პედრო ლეონი, რაფა ლოპესი, ალბერტო ლოპო

სევილია: ***ტრავმ***-ფრედერიკ კანუტე, დიეგო პიროტი, ხოსე ანტონიო რეიესი, კამპანა(?)

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 32 | 26 | 4 | 2 | 104:28 | 82 |
| 2.ბარსელონა | 32 | 24 | 6 | 2 | 94:23 | 78 |
| 3.ვალენსია | 32 | 14 | 10 | 8 | 50:38 | 52 |
| 4.მალაგა | 32 | 15 | 5 | 12 | 48:45 | 50 |
| 5.ლევანტე | 32 | 14 | 6 | 12 | 46:44 | 48 |
| 6.ოსასუნა | 32 | 11 | 13 | 8 | 37:52 | 46 |
| 7.სევილია | 32 | 12 | 9 | 11 | 39:33 | 45 |
| 8.ბილბაო | 32 | 10 | 12 | 10 | 47:44 | 42 |
| 9.ატლეტიკო | 32 | 11 | 9 | 12 | 43:41 | 42 |
| 10.ესპანიოლი | 32 | 11 | 9 | 12 | 39:43 | 42 |
| 11.ხეტაფე | 32 | 11 | 9 | 12 | 33:43 | 42 |
| 12.მალიორკა | 32 | 10 | 10 | 12 | 35:40 | 40 |
| 13.რაიო | 32 | 12 | 4 | 16 | 49:57 | 40 |
| 14.ბეტისი | 32 | 11 | 6 | 15 | 39:45 | 39 |
| 15.სოსიედადი | 32 | 10 | 8 | 14 | 39:48 | 38 |
| 16.გრანადა | 32 | 10 | 6 | 16 | 30:48 | 36 |
| 17.ვილიარეალი | 32 | 8 | 11 | 13 | 33:46 | 35 |
| 18.ხიხონი | 32 | 7 | 7 | 18 | 32:60 | 28 |
| 19.სარაგოსა | 32 | 7 | 7 | 18 | 28:59 | 28 |
| 20.რასინგი | 32 | 4 | 13 | 15 | 23:51 | 25 |

## იტალია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 14.04 | მილანი-ჯენოა | 1.25 | 5.5 | 12.0 |
| 14.04 | უდინეზე-ინტერი | 2.4 | 3.3 | 2.87 |
| 15.04 | ნოვარა-ლაციო | 4.0 | 3.4 | 1.91 |
| 15.04 | ჩეზენა-იუვენტუსი | 11.0 | 5.0 | 1.28 |
| 15.04 | ატალანტა-კიევო | 2.45 | 2.25 | 4.33 |
| 15.04 | კალიარი-კატანია | 2.25 | 2.62 | 3.75 |
| 15.04 | სიენა-ბოლონია | 2.3 | 2.5 | 4.0 |
| 15.04 | პალერმო-პარმა | 2.1 | 2.75 | 4.0 |
| 15.04 | ლეჩე-ნაპოლი | 2.7 | 3.4 | 2.5 |
| 15.04 | რომა-ფიორენტინა | 1.57 | 3.8 | 6.0 |

**მილანი-ჯენოა**

მილანი: ***ტრავმ***-იგნასიო აბატე, მასიმო ამბროზინი, ურბი ემანუელსონი(?), ალბერტო აკვილანი, კევინ-პრინს ბოატენგი, ლუკა ანტონინი, ტიაგო სილვა, ფილიპო ინძაგი, მარკ ვან ბომელი, პატუ

ჯენოა: ***ტრავმ***-ჯუზეპე სქული(?), ემილიანო მორეტი(?), კევინ კონსტანტი, ლუკა ანტონელი

**უდინეზე-ინტერი**

უდინეზე: ***ტრავმ***-ჯოელ ეკსტრანდი(?), დიეგო ფაბრინი, დუშან ბასტა, მაურისიო ისლა, მეჰდი ბენათია, ემანუელ ბადუ

ინტერი: ***ტრავმ***-ლუკ კასტაიგნო, მაიკონი, ვესლი სნეიდერი, როკარდო ალვარესი

**ნოვარა-ლაციო**

ნოვარა: ***ტრავმ***-ლეანდრო რინაუდო, სამირ ურკანი, მასიმო პაჩი, ფრანჩესკო მარიანინი

ლაციო: ***ტრავმ***-აბდულაიე კონკო, ფრანჩესკო მათუსალემი(?), შტეფან რადუ, ანდრე დიასი, მიროსლავ კლოზე, სენად ლუჩიჩი, მარიუს სტანკევიჩუსი

**ჩეზენა-იუვენტუსი**

ჩეზენა: ***ტრავმ***-სტივ ფონ ბერგენი(?), ჯუზეპე კოლუჩი(?), დომენიკ მალონგა(?), დანიელ პუდილი, ალექს კალდერონი(?), მარკო პაროლო(?), იორგ მარტინესი, ვინჩენცო იაკინტა, რობერტო გუანა(?)

იუვენტუსი: ***ტრავმ***-ლეონარდო ბონუჩი(?), კლაუდიო მარკიზიო(?)

**ატალანტა-კიევო**

ატალანტა: ***ტრავმ***-გვიდო მარილუნგო, მატეო ბრიგი, დანიელე კაპელი; ***დისკვ***-კრისტიან დონი

კიევო: ***ტრავმ***-ბაქარი დრამე, ბოიან იოკიჩი(?), დავიდე მანდელი(?), ფრანჩესკო აკერბი(?), დავიდე მოსკარდელი, ნიკოლა გულანი

**კალიარი-კატანია**

კალიარი: ***ტრავმ***-დანიელე დესენა, რუი სამპაიო

კატანია: ***ტრავმ***-დავიდ სუაზო, მარკო ბიაჯიანტი, ალესანდრო პოტენცა

**სიენა-ბოლონია**

სიენა: ***ტრავმ***-ანჯელო, ემანუელ კალაიო, ფრანჩესკო ბოლძონი(?)

ბოლონია: ***ტრავმ***-კასტრო რამირესი(?), ფრედერიკ სორენსენი(?), ხოსე ანგელ კრესპო, მიქაელ ანტონსონი, ფედერიკო კასარინი

**პალერმო-პარმა**

პალერმო: ***ტრავმ***-მილან მილანოვიჩი, გულიო მილიაკიო, ფედერიკო ბალძრეტი, მატიას სილვესტრი

პარმა: ***ტრავმ***-სტეფანო ფერარიო, რაფაელე პალადინო

**ლეჩე-ნაპოლი**

ლეჩე: ***ტრავმ***-ანდრეა ესპოზიტო(?), ხულიო სერჟიო

ნაპოლი: ***ტრავმ***-ანტონიო როსატი, კრისტიან მაჯო

**რომა-ფიორენტინა**

რომა: ***ტრავმ***-ფრანჩესკო ტოტი(?), ფაბიო სიმპლისიო, ფაბიო ბორინი, ლეანდრო გრეკო(?), მარკო კასერტი, ხუანი, ნიკოლას ბურდისო

ფიორენტინა: ***ტრავმ***-ჩეზარე ნატალი, მანუელ პასკუალი(?), ხუან ვარგასი, ვალონ ბეჰრამი, მატია კასანი(?), ალესანდრო გამბერინი(?), მიქელე კამპორეზე

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 32 | 18 | 14 | 0 | 53:18 | 68 |
| 2.მილანი | 32 | 20 | 7 | 5 | 62:26 | 67 |
| 3.ლაციო | 32 | 16 | 6 | 10 | 48:40 | 54 |
| 4.უდინეზე | 33 | 14 | 9 | 9 | 44:32 | 51 |
| 5.რომა | 32 | 15 | 5 | 12 | 52:42 | 50 |
| 6.ნაპოლი | 32 | 12 | 12 | 8 | 56:41 | 48 |
| 7.ინტერი | 32 | 14 | 6 | 12 | 47:45 | 48 |
| 8.კატანია | 32 | 10 | 13 | 9 | 42:43 | 43 |
| 9.კიევო | 32 | 11 | 9 | 12 | 30:40 | 42 |
| 10.ატალანტა | 32 | 11 | 13 | 8 | 37:34 | 40 |
| 11.პალერმო | 32 | 11 | 7 | 14 | 44:49 | 40 |
| 12.ბოლონია | 32 | 10 | 10 | 12 | 33:38 | 40 |
| 13.სიენა | 32 | 10 | 9 | 13 | 37:34 | 39 |
| 14.კალიარი | 32 | 9 | 11 | 12 | 33:39 | 38 |
| 15.პარმა | 32 | 9 | 11 | 12 | 41:50 | 38 |
| 16.ფიორენტინა | 32 | 9 | 10 | 13 | 32:38 | 37 |
| 17.ჯენოა | 32 | 9 | 9 | 14 | 43:58 | 36 |
| 18.ლეჩე | 32 | 8 | 10 | 14 | 37:48 | 34 |
| 19.ნოვარა | 32 | 5 | 10 | 17 | 27:54 | 25 |
| 20.ჩეზენა | 32 | 4 | 9 | 19 | 19:48 | 21 |

ატალანტას დაკლებული აქვს 6 ქულა

## გერმანია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 14.04 | კაიზერი-ნიურნბერგი | 2.9 | 3.25 | 2.45 |
| 14.04 | ჰამბურგი-ჰანოვერი | 2.35 | 3.4 | 2.9 |
| 14.04 | ვოლფსბურგი-აუგსბურგი | 1.73 | 3.75 | 4.5 |
| 14.04 | ლევერკუზენი-ჰერტა | 1.53 | 4.0 | 6.0 |
| 14.04 | შალკე-დორტმუნდი | 3.1 | 3.5 | 2.2 |
| 14.04 | ბაიერნი-მაინცი | 1.22 | 6.0 | 12.0 |
| 15.04 | გლადბახი-კიოლნი | 1.53 | 4.0 | 6.0 |
| 15.04 | ფრაიბურგი-ჰოფენჰაიმი | 2.35 | 3.3 | 3.0 |

**კაიზერი-ნიურნბერგი**

კაიზერი: ***ტრავმ***-კრისტიან ტიფერტი, ვილი ორბანი, იტაი შეტჩერი, იან შიმუნეკი, ნიკოლა იორგენსენი

ნიურნბერგი: ***ტრავმ***-მარვი პლატენჰარდი, ჯური ჯუდტი, ვილსონ კამავუაკა, ალექსანდერ ეშვეინი, კრისტიან ეგლერი, პატრიკ რაკოვსკი

**ჰამბურგი-ჰანოვერი**

ჰამბურგი: ***ტრავმ***-სლობოდან რაიკოვიჩი, დენის დიკმაიერი, რომეო კასტელინი

ჰანოვერი: ***ტრავმ***-მოჰამედ აბდელაოე, ლარს სტინდი,

**ვოლფსბურგი-აუგსბურგი**

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-პატრიკ ჰელმესი, ტომას ჰიტლშპერგერი, კრისი, მიხაელ შულცი

აუგსბურგი: ***ტრავმ***-დანიელ ბრიკმანი, ტორსტენ ოერლე, აკაკი გოგია, მარსელ დე იონგი, დაუდა ბა

**ლევერკუზენი-ჰერტა**

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-დანიელ შვააბი, დანი და კოსტა, ლარს ბენდერი, ვერდან ჩორლუკა, სიდნეი სამი

ჰერტა: ***ტრავმ***-კრისტოფ იანკერი, ანდრე მიატოვიჩი, ფაბიან ლუშტენბერგერი, მაიკ ფრანცი

**შალკე-დორტმუნდი**

შალკე: ***ტრავმ***-ტიმო ჰილდებრანდი, რალფ ფარმანი

დორტმუნდი: ***ტრავმ***-მარიო გიოტცე

**ბაიერნი-მაინცი**

ბაიერნი: ***ტრავმ***-დანიელ ვან ბუიტენი

მაინცი: ***ტრავმ***-ზოლტან შტეიბერი, ბო სვენსონი, მარსელ რიისე

**გლადბახი-კიოლნი**

გლადბახი: ***ტრავმ***-ტონი იანტშკე

კიოლნი: ***ტრავმ***-შამოვირ პეზკო, ანდერზინიო, მილოიე ნოვაკივიჩი, პეტიტი, ადილ ჩიჩი

**ფრაიბურგი-ჰოფენჰაიმი**

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-ჟულიან შუსტერი, ანტონ პუტსილა, ოლივერ ბარტი

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-ისააკ ვორსა

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 30 | 21 | 6 | 3 | 67:22 | 69 |
| 2.ბაიერნი | 30 | 20 | 3 | 7 | 69:20 | 63 |
| 3.შალკე | 30 | 18 | 3 | 9 | 65:39 | 57 |
| 4.გლადბახი | 30 | 15 | 8 | 7 | 43:22 | 53 |
| 5.შტუტგარტი | 30 | 13 | 7 | 10 | 55:40 | 46 |
| 6.ლევერკუზენი | 30 | 12 | 8 | 10 | 43:40 | 44 |
| 7.ჰანოვერი | 30 | 11 | 11 | 8 | 39:42 | 44 |
| 8.ვერდერი | 30 | 11 | 9 | 10 | 44:46 | 42 |
| 9.ვოლფსბურგი | 30 | 12 | 4 | 14 | 41:54 | 40 |
| 10.ჰოფენჰაიმი | 30 | 10 | 10 | 10 | 38:40 | 40 |
| 11.მაინცი | 30 | 9 | 9 | 12 | 47:48 | 36 |
| 12.ნიურნბერგი | 30 | 10 | 5 | 15 | 31:42 | 35 |
| 13.ფრაიბურგი | 30 | 9 | 8 | 13 | 41:56 | 35 |
| 14.ჰამბურგი | 30 | 7 | 10 | 13 | 33:55 | 31 |
| 15.აუგსბურგი | 30 | 6 | 12 | 12 | 32:47 | 30 |
| 16.კიოლნი | 30 | 8 | 5 | 17 | 36:63 | 29 |
| 17.ჰერტა | 30 | 6 | 9 | 15 | 31:54 | 27 |
| 18.კაიზერი | 30 | 3 | 11 | 16 | 19:44 | 20 |

## საფრანგეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 15.04 | ლილი-აიაჩო | 1.28 | 5.0 | 11.0 |
| 15.04 | სოშო-დიჟონი | 1.95 | 3.3 | 4.0 |
| 15.04 | ნანსი-ბორდო | 2.55 | 3.1 | 2.87 |
| 15.04 | ლორიენი-მონპელიე | 3.4 | 3.2 | 2.2 |
| 15.04 | სენტ ეტიენი-ბრესტი | 1.7 | 3.6 | 5.0 |
| 15.04 | ვალანსიენი-ევიანი | 1.95 | 3.3 | 4.0 |
| 15.04 | ოსერი-პსჟ | 3.8 | 3.3 | 2.0 |
| 16.04 | რენი-ნიცა | 1.67 | 3.5 | 5.5 |

**ლილი-აიაჩო**

ლილი: ***ტრავმ***-ფლორენ ბელმო, მარკო ბაშა

აიაჩო: ***ტრავმ***-ლეიტი ნდიაე

**სოშო-დიჟონი**

სოშო: ***ტრავმ***-ტედი რიშე, ედუარდ ბუტინი, ჩარლი დევისი, სტივენ მოიოკოლო, იასინ მიკარი

დიჟონი: ***ტრავმ***-დიასუკე მაცუი

**ნანსი-ბორდო**

ნანსი: ***ტრავმ***-ბენჯამინ იანუა

ბორდო: ***ტრავმ***-ბენუა ტრემულანისი, გრეგუარ სერტი, ჩეიკ დიაბატე

**ლორიენი-მონპელიე**

ლორიენი: ***ტრავმ***-ლამინე გასამა, არნო ლე ლანი, ბენჯამინ ლეკო, ვესლი ლაუტოა, ჟილ სუნუ

მონპელიე: ***ტრავმ***-ქარიმ აიტ ფანა, ჯონათან ტინენი, ჯოფრეი დერნისი

**სენტ ეტიენი-ბრესტი**

სენტ ეტიენი: ***ტრავმ***-ბანელ ნიკოლიტა, ფაბიენ ლემო, იორიკ რავე

ბრესტი: ***ტრავმ***-აბელ ჰალედი, ჯონათან აიტე, ლარსენ ტურე, ტომას მიკოლა

**ვალანსიენი-ევიანი**

ვალანსიენი: ***ტრავმ***-ბენჯამინ ანგუა, გაეტან ბონგი, გრეგუარ პუიოლი, კენი ლალა

ევიანი: ***ტრავმ***-სედრიკ ბარბოსა, სიდნეი გოვუ, ფაბრის ერე, იუსუფ ადნანე

**ოსერი-პსჟ**

ოსერი: ***ტრავმ***-ბენ საარი, ამადუ სიდიბე, დელვინ ნდინგა, ჟერემო ბერტო, იაია სანოგო, ადამა კულიბალი

პსჟ: ***ტრავმ***-კლემენტ ჩანტო

**რენი-ნიცა**

რენი: ***ტრავმ***-ვინსენტ პაიო, კადერ მანგანე, ჩეიკ ფანტამანდი დიარა

ნიცა: ***ტრავმ***-ლუჩანო მონზონი, კევინ ანინი, ნემანია პეჩინოვიჩი, ხავიერ პენტეკოტე

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონპელიე | 31 | 20 | 6 | 5 | 58:29 | 66 |
| 2.პსჟ | 31 | 18 | 9 | 4 | 56:33 | 63 |
| 3.ლილი | 31 | 15 | 11 | 5 | 56:35 | 56 |
| 4.ლიონი | 31 | 16 | 5 | 10 | 49:38 | 53 |
| 5.ტულუზა | 31 | 14 | 8 | 9 | 32:28 | 50 |
| 6.რენი | 31 | 13 | 9 | 9 | 41:35 | 48 |
| 7.სენტ ეტიენი | 31 | 13 | 8 | 10 | 38:35 | 47 |
| 8.ბორდო | 31 | 10 | 12 | 9 | 36:34 | 42 |
| 9.მარსელი | 31 | 10 | 10 | 11 | 38:35 | 40 |
| 10.ევიანი | 31 | 10 | 9 | 12 | 43:46 | 39 |
| 11.ნანსი | 31 | 10 | 9 | 12 | 31:37 | 39 |
| 12.ვალანსიენი | 31 | 10 | 7 | 14 | 31:36 | 37 |
| 13.ნიცა | 31 | 8 | 10 | 13 | 32:36 | 34 |
| 14.დიჟონი | 31 | 9 | 7 | 15 | 37:51 | 34 |
| 15.ბრესტი | 31 | 6 | 15 | 10 | 27:30 | 33 |
| 16.კაენი | 31 | 8 | 9 | 14 | 33:44 | 33 |
| 17.აიაჩო | 31 | 7 | 12 | 12 | 32:50 | 33 |
| 18.ლორიენი | 31 | 7 | 11 | 13 | 28:40 | 32 |
| 19.სოშო | 31 | 7 | 9 | 15 | 32:48 | 30 |
| 20.ოსერი | 31 | 5 | 12 | 14 | 36:46 | 27 |

# გიორგი შერმადინმა ოპერაცია გაიკეთა

გიორგი შერმადინმა ფეხის ოპერაცია გაიკეთა. საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და იტალიური „ბენეტ კანტუს" ცენტრმა ტრავმა ერთი კვირის წინ, ვარჯიშზე მიიღო და ქირურგიულ ჩარევას ველარ გადაურჩა. შერმადინს დაახლოებით ისეთი ტრავმა აქვს, როგორიც ჩვენი ნაკრების კიდევ ერთმა წევრმა, თორნიკე შენგელიამ გადაიტანა. ამ უკანასკნელს ფეხის თითის ძვალი ჰქონდა გაბზარული და რეაბილიტაციას 3 თვე მოანდომა. თუ რამდენი ხანი დასჭირდება შერმადინს მომჯობინებას, ჯერჯერობით უცნობია.

შერმადინთან ინტერვიუ კალათბურთის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

**გიორგი შერმადინი:**

– ოპერაცია უკვე გავიკეთე. ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ფეხი თაბაშირში მაქვს და ყავარჯნებით გადავადგილდები.

***– ოპერაცია თუ აუცილებელი იყო, ერთი კვირის შემდეგ რატომ გაიკეთეთ?***

– აუცილებელი არ ყოფილა, შეიძლებოდა, არ გამეკეთებინა, მაგრამ ექიმებმა მითხრეს, სრული რეაბილიტაციის გარანტია რომ გვქონდეს, ქირურგიული ჩარევაა საჭიროო. წყნარად რომ ვყოფილიყავი და მომავალზე არ მენერვიულა, ოპერაციის გაკეთება გადავწყვიტე.

***– ეს დრო გადაწყვეტილების მიღებას მოანდომეთ?***

– არა, ოპერაციას რომ გავიკეთებდი, თავიდანვე ვიცოდი. უბრალოდ, აქ გასულ კვირას აღდგომა იყო, სადღესასწაულო დღეები დაემთხვა და, რადგან საჩქარო არ ყოფილა, ოპერაციის დღედ ექიმებმა სამშაბათი დანიშნეს.

***– ტრავმა როგორ მიიღეთ?***

– ვარჯიშის ბოლო წუთები იყო, როცა ფეხი უხერხულად ამომიბრუნდა და ძლიერი ტკივილი ვიგრძენი. ტერფი ადრეც გადამტრიალებია, მაგრამ ეს სხვა იყო. იმ წამსვე ექიმები მოვიდნენ და პირველადი დახმარება გამიწიეს. ამობრუნების შედეგად ფეხი გამისივდა და, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, ნეკა თითთან ახლოს მდებარე ძვალი გამებზარა. საავადმყოფოში გადამიყვანეს და რენტგენი გადამიღეს. მას შემდეგ ყავარჯნებით გადავადგილდები. გუშინდელი ოპერაციის შემდეგ მოძრაობა მაქსიმალურად ამიკრძალეს.

***– ექიმებს მოედანზე დაბრუნების სავარაუდო თარიღი არ უთქვამთ?***

– ჯერჯერობით არაფრის თქმა არ შეიძლება. შესაძლებელია, აღდგენის პროცესი სწრაფი ტემპით წავიდეს ან გაიწელოს. დაახლოებით ორ კვირაში ექიმები ხელახალ შემოწმებას ჩამიტარებენ და მოედანზე დაბრუნების დაახლოებითი თარიღი, წესით, მაშინ მეცოდინება.

***– საქართველოს ეროვნული ნაკრების შეკრება პირველი ივლისიდან იწყება და, ალბათ, მანამდე მწყობრში ჩადგებით.***

– იმედია, ივლისამდე ტრავმას სრულად მოვირჩენ.

***– „კანტუსთან" კონტრაქტი როდის გეწურებათ?***

– კონტრაქტი მიმდინარე სეზონის ბოლომდე მაქვს და ჯერჯერობით არ ვიცი, გამიხანგრძლივებენ თუ არა. ტრავმა ცუდ დროს მივიღე, მაგრამ რა ვქნა. ეს სპორტის განუყოფელი ნაწილია. არადა, საკმაოდ კარგი სეზონი მაქვს. იტალიის ჩემპიონატის „ოლ სტარში" ამირჩიეს და ევროლიგის მატჩებშიც თავი არ შემირცხვენია. ვნახოთ, რა იქნება. ჯერჯერობით უქმად ვარ, ყველანაირი დატვირთვა აკრძალული მაქვს. იმედია, მოედანს მალე დავუბრუნდები.

# მონღოლეთში ექსპრეზიდენტი დააკავეს

მონღოლეთში, ყოფილი პრეზიდენტი ნამბარინ ენხბაიარი დააკავეს. როგორც უცხოური მედია წერს, ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის ლიდერი კორუფციაშია ეჭვმიტანილი.

გავრცელებული ინფორმაციით, დაკავებამდე მისი მომხრეები სამართალდამცველებს დაუპირისპირდნენ.

ნამბარინ ენხბაიარი მონღოლეთს 2005-2009 წლებში ხელმძღვანელობდა. შემდეგ ის ოპოზიციონერმა კანდიდატმა ჩაანაცვლა.

ცნობისთვის, ნამბარინ ენხბაიარი (დ. 1 ივნისი 1958 ულან-ბატორი, მონღოლეთი) – მონღოლი პოლიტიკური მოღვაწე, მონღოლეთის პრეზიდენტი 2005-2009 წ.წ.

დაამთავრა მოსკოვის ლიტერატურის ინსტიტუტი და დიდი ბრიტანეთის ლიდსის უნივერსიტეტი.



1980-1990 წ.წ. მუშაობდა მონღოლეთის მწერალთა კავშირში მთარგმნელად და შემდეგ ვიცე-პრეზიდენტად.

ენხბაიარი გახდა დიდი ხურალის პირველი არჩეული წევრი და 1992-1996 წწ. ეკავა კულტურის მინისტრის თანამდებობა.

1997 წლიდან ოპოზიციის ლიდერია. 2000 წლის არჩევნებში იმარჯვებს და ხდება ქვეყნის პრემიერ-მინისტრი. 2004 წელს კი პარლამენტის სპიკერია.

2005 წელს მეორე ტურში გაიმარჯვა და გახდა პრეზიდენტი. 2009 წელს კი დამარცხდა საპრეზიდენტო არჩევნებში ცაჰიაგინ ელბეგდორჟთან.

სუდანის სამხრეთ საზღვართან ბრძოლის დაუყოვნებლივ შეწყვეტას მოითხოვენ

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია სუდანის სამხრეთ საზღვართან ბრძოლის დაუყოვნებლივ და უპირობო შეწყვეტას მოითხოვს, – იუწყება ბიბისი.

გაეროს უსაფრთხოების საკონსულოს განცხადებით, რეგიონში შექმნილმა სიტუაციამ შესაძლოა ქვეყანაში ომი გამოიწვიოს.

სამხრეთ სუდანის ძალებს სამშაბათიდან დაკავებული აქვთ ქალაქ ჰეგლიგის ნავთობსაბადო, რომელიც სუდანთან სადავო საზღვარზე მდებარეობს.

გაერო მოითხოვს სუდანელთა საჰაერო ძალებმა შეწყვიტონ დაბომბვები, ვიდრე სამხრეთ სუდანი ჰეგლიგის ნავთობსაბადოებს არ დატოვებს.

გაერომ მოუწოდა ყველა ძალას, რომ საზიარო საზღვრიდან 10 კილომეტრით უკან დაიხიონ, ხოლო ქვეყნებს მოუწოდა, რომ სასწრაფოდ მოაწყონ დაგეგმილი საპრეზიდენტო სამიტი.

სუდანის ელჩი გაეროში დაფფა-ალლა ელჰაგ ალი ოსმანი გაეროს წინადადებას მიესალმება.

მისი თქმით, თუ სამხრეთელი ჯარები გაეროს მოთხოვნას არ შეასრულებენ, სუდანის დედაქალაქი ხართუმი სამხრეთ სუდანის ჯარებს ძლიერ დარტყმას მიაყენებს.

ელჩმა უარყო საკონსულოს მოთხოვნა დაბომბვების შეწყვეტასთან დაკავშირებით.

სამხრეთ სუდანის ელჩმა გაეროში აგნეს ოსვაჰამ ასევე მხარი დაუჭირა მოლაპარაკების იდეას, თუმცა განაცხადა, რომ გადაუწყვეტელ საკითხებს სასწრაფოდ სჭირდება მოგვარება.

მისი თქმით, სამხრეთ სუდანი იმ შემთხვევაში დატოვებს ჰეგლიგის ნავთობსაბადოს, თუკი საერთაშორისო ძალები საკუთარ ძალებს ამ ტერიტორიაზე განათავსებენ.

თუმცა, უფრო ადრე სამხრეთ სუდანის პრეზიდენტმა სალვა კიირმა პარლამენტს განუცხადა, რომ ის თავის ჯარებს უკან არ დაახევინებდა.

ბრძოლა სუდანის ნავთობით მდიდარ რეგიონში არის უდიდესი, მას შემდეგ, რაც სამხრეთ სუდანმა დამოუკიდებლობა მოიპოვა.

ცნობისთვის, სამხრეთი სუდანი – სახელმწიფო აფრიკაში. დედაქალაქია ჯუბა.

სახელმწიფოს აღმოსავლეთით ესაზღვრება ეთიოპია, სამხრეთით კენია, უგანდა და კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, დასავლეთით ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა და ჩრდილოეთით სუდანი. ქვეყნის ფართობია 619 745 $კმ^2$.

სუვერენული სტატუსი მიიღო 2011 წლის 9 ივლისს, დამოუკიდებლობის რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე, სუდანის მიერ ოფიციალურად აღიარების შემდეგ.

ამავე წლის 14 ივლისს ახლად შექმნილი სახელმწიფო გაეროს 193-ე, ხოლო 28 ოქტომბერს იუნესკოს 194-ე წევრი სახელმწიფო გახდა.

# მოსკოვის სასამართლომ სტალინის შვილიშვილის სარჩელი არ დააკმაყოფილა

მოსკოვის ნიკულინსკის სასამართლომ უარი განაცხადა, დაეკმაყოფილებინა იოსებ სტალინის შვილიშვილის სარჩელი, რომელიც მოითხოვდა უარყოფილიყო სიტყვები, რომელთა მიხედვითაც, სტალინს კატინში პოლონელი ოფიცრების დახვრეტაში მიუძღვის ბრალი.

ევგენი ჯუღაშვილის ადვოკატები აცხადებენ, რომ გასაჩივრების შესახებ გადაწყვეტილებას სასამართლოს განაჩენის სრულად გაცნობის შემდეგ მიიღებენ. სარჩელი რუსეთის ფედერალური სამსახურის საარქივო ფონდებისა და რეგისტრაციის სამმართველოს უფროსის ვასილი ხრისტოფოლოვის წინააღმდეგ იქნა შეტანილი, რომელმაც სამეცნიერო კონფერენციაზე გააკეთა განცხადება სტალინის თანამონაწილეობის შესახებ კატინში ოფიცრების დახვრეტის საქმეში.




2010 წლის ნოემბერში რუსეთის პარლამენტის ქვედა პალატამ მიიღო განცხადება, რომელშიც ჩაიწერა, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს კატინში ჩადენილი დანაშაული, სწორედ, სტალინის დავალებით განხორციელდა.

ევგენი ჯუღაშვილის მტკიცებით კი, სინამდვილეს არ შეესაბამება მონაცემები იმის შესახებ, რომ კატინის ტრაგედიაზე პასუხისმგებელი სტალინია.

1940 წელს კატინში 20 000-ზე მეტი პოლონელი ოფიცერი და სხვა პირი დახოცა საბჭოთა უშიშროებამ.

2011 წელს პოლონეთმა რუსეთს გადასცა კატინის ხოცვა-ჟლეტასთან დაკავშირებული დოკუმენტების ტომები.

რუსეთი დიდხანს აჭიანურებდა კატინის საქმესთან დაკავშირებით პოლონეთთან თანამშრომლობას. მანამდე კი საბჭოთა კავშირი კატინში ჩადენილს ნაცისტებს აბრალებდა. ამ დანაშაულში საბჭოთა კავშირის როლი 1990 წელს მიხაილ გორბაჩოვმა აღიარა.

რაც შეეხება კონკრეტულად ტრაგედიას, სსრკ-პოლონეთის ომის დროს ტყვედ ჩავარდნილი პოლონელები მოათავსეს ტყვეთა ბანაკებში. იქ მოხდა მათი გადარჩევა. 1940 წლის 5 მარტს სტალინმა ხელი მოაწერა ბრძანებას საბჭოთა უშიშროების მიერ 26 000 პოლონელი სამხედრო ტყვის დახვრეტის შესახებ, რომელთა უმეტესობა რეზერვის ოფიცერი იყო.

დახვრეტა მოხდა 6 ივნისს ქალაქ სმოლენსკთან, კატინის ტყეში. ტყვეები დახვრიტეს და საერთო სამარეში დაასაფლავეს.

1941 წელს, როდესაც სსრკ-გერმანიის პაქტი დაირღვა და სტალინმა ხელი მოაწერა თანამშრომლობის ხელშეკრულებას პოლონეთის დევნილ მთავრობასთან, პოლონელებმა მოიკითხეს დაკარგული ოფიცრები. კრემლში შეხვედრისას პოლონეთის მთავრობის მეთაურს, სიკორსკის სტალინმა ცინიკურად უპასუხა: „ისინი ალბათ გაიქცნენ. სად? მაგალითად, მანჯურიაში (ჩინეთი)“.

1939 წლის სექტემბერს სამეგობრო ხელშეკრულების საფუძველზე, ნაცისტური „ესესი“ და საბჭოთა „ნკვდ“ მჭიდროდ თანამშრომლობდნენ სხვადასხვა საკითხებში. ხდებოდა ოფიცრების გაცვლაც გამოცდილების გასაზიარებლად. ამდენად, „ესესი“ ფლობდა დიდ ინფრომაციას საბჭოთა დანაშაულობათა შესახებ.

1943 წლის აპრილში ვარშავის გეტოში ნაცისტებმა აჩვენეს დოკუმენტური კადრები, სადაც აღბეჭდილი იყო დახვრეტილ პოლონელ ჯარისკაცთა სასაფლაო კატინის ტყეში.

ნაცისტებმა კატინის ტრაგედია გამოამჟღავნეს და გაახმაურეს. მოსკოვმა განაცხადა, რომ ეს ნაცისტური პროვოკაცია იყო. პოლონეთის დევნილმა მთავრობამ წითელ ჯვარს მიმართა თხოვნით, დაეწყოთ გამოძიება.

მოსკოვმა პოლონელები დაადანაშაულა ნაცისტებთან კოლაბორაციონიზმში (სამშობლოს მტრებთან თანამშრომლობა) და გაწყვიტა ურთიერთობა სიკორსკის მთავრობასთან.

1943 და 1944 წლებში ორმა საერთაშორისო კომისიამ გამოაქვეყნა ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნა კატინის ტრაგედიის შესახებ. დიდი ბრიტანეთის ხელისუფლება უხერხულ მდომარეობაში აღმოჩნდა, რადგან ლონდონმა ერთი მხრივ პოლიტიკური თავშესაფარი მისცა პოლონეთის დევნილ მთავრობას, მეორე მხრივ კი არ სურდათ მოკავშირე სსრკ-ის განაწყენება. ბრიტანელმა დიპლომატებმა ხელი შეუწყეს საქმის მიფუჩეჩებას.

საბჭოთა ცინიზმის საუკეთესო გამოხატულება იყო კატინის ტყის მახლობლად ნაცისტური მსხვერპლის მემორიალის აგება და საბჭოთა ისტორიის წიგნებში კატინის ნაცისტურ დანაშაულად გამოცხადება.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ დასავლეთში გამოქვეყნდა 26 000 დახვრეტილი პოლონელის სრული სია. ამ სიის პოლონეთში გავრცელება პოლიტიკურ დანაშაულად ითვლებოდა, სოციალისტურ პოლონეთში კომუნისტურმა პარტიამ კატინის ხსენებაც კი აკრძალა.

კატინის მასობრივი მკვლელობის ფაქტი რუსეთში მხოლოდ გორბაჩოვ-ელცინის მმართველობის დროს აღიარეს.

# პოლ სეზანის დაკარგული ნახატი იპოვეს



2008 წელს შვეიცარიის მუზეუმიდან გამქრალ ნახატს სერბეთში მიაგნეს – იუწყება ბიბისი. ოფიციალური პირები არ ასახელებენ, კონკრეტულად რომელ ნახატზეა საუბარი, თუმცა ადგილობრივი მედიის ვარაუდით, ეს არის „ბიჭი წითელ პერანგში“.

პოლიციის ცნობით, ქურდობასთან დაკავშირებული სამი პირია დაპატიმრებული.

ნახატის ორიგინალობის დასადგენად სერბეთში ექსპერტი უკვე გაემგზავრა. ნახატი 1888 წლით თარიღდება და 109 მილიონ დოლარად არის შეფასებული.

ციურიხის მუზეუმში მომხდარი ქურდობა, ხელოვნების სფეროში, ევროპაში მომხდარ ერთ-ერთ უდიდეს ძარცვად ითვლება.

ძარცვა სამმა შეიარაღებულმა და ნიღბიანმა პირმა განახორციელა და როგორც თვითმხილველები აცხადებენ, ისინი გერმანულად, მაგრამ სლავური აქცენტით საუბრობდნენ.

„ბიჭი წითელ პერანგში“ ხელოვნების სამ ნიმუშთან ერთად – კლოდ მონეს, ვინსენტ ვან გოგის და ედგარ დეგას ნახატებთან ერთად მოიპარეს. თუმცა, მონეს და ვან გოგის ნახატები მალევე იპოვეს ციურიხის ფსიქიატრიულ საავადმყოფოსთან მდგარ ავტომანქანაში. დეგას ნახატი ჯერ კიდევ დაკარგულია.

პოლიციის ცნობით, დაპატიმრებები ბელგრადსა და ჩაჩაკში, დასავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიციასთან თანამშრომლობით განხორციელდა.

სეზანის ნახატზე „ბიჭი წითელ პერანგში“ გამოსახულია ტრადიციულ იტალიურ სამოსში გამოწყობილი ბიჭი. ნახატის სამი სხვა ვერსია ა.შ.შ-ს მუზეუმებში ინახება.

პოლ სეზანი (დ. 19 იანვარი, 1839, ექს-ან-პროვანსი – გ. 22 ოქტომბერი, 1906, იქვე) – ფრანგი მხატვარი, რომელმაც იმპრესიონიზმიდან კუბიზმში გადასვლის დამაკავშირებელი ხიდის როლი შეასრულა.

ითვლება რა თანამედროვე სახვითი ხელოვნების მამად, პოლ სეზანის ნამუშევრები გეომეტრიული კომპოზიციისა და ბალანსისკენ მისწრაფებას აღწერს. სეზანი მის ტილოებზე სამგანზომილებიან გამოსახულებებს ფერთა გამისა და გეომეტრიული შტრიხების შერწყმით ქმნიდა.

მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მხატვარი და უდავოდ ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პიროვნება მეოცე საუკუნის სახვითი ხელოვნების განვითარებაში, სკოლას ექს-ან-პროვანსში ამთავრებს. 1859-61 წლებში ის იურისპრუდენციას სწავლობს ექსში და ამავე დროს აგრძელებს ხატვის გაკვეთილებს, მიჰყვება რა სიყმაწვილის გატაცებას.

მამის წინააღმდეგობის მიუხედავად, ის პროფესიად ხელოვნებას ირჩევს და ახლო მეგობარ ემილ ზოლასთან ერთად 1861 წელს პარიზში მიემგზავრება.

დროთა განმავლობაში მამამისი დაჰყვა შვილის ნებას და შემდგომში მხარს უჭერდა მის არჩევანს. მოგვიანებით სეზანი მამისგან დიდ მემკვიდრეობას იღებს, რითაც მას კომფორტულად შეეძლო ცხოვრება და მხატვრობის გაგრძელება.

პარიზში ის ხვდება კამილ პისაროსა და სხვა იმპრესიონისტებს. ისინი ხშირად ხატავდნენ ხოლმე ერთად და სეზანის მომდევნო წლების ნამუშევრებში პისაროს ძლიერი გავლენა შეიმჩნევა.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა აკლდამის აღდგენასა და გამშვენებაში, დარეკეთ: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608. ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით. შედით მენიუში: სხვადასხვა—საქველმოქმედო—ხობის მონასტერი.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

2012 წლის 10 იანვრიდან ყველა მობილური ოპერატორიდან (ბილაინის გარდა) და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900. ბილაინის აბონენტებს ზარის განხორციელება შეუძლიათ 20 იანვრიდან).


იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




ცფ,ფყრჯ ჰტრდბპბნტ,ბ5

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 @@) !)! $^%
fyu8 N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs cohf-ab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib 2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2 [j,bc vjyfcnthb8 fy lfhtrjs5 vfusb7 ]tjctkb7 ,bkfbyb 2 &)) ^)&9 f[fkb mctkt,b 2 &)) ^)*9 cbkmytnb 2 ^)* ^)* ~pfhbc qbht,ekt,ff ! kfhb`8
[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`

## ორშაბათი 16 აპრილი

07.30 კონცერტი "გაზაფხული ვენაში 08.20 ქართული დოკუმენტალისტიკა 09.00, 11.00, 17.00 საუკუნის პორტრეტები 09.45 ქარ. მხ. ფ. "ნაზარის უკანასკნელი ლოცვა" 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.45, 17.45 I არხი წარმოგიდგენთ 14.15 დოკ. ფილმი "გარდაცვალება – მარადიული სიცოცხლის დასაწყისი" 15.00 დოკ. ფ. "ხევსურები" 16.00 მოამბე 18.15 პეპე და მეგობრები 19.05 სერ."მიმინო და მტრედი" 20.00 მოამბე 21.00 სერ. "დეტექტივი" 22.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 23.00 კონცერტი 00.45 საფარი 01.15 მოამბე 01.35 მხ. ფ. "მოთამაშე" (15) 03.45 მხ. ფილმი "როგორ მოვიშოროთ თაყვანისმცემელი 10 დღეში" (ქ. ჰადსონი)

08.00 დოკ. ფილმი 08.30 კონცერტი 09.30 დოკ. ფილმი 10.30 ქარ. მხ. ფილმი "თეთრი ქარავანი 12.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 13.00 მხ. ფ. "სიყვარული მოულოდნელად გეწვევა" 14.30, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 16.00 მხ. ფილმი "გარდაცვალება – მარადიული სიცოცხლის დასაწყისი" 19.00, 22.00 სერ. "ხუთი და" 20.00 ქარ. მხ. ფ. "ნაზარის უკანასკნელი ლოცვა" 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 01.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 02.00 მხ. ფილმი "სიზმრებში"

07.30 იმედის დილა 10.05 სერ. "მოპარული ბედნიერება" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 11.30 სერ. "ქალის სიტყვა" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "გოგონა გარეუბნიდან" 16.00 სერ. "შურისძიების საფასური" 17.40 სერ. "ევა ლუნა" 18.40 სერ. "შურისძიების სახელით" 21.00 სერ. "მემკვიდრეები" 22.00 რომ გადახვალ, გააჩერე 22.30 სერ."სახლი ძველ უბანში" 23.40 ავტობიოგრაფია 00.40 მხ. ფ. "გამოსასყიდი" 02.50 მხ. ფილმი "ნედ კელი" (12) (ო. ბლუმი) 04.35 მხ. ფილმი "მატჩ-პოინტი" (15) (ს. იოხანსონი)

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "დედის გული" 11.00 სერ. "კლონი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 06.00 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.30 იღბლიანი ბორბალი 17.00 სერ. "ტერეზა" 18.45 სერ. "მიყვარხარ ლოლა" 19.50 სერ. "ველური ყვავილი" 22.00 ქარ. მხ. ფილმი "დარჩი ჩემთან" 23.30 შერეკილები 00.30 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (ტიტ.)

08.00 ან. ფილმი 08.55 სერ. "მარია ემილია" 10.00 მხ. ფილმი 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 მხ. ფილმი 15.30 პულსი 16.00 იცხოვრე ფეხბურთით 17.10 სერ. "ნოეს კიდობანი" 18.00 მხ. ფილმი 20.00 ბიბლიის მრავალსაუკუნოვანი ისტორია 21.00 მხ. ფილმი 23.40 მხ. ფილმი 02.00 მხ. ფილმი

ორშაბათი ა16 08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 02.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30 სერ. "სიამაყე" 10.30 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.00 "დრო" 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.25 სერ. "ქალი გაიცნობს" 12.50, 19.35 სერ."მომიყევი ერთი ამბავი" 13.50 1000 წვრილმანი 15.15 სერ. "სიამაყე" 16.30 დროის ვექტორი 21.00 ზღაპრის კონა 23.00 სახლი ბათუმში 23.30 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 09.05 განთიადი 10.00 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05 ისტორიის დღიური 10.10 პატრიარქის ქადაგება 110.30 ლექსით ქებათა ქება 0.35 კვირიაკე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00 საეკლესიო კალენდარი 12.10 მხ. ფილმი "ფიროსმანი" 13.30 კონცერტი – ზაურ ბოლქვაძე 15.05 დოკ. ფილმი "ტრიუმფატორი" 16.05 კონცერტი – საგალობლების საღამო 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 18.10 გუთნისდედა 18.40 მერი ნაკაშიძე (არქივიდან) 19.00 სიახლენი 19.20 მხ. ფილმი "რაც გინახავს, ველარ ნახავ" 20.40 ძილი ნებისა 21.20 სალვთისმეტყველო საუბრები – მამა მიქაელ ფოფხაძე 22.00 სიახლენი 22.25 დოკ. ფილმი "სტუმრად პატრიარქთან" 23.10 დოკ. ფილმი "იერუსალიმი" 00.35 განთიადის სტუმარი 00.55 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები

## სამშაბათი 17 აპრილი

09.00, 12.00, 16.00, 19.00 მოამბე 11.00 სამოთხის ვაშლები 12.45 მხ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" 13.50 10|10 15.00 სერ. "დეტექტივი" 17.00 მედ-ინფო 17.30 დამზადებული საქართველოში 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ."მიმინო და მტრედი" 21.00 სერ. "დეტექტივი" 22.00 დიალოგი დავით პაიჭაძესთან 22.40 ფეხბურთი – ჩემპიონთა ლიგა: ნახევარფინალი 00.00 მხ. ფილმი "ჩვეულებრივი ეჭვმიტანილები" 02.35 მოამბე 02.55 მხ. ფილმი "მოთამაშე"

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 16.00 დოკ. ფილმი 14.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 17.00 19.00 სერ. "ხუთი და" 20.00 მხ. ფილმი "მოულოდნელი სიყვარული" 21.30 ევროკავშირი და საქართველო 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 01.00 მხ. ფილმი "ბრაუნინგის ვერსია"

07.30 იმედის დილა 10.05 სერ. "მოპარული ბედნიერება" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 11.30 სერ. "ქალის სიტყვა" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "ღვინის გზა" 15.40 ღამის შოუ (გან.) 17.40 სერ. "ევა ლუნა" 18.40 სერ. "შურისძიების სახელით" 21.00 სერ. "მემკვიდრეები" 22.00 ნანუკას შოუ 23.40 თბილისი ლაივი 00.50 მხ. ფილმი "რას სურთ ქალებს" (მ. გიბსონი) 03.30 მხ. ფილმი "წინასწარმეტყველი" (12) (ნ. კეიჯი) 05.15 მხ. ფილმი "სამუშაო"

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "დედის გული" 11.00 სერ. "კლონი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.30 ვანოს შოუ 17.00 სერ. "ტერეზა" 18.45 სერ."მიყვარხარ ლოლა" 19.50 სერ."ველური ყვავილი" 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 თქვენი შოუ 23.00 შიშის ფაქტორი 00.00 შუა დღე 01.30 პატრული 02.00 მხ. ფილმი (ტიტ.)

08.00 ან. ფილმი 08.55 სერ. "მარია ემილია" 10.00 მხ. ფილმი 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. "ტაქსის მძღოლი" 15.30 მხ. ფილმი 17.10 სერ. "ველური მთვარე" 18.00 მხ. ფილმი 21.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 22.00 იცხოვრე ფეხბურთით 22.50 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა 02.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 02.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30 სერ. "სიამაყე" 10.30 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.00 "დრო" 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.25 სერ. "ქალი გაიცნობს" 12.50 სერ."მომიყევი ერთი ამბავი" 13.50 სახლი ბათუმში 15.15 სერ. "სიამაყე" 15.50 დოკ. ფილმი 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 19.35 სერ. "მონტალბანო" 21.00 ზღაპრის კონა 23.00 დოკ. ფილმი "ისინი" 23.40 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 განთიადი 10.00 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10 სიახლენი 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 გუთნისდედა 11.20 სალვთისმეტყველო საუბრები 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი "რაც გინახავს, ველარ ნახავ" 13.35 კონცერტი – შვეიცარიის კულტურის დღეები 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ. ფილმი "მოგზაურობა ბართ ვულფთან ერთად". 15.55 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 16.20 მხ. ფილმი "მე, ბებია ილიკო და ილარიონი" 18.10 დოკ. ფილმი "წმინდა მიწაზე" 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.30 დროის ჩანაწერები 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია 22.25 მგზავრების წუთისოფლისა 23.00 საღამოს ლოცვა 23.10 დოკ. ფილმი "ივერიის ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული" 23.25 მოკ. ფილმი "ღვინის ქურდები" 00.30 განთიადის სტუმარი 00.55 კონცერტი – შოთა მილორავა

## ოთხშაბათი 18 აპრილი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.45 ცხოვრება მშვენიერია 13.50 ვაშინგტონი დღეს 14.15 დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" 15.00 სერ. "დეტექტივები" 17.00 ფეხბურთი – საქ. თასის ნახევარფინალი 19.05 სერ."მიმინო და მტრედი" 20.00 მოამბე 21.00 სერ. "დეტექტივი" 22.00 ევროპული არჩევანი 23.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 00.00 მხ. ფილმი "დენის და ლორის დებატები" (12) (შ. სტოუნი) 02.00 მოამბე 02.20 მხ. ფილმი "ჩვეულებრივი ეჭვმიტანილები" (კ. სპეისი) 04.15 მხ. ფილმი "სამიტი" (12) (ქ. პლამერი)

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 14.00 , 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 16.00 დოკ. ფილმი 14.00, 17.00 დოკ. ფილმი 17.00 სერ. "ხუთი და" 20.00 მხ. ფილმი "დივების ხოცავენ, არა?" 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 01.00 მხ. ფ. "მღელვარება"

07.30 იმედის დილა 10.05 სერ. "მოპარული ბედნიერება" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 11.30 სერ. "ქალის სიტყვა" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "ღვინის გზა" 15.40 ქალური ლოგიკა (გან.) 17.40 სერ. "ევა ლუნა" 18.40 სერ. "შურისძიების სახელით" 21.00 სერ. "მემკვიდრეები" 22.00 ცეკვავენ ვარსკვლავები 23.00 პოლიციის აკადემია 00.00 რემონტი 01.00 მხ. ფილმი "ტრანსპორტერი" (12) 03.05 მხ. ფილმი "დაბრუნება ბრაიდსჰედში" (12) (გ. სკაკი)

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "დედის გული" 11.00 სერ. "კლონი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.30 ეთამაშე ვარსკვლავს 16.30 სიცილის ზონა 17.00 სერ. "ტერეზა" 18.45 სერ."მიყვარხარ ლოლა" 19.50 სერ."ველური ყვავილი" 22.00 იღბლიანი ბორბალი 22.40 ჩემპიონთა ლიგა 00.40 შუა დღე 02.00 პატრული 03.00 მხ. ფილმი (ტიტ.)

08.00 ან. ფილმი 08.55 სერ. "მარია ემილია" 10.00 მხ. ფილმი 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. "ტაქსის მძღოლი" 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 მხ. ფილმი 17.10 სერ. "ველური მთვარე" 18.00 მხ. ფილმი 21.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა 02.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 02.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30 სერ. "სიამაყე" 10.30 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.00 "დრო" 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.25 სერ. "ქალი გაიცნობს" 12.50, 19.35 სერ."მონტალბანო" 13.50 დოკ. ფილმი "ისინი" 15.15 სერ. "სიამაყე" 15.30 დოკ. ფილმი 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 21.00 ზღაპრის კონა 23.00 სცენა 23.40 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 განთიადი 10.35 საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია 11.00 ჩვენი ფონდი 11.25 მგზავრები წუთისოფლისა 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00 საეკლესიო კალენდარი 12.10 დროის ჩანაწერები. 13.20 კონცერტი – ანს. "მამული" 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 15.30 დოკ. ფილმი "მოგზაურობა ბართ ვულფთან ერთად" 15.55 დოკ. ფილმი "სამთავროს დედათა მონასტერი"18.10 დოკ. ფილმი "წმინდა მიწაზე" 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 9.15 მხ. ფილმი "თოჯინები იცინიან" 21.05 პატრიარქის ქადაგება 22.25 გზა, რომლითაც ვიარებ 23.10 უფლის გაცემის შესახებ 00.35 განთიადის სტუმარი 00.55 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 01.25 ერთი დღე მონასტერში 01.50 მოკ. ფილმი "სიყვარულის ცეცხლი"

## ხუთშაბათი 19 აპრილი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.45 ევროპული არჩევანი 14.00 აღმოაჩინე საქართველო 14.30 დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" 15.00 სერ. "დეტექტივი" 17.00 პირველი ტელევიზია 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. "არც ასე არც ისე" 21.00 სერ. "დეტექტივი" 22.00 დიალოგი დავით პაიჭაძესთან 23.00 სპორტული ტოკ-შოუ "არენა" 00.00 სი-ბემოლი 01.00 მოამბე 01.20 საფარი 01.50 მხ. ფილმი "მოლ ფლანდერსი" (15) (მ. ფრიმანი) 04.00 მხ. ფილმი "დენის და ლორის დებატები" (12) (შ. სტოუნი)

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 14.00, 19.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 16.00 დოკ. ფილმი 17.00 სერ. "ხუთი და" 20.00 მხ. ფილმი "წყალზე ბევრად მეტი" 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 01.00 მხ. ფილმი "ძმა, მზე და მთვარე"

07.30 იმედის დილა 10.05 სერ. "მოპარული ბედნიერება" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 11.30 სერ. "ქალის სიტყვა" 12.30 დღის შოუ 14.40 100 გრადუსი (გან.) 17.40 სერ. "ევა ლუნა" 18.40 სერ. "შურისძიების სახელით" 21.00 სერ. "მემკვიდრეები" 22.00 სერ. "შუა ქალაქში 3" 00.00 რომ გადახვალ გააჩერე 00.25 მხ. ფილმი "დაუმარცხებელი" (15) (უ. სნაიპსი) 02.30 მხ. ფ. "ჩამსკრაბერი" (15) (გ. კლოუზი) 04.25 მხ. ფილმი "დამცველი" (12) (დ. ლუნგრენი)

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "დედის გული" 11.00 სერ. "კლონი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.30 კომედი შოუ 17.00 სერ. "ტერეზა" 18.45 სერ."მიყვარხარ ლოლა" 19.50 სერ."ველური ყვავილი" 22.00 პროფილი 23.30 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 00.30 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (ტიტ.)

08.00 ან. ფილმი 08.55 სერ. "მარია ემილია" 10.00 მხ. ფილმი 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. "ტაქსის მძღოლი" 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 პულსი (გან.) 16.00 იცხოვრე ფეხბურთით 17.10 სერ. "ველური მთვარე" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "ვნებათა მიწა" 21.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა 02.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.00 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30 სერ. "სიამაყე" 10.30 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.20 სერ. "ქალი გაიცნობს" 12.50, 19.35 სერ."მონტალბანო" 13.50 სცენა 15.15 სერ. "სიამაყე" 15.50 დოკ. ფილმი 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 21.00 ზღაპრის კონა 23.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 განთიადი 10.35 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.05 ამინდი 12.15 მხ. ფილმი "თოჯინები იცინიან" 13.40 კონცერტი – ლიზა ბაგრატიონი 15.05 განთიადის სუტმარი 15.30 დოკ. ფილმი "მოგზაურობა ბართ ვულფთან ერთად" 16.35 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 18.10 დოკ. ფილმი "წმინდა მიწაზე" 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 19.20 მხ. ფილმი "აბეზარა" 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.25 გამოყენებითი ხელოვნება 21.35 აქტუალური თემა 22.25 დოკ. ფილმი "ხიდები სამშობლოსაკენ" 23.10 დოკ. ფილმი "ქარაგმა" 00.55 კონცერტი – ანდრე რიუ

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

## პარასკევი 20 აპრილი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00 მოამბე 12.45 სპორტული ტოკ-შოუ "არენა" 13.50 ჩვენი ეზო 15.00 სერ. "დეტექტივი" 17.00 ავტოპილოტი 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. "არც ასე არც ისე" 21.30 გააგრძელე საქართველოს ისტორია 22.00 ევრო – 2012. დღიური 22.30 მხ. ფილმი "ბოლო მომენტში" (ჯ. დეფი) 00.00 წითელი ზონა 01.00 მხ. ფილმი "ულისეს მზერა" (12) 04.15 მხ. ფილმი "მოლ ფლანდერსი" (15) (მ. ფრიმანი)

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 14.00, 19.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 16.00 დოკ. ფილმი 17.00 სერ. "ხუთი და" 20.00 მხ. ფილმი "ჩემი სიკვდილის შემდეგ" 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 01.00 მხ. ფილმი "ზოგი რამ ჰენრის შესახებ"

07.30 იმედის დილა 10.05 სერ. "მოპარული ბედნიერება" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 11.30 სერ. "ქალის სიტყვა" 12.30 დღის შოუ 14.40 ნანუკას შოუ (გან.) 17.40 სერ. "ევა ლუნა" 18.40 სერ. "შურისძიების სახელით" 21.00 სერ. "მემკვიდრეები" 22.00 ქარ. სერ. "გოგონა გარეუბნიდან" 23.00 100 გრადუსი 00.50 თბილისი ლაივი 02.15 მხ. ფილმი "კაპიტან ალატრისტეს ცხოვრება" (15) (ე. ნორიეგა) 04.35 მხ. ფილმი "მხოლოდ შენნაირი" (ე. დჟადი)

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "დედის გული" 11.00 სერ. "კლონი" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.30 პროფილი (გან.) 18.45 სერ."მიყვარხარ ლოლა" 19.50 სერ."ველური ყვავილი" 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ვანოს შოუ 23.30 კომედი შოუს სკეტჩები 00.30 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (ტიტ.)

08.00 ან. ფილმი 08.55 სერ. "მარია ემილია" 10.00 მხ. ფილმი 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. "ტაქსის მძღოლი" 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 მხ. ფილმი 17.10 სერ. "ველური მთვარე" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "ვნებათა მიწა" 21.00 მხ. ფილმი 23.00 105 წუთი (პირდ.) 01.00 მზესუმზირა 03.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30 სერ. "სიამაყე" 10.00 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.25 სერ. "ქალი გაიცნობს" 13.00 სამედიცინო გად. "იმპულსი" 13.30, 19.35 სერ."მონტალბანო" 15.15 სერ. "სიამაყე" 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 21.00 ზღაპრის კონა 23.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 განთიადი 10.00, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.35 ლექსით დოკ. ფილმი "ხიდები სამშობლოსაკენ" 11.10 აქტუალური თემა 11.30 გზა, რომლითაც ვიარე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.10 მხ. ფილმი "აბეზარა" 13.30 კონცერტი – თამარ ჭოხონელიძე 15.20 დოკ. ფილმი "მოგზაურობა ბართ ვულფთან ერთად" 15.45 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 16.10 მხ. ფილმი "მანანა" 17.20 კონცერტი – ანს. "იალონი" 18.10 დოკ. ფილმი "წმინდა მიწაზე". 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ. ფილმი "ჩარირამა" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ჩვენი ფონდი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 მხ. ფილმი "ქვევრი" 00.30 განთიადის სტუმარი 00.55 კვირიაკე

## შაბათი 21 აპრილი

07.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 08.15 ან. ფილმი 09.30 საბ. ფილმი "ყვირილი" 11.00 ეთნოგრაფიული ნარკვევები 11.15 ვაკაპედია 11.30 ბავშვობანა 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 ტ. ფილმი "სამანიშვილის დედინაცვალი" 14.00 კალათბურთი. არმია - ოლიმპი 16.00 მოამბე 16.30 ევროვიზია – 2012. დღიური 17.30 მედ-ინფო 18.00 პირველი ტელევიზია 19.00 ეკონომ მენიუ 21.00 ქართ. ფილმი "რამდენიმე სურათი ილიას ცხოვრებიდან" 22.00 ტ. სერ. "რანი" 23.00 10|10 00.00 ავტოპილოტი 01.00 მხ. ფ. "შიდაგამოძიება" (რ. გირი) 03.00 მოამბე 03.20 წითელი ზონა 04.20 მხ.ფ. "ბედნიერ ბოშასაც შევხვედრივარ"

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 11.00, 15.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 17.00 დოკ. ფილმი 18.00 მხ. ფილმი "ბუნების ძალები" 20.00 მხ. ფ. "ჩვენი სახლი" 22.00 მხ. ფილმი "ლურჯი მაისურები" 23.45 მხ. ფილმი "ის, რასაც სიყვარული ჰქვია"

08.00 ქრონიკა 08.15 ან. ფილმი 09.15 საბ. ფილმი "მეხთამტყოროცნელი" 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ჯანმრთელობა 11.45 სერ. "შუა ქალაქში" 13.10 რემონტი 14.30 ავტობიოგრაფია 15.20 რომ გადახვალ, გააჩერე 15.50 პოლიციის აკადემია (გან.) 17.40 სერ. "ევა ლუნა" 18.40 სერ. "შურისძიების სახელით" 20.30 სპეცრეპორტაჟი 21.00 სერ. "მემკვიდრეები" 22.00 სერ. "შუა ქალაქში" 23.00 სერ. "ხანუმა" 23.50 ჯეოსელის გათამაშება 00.10 კულინარიული დუელი 01.10 მხ. ფილმი "ერთი სამეგობროს ამბავი" (18) (ა. გარსია) 03.15 მხ. ფილმი "ჩემი ძმაკაცის შეყვარებული" (12) (ა. ბოლდუინი) 05.15 მხ. ფ. "ლამაზი მერის ამბავი" (12) (კ. დიასი)

08.00 კურიერი 08.30 მხ. ფილმი - ანიმაცია 11.00 ეკოვოკი (გან.) 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.30 ვაკანსია 13.00 შერეკილები 14.00 რა სად როდის (გან.) 15.30 თქვენი შოუ 17.00 სერ. 18.30 სიცილის ზონა 18.45 ანა-ბანა 19.50 სერ."ველური ყვავილი" 21.00 კურიერი 22.00 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 23.00 სერ. "სამხრეთის დედოფალი" 00.00 მხ. ფილმი (ტიტ.) 02.30 მხ. ფილმი (ტიტ.)

08.00 მხ. ფილმი 09.45, 10.45, 13.55, 17.20 ტვ-მარკეტი 10.00 სერ. "მარია ემილია" 11.00 პულსი 11.30 ან. ფილმი 12.00 სერ. "ტაქსის მძღოლი" 13.00 სერ. "ქვეყნის კიდეზე" 14.10 სერ. "ფანტაზიების კუნძული" 15.00 მხ. ფილმი 17.15 სერ. "ველური მთვარე" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "ვნებათა მიწა" 21.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 22.00 მხ. ფილმი 23.40 მხ. ფილმი 02.20 მხ. ფილმი

08.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.00 "დრო" 09.00 ანიმაცია 10.00 დილის ტალღა 12.00 ფერისცვალება 12.30 მუსიკა 13.00, 21.25 სერ. "ქალი გაიცნობს" 13.30 1 000 წვრილმანი 15.00 დოკ. სერ. "ბინდი- გოგონა ჯუნგლებიდან" 15.30 სერ. "მკვლელობები მიდსომერში" 17.00 დოკ. ფილმი 18.00 მხ. ფილმი 21.00 ზღაპრის კონა 23.00 მოგზაურის დღიური 23.30 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 ჩვენი ფონდი 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 09.05 განთიადი (კოლაჟი) 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.05 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 კვირიაკე 12.15 მხ. ფილმი "ჩარირამა" 13.30 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 15.05 ჯანო ბაგრატიონის საიუბილეო საღამო 16.30 კთნოგრაფია 17.40 მხიარული ხელები 18.10 დოკ. ფილმი "წმინდა მიწაზე" 18.35 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 ქართული ალბომი 19.35 მოკ. ფილმი "ზღარბი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 22.25 ერთი დღე მონასტერში 23.10 კონცერტი "ქრისტე აღდგა" 00.30 მხ. ფილმი "სამოთხის ბვრიტები" 01.20 კონცერტი – ანდრია ბოჩელი

## კვირა 22 აპრილი

07.30 დოკ. ფილმი "მსოფლიოს ოდისეები" 08.00 ან. ფილმი 09.30 მხ. ფილმი "ზევსი და როქსანა" 11.00 ეთნოგრაფიული ნარკვევები 11.15 ვაკა-პედია 11.30 ჩვენი ექსპრესი 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 ჩვენი ფერმა 13.00 გააგრძელე საქართველოს ისტორია 13.30 დოკ. ფილმი "მიკი მაუსის კლუბი" 14.30 სი – ბემოლი 15.30 ჩემპიონთა ლიგის დღიური 16.30 ჩვენი ეზო 17.30 ვაშინგტონი დღეს 18.00 ფეხბურთი: დილა - დინამო 20.00 აქცენტები 21.00 ცხოვრება მშვენიერია 22.00 ტ. სერ. "რანი" 23.00 აღმოაჩინე საქართველო 23.30 უცნობი მუსიკა 00.30 კონცერტი დ. ბოუვი 01.30 მხ. ფილმი "სიყვარული და სხვა უსამოვნებები" (ქ. ხადსონი) 03.15 მოამბე 03.35 მხ. ფილმი "შიდაგამოძიება"

08.00 დოკ. ფილმი 09.00 ბრიფინგის დროით 10.00, 17.00 თავისუფალი ტრიბუნა 15.00 მხ. ფილმი "როკის სკოლა" 19.30 გააგრძელე საქართველოს ისტორია 20.00 მხ. ფილმი "საღამოს ვარსკვლავი" 23.30 მხ. ფილმი "როგორ მოვიშოროთ თაყვანისმცემელი 10 დღეში"

08.00 ქრონიკა 08.15 ან. ფილმი "ელ ტიგრეს თავგადასავალი" 09.50 ეტალონი 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 02.05 ქრონიკა 11.15 ბასტი-ბუბუ 11.45 სერ. "შუა ქალაქში" 13.00 სერ. "ჰანა მონტანა" 14.30 სპეც. რეპორტაჟი 15.20 კულინარული დუელი 16.30 რომ გადახვალ, გააჩერე 17.40 იმედის გმირები 17.55 ცეკვავენ ვარსკვლავები 20.10 ქალური ლოგიკა 21.10 ღამის შოუ 22.00 სერ. "შუა ქალაქში" 23.00 სერ. "ღვინის გზა" (15) 00.00 სერ. "გამოღვიძება" 01.55 მხ. ფილმი "მეოჯახე" (ნ. კეიჯი) 03.55 მხ. ფილმი "წერილები ჯულიეტასთვის" (გ. ბერნალი) 05.45 მხ. ფილმი "საშობაო ამბავი" (პ. კრუსი)

08.00 კურიერი 08.30 მხ. ფილმი – ანიმაცია 11.00 ანაბანა 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 13.00 ქართ. ფილმი 15.30 ნიჭიერი (გან.) 18.30 სიცილის ზონა 19.00 ეკი-ვოკი 20.00 ეთამაშე ვარსკვლავს 21.00 პ. ს. კურიერი 22.00 კომედი შოუ 23.00 შიშის ფაქტორი 00.00 მხ. ფილმი (ტიტ.) 02.30 მხ. ფილმი (ტიტ.)

08.00 მხ. ფილმი 09.45, 10.45, 13.55, 17.10 ტვ-მარკეტი 10.00 სერ. "მარია ემილია" 11.00 პულსი 11.30 ან. ფილმი 12.00 სერ. "ტაქსის მძღოლი" 13.00 სერ. "ქვეყნის კიდეზე" 14.10 სერ. "ფანტაზიების კუნძული" 15.00 მხ. ფილმი 17.15 სერ. "ველური მთვარე" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "ვნებათა მიწა" 21.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 22.00 მხ. ფილმი 23.50 მხ. ფილმი 01.30 მხ. ფილმი

08.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 02.00 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30 ფერისცვალება (გან.) 10.00 დილის ტალღა 12.00 სერ. "გვენ ჯონსი" 12.30 მოგზაურის დღიური 13.00, 21.25 სერ. "ქალი გაიცნობს" 15.00 დოკ. სერ. "ბინდი- გოგონა ჯუნგლებიდან" 15.30 სერ. "მკვლელობები მიდსომერში" 17.00 დოკ. ფილმი 18.00 მხ. ფილმი 21.00 ზღაპრის კონა 21.25 სერ. "ქალი გაიცნობს" 23.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.00 დილის ლოცვა 08.10 მოკ. ფილმი "ველური ბუნება" 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 09.05 განთიადი (კოლაჟი) 10.50 კონცერტი "ქრისტე აღდგა"11.20 მხიარული ხელები 13.15 მულტფილმები 13.30 გუთნისდედა 14.00 ერთი დღე მონასტერში 14.30 კარაბადინი 15.00, 18.00, 21.00 საეკლესიო კალენდარი 15.05 სააღდგომო ეპისტოლე 16.20 მოკ. ფილმი "მწყემა ზღაპარი" 16.55 სალვთისმეტყველო საუბრები – მამა მიქაელ ფოფხაძე 17.30 საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია 19.30 მხ. ფილმი "არაჩვეულებრივი გამოფენა" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.30 კვირიაკე 23.00 საღამოს ლოცვა 23.20 გაცოცხლებული წარსული – აღდგომა 00.10 პატრიარქის ქადაგება 00.30 მხ. ფილმი "უდიპლომო სასიძო"

# ზრუნავს თუ არა თარგამაძე ივანიშვილზე?

**თამარ ნინიძე**

„თუ ვინმეს ჰგონია, რომ ამას ბიძინა ივანიშვილისთვის ვაკეთებ, ცდება“ – ასეთი იყო გასულ კვირას გიორგი თარგამაძის მიერ ახალი საკონსტიტუციო ცვლილების შესახებ კომენტარის დროს გახმოვანებული შეფასება. დიახ, მართალია, ის ბიძინასთვის არ ირჯება. მას ამის გახმოვანება თავად ნაციონალებმა ურჩიეს. მათ შეათანხმეს ქდმ-ს ლიდერთან ეს ცვლილება, რომელიც ისტორიაში ნამდვილად შევა, როგორც ნაციონალების მოღვაწეობის პროცესში დაშვებული უდიდესი სისულელე. მოქალაქეობის საკითხს დღეიდან ივანიშვილის გუნდი აღარ დააყენებს, ან თუ მოხდება მაინც ამ საკითხზე საუბარი, პროცესებს ისეთი პირი უჩანს, რომ ივანიშვილის ადვოკატები საერთაშორისო სასამართლოს მიმართავენ. ისე, რა ამბავია ამდენი ადვოკატი, ამდენი იურისტი საქმეზე და, ბუნებრივია, ამდენი განსხვავებული აზრი. ეკა ბესელია ერთს ამბობს, თინა ხიდაშელი – მეორეს, ზაქარია ქუცნაშვილი – მესამეს და არჩილ კბილაშვილი – მეოთხეს. ამიტომაც დასრულდა ეს საქმე წარუმატებლად. ივანიშვილი მოახერხებს, ჩაერთოს წინასაარჩევნო კამპანიაში, მაგრამ დიდი დრო დაიკარგა, თანაც, იმ სასურველი შედეგის გარეშე, რასაც ოფიციალურად მოქალაქეობის მინიჭება ჰქვია.

თარგამაძე უცებ ივანიშვილის ყველაზე დიდი გულშემატკივარი გახდა. „ივანიშვილს მოქალაქეობა ადამიანური, პოლიტიკური და სამართლებრივი თვალსაზრისით ეკუთვნის და მას ამ უფლებისთვის ბრძოლაში მხარს დავუჭერთ“, – აცხადებს თარგამაძე. განსაკუთრებით შთამბეჭდავია სიტყვა „სამართლებრივად“. თუ სამართლებრივად ივანიშვილს მოქალაქეობა ეკუთვნის, რაღა საჭირო იყო ერთი კაცისთვის კონსტიტუციის შერყვნა, პირდაპირ მოეთხოვათ, რომ სააკაშვილს მიეცა მისთვის ეს უფლება. მაგრამ არა, ნაციონალები სიტყვებმა „აბა, გაბედოსო“, ლამის გააცოფა. უფრო საინტერესოა თარგამაძის ეს სიტყვები: „რა ნებიერად შემობრძანდა გაზაფხული და რა ნებიერად ვითარდებიან ისინი („ქართული ოცნება“). ჰოდა, ჩვენც ნებიერად წარვადგინეთ საკონსტიტუციო წინადადება, რადგან მხოლოდ ივანიშვილის ნებივრობის იმედად ვერ ვიქნებით. ასე ნებიერად დავითანხმეთ მმართველი უმრავლესობა“. ამ ირონიულ ნააზრევს ბიძინას არჩევნებში მონაწილეობის სურვილთან საერთო არაფერი აქვს, არც იმასთან, რომ თარგამაძე თავისუფალი კონკურენციის პროცესის დიდი გულშემატკივარია. ბიძინა შევა თუ არა პარლამენტში, თარგამაძეს ეს სულ არ ადარდებს. მთავარია, რომ მან ნაციონალების დაკვეთა შეასრულა, კონკრეტულად ის, რომ პარლამენტის წევრობის უფლება ექნება საქართველოს მოქალაქეს 21 წლის ასაკიდან. ვის უმიზნებს დეპუტატობას ხელისუფლება, უცნობია, მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შეიძლება. მიხეილ მაჭავარიანმა ოცდაერთწლიანებზე თქვა, ეს არის თაობა, რომელმაც საკმაოდ რთული პერიოდი გამოიარაო. მათზე არანაკლებ რთული პერიოდი 9 აპრილისა და აფხაზეთის ომის დროს გამოვიარეთ, მაგრამ არავის მიუნიჭებია ჩვენთვის ეს უფლება. თავის დროზე მიხეილ სააკაშვილმა თინეიჯერებს რატომღაც ბუჩქებისკენ მიუთითა. როგორც ჩანს, თაობა, რომელმაც მძიმე პერიოდი გამოიარა და მორალური კომპენსაციისთვის მხოლოდ ბუჩქები საკმარისი არ აღმოჩნდა, ახლა



უკვე დეპუტატებად მოგვევლინება და ზემოდან დაგვიწყებენ ყურებას. სხვათა შორის, სამწუხარო ამბავი მინდა ვაცნობო ნაცებს. ამ თაობას წიგნი არ უყვარს, ბევრი მათგანი უწიგნურია, „სამი მუშკეტერი“ და ჟიულ ვერნის ფანტასტიკაც კი არა აქვს წაკითხული. ზოგს შეიძლება „სამი მუშკეტერი“ არც მოსწონს, მაგრამ მისი განათლების დონე ზოგადად არ სცილდება სკოლის წიგნებს და, საერთოდ, ბევრ საკითხში მათ, უბრალოდ, უჭირთ ორიენტირება. როგორ უნდა შეძლოს 21 წლის ადამიანმა, ჯერ კიდევ სტუდენტმა, დეპუტატობა, კანონებში გარკვევა და უცხოელ დიპლომატებთან საუბარი, ამაზე რას გვიპასუხებენ ნაცები, საინტერესოა. შესაძლოა, მხოლოდ იმისთვის სჭირდებათ ე.წ. ოცდაერთწლიანები, რომ ამ ადამიანებით მანიპულირება უფრო ადვილია, უფრო იოლია, ხელი ააწევინო ხმის მისაცემად რაიმე მორიგი ბრიყვული კანონის მიღების დროს.

ლევან ბერძენიშვილის ინტერვიუ გამახსენდა, ერთ-ერთ გაზეთს რომ მისცა. ბერძენიშვილი აბსოლუტურად სწორად საუბრობს საპარლამენტო უმრავლესობის კანონშემოქმედებით აქტიურობაზე, მაგალითად, „იტყვის ერთი კაცი, ლაზიკა უნდა ავაშენოთო და ყველა ეთანხმება, დავიჭიროთ – კარგია, გამოვუშვათ – უკეთესია. ჩემმა ძმამ თავის დროზე ასეთ დეპუტატებს მეჩაიე დეპუტატები უწოდა“ – წარმოიდგინეთ, რომ ნაცები მეჩაიე დეპუტატების ახალ ნაკადს ამზადებენ. ასეთებს შეიძლება მორჩილი უმრავლესობაც უწოდო. პოტენციურად მორჩილები იქნებიან,. რაში აწყობს სააკაშვილს მოაზროვნე ე.წ. ჰომო საპიენსები, როცა თავისი ახირებების შესასრულებლად ასეთები სჭირდება.

მიიღებს თუ არა „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო ცვლილებას მხედველობაში, ეს ჯერ უცნობია, მაგრამ სააკაშვილმა ივანიშვილის წინააღმდეგ ახალი ძალით დაგეშა ნაციონალური არხები, ლებედისა და ელცინის თემა ისე აუგორა, თითქოს ახლა გაიგო, რომ ივანიშვილი ელცინის საარჩევნო კამპანიას აფინანსებდა. ივანიშვილი სააკაშვილის ხელისუფლებას რომ აფინანსებდა 2003 წლიდან 2007 წლამდე, მაშინაც ელცინის დამფინანსებელი იყო. მაშინ რატომ არ ახსოვდა სააკაშვილს ეს თემა, პასუხი მარტივია: მაშინ სააკაშვილს ივანიშვილის ფული სჭირდებოდა ბარემ, ახლაც სჭირდება, მაგრამ მილიარდერმა მალე შეიტყო, ვისთან და რასთან ჰქონდა საქმე და განზე გავიდა. სააკაშვილმა მართლა მიიღო შოკი, როცა ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლა გაიგო, დღემდე შოკირებულია, ამ შოკისგან ისეთ მდგომარეობაშია, ულირსი მეთოდებით ოპოზიციასთან ბრძოლაში მალე პუტინსაც გაასწრებს და ლუკაშენკოსაც. მან კონფრონტაციის გზა არჩია რეალურ პოლიტიკურ კონკურენტთან შერიგებას ან გარიგებას. ნაციონალებმა ივანიშვილს დამოუკიდებელი პოლიტიკური თამაში არ აპატიეს, ეგონათ, მუდმივად იქნებოდნენ მისი ფინანსური მხარდაჭერის იმედად, ამიტომ ვერ ეგუებიან ივანიშვილის გაპოლიტიკოსებას, ამიტომ ახსენებენ ასე ხშირად წარსულს, თუნდაც უსიამოვნოს, მაგრამ თავად იმას ვეღარ აკონტროლებენ ამ შოკის გამო, რომ თავადაც ამ წარსულის ნაწილი არიან – ელცინი, ლებედი, 9 აპრილი, „გაზპრომი“, პუტინი და ა.შ. ეს ყველაფერი ივანიშვილის წარსული და აწმყოა, ის პერიოდია, რომელიც ნაციონალებთან ერთადაც გაატარა ივანიშვილმა და რომელიც ნაცებს მაშინ არ ახსოვდათ და არ აინტერესებდათ. ახლა, როცა სხვა რეალობაა, უცებ ყველა ხალხის მტერი გახდა, სააკაშვილმა, დაბრმავებულმა შოკით ან უფრო უარესით, თუნდაც სიბრაზით, ვერ გათვალა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელიც ადრე მხოლოდ მის პიროვნებას ერგებოდა, დღეს უკვე ბიძინას პერსონას მოარგო. ნაცები ვერ აღმოჩნდნენ იმ სიმაღლეზე, რომ ეღიარებინათ, დიახ, ივანიშვილი არა მარტო ჩვენ გვაფინანსებდა, არამედ ქვეყნის უმნიშვნელოვანეს პროექტებს. დიახ, ის არის მეცენატი, რომელმაც ბევრი ადამიანი შიმშილით სიკვდილისგან იხსნა. დიახ, ჩვენ ვაღიარებთ, რომ ეს ადამიანი ძლიერია და მის დასაბრუნებლად ყველაფერს ვიღონებთ, მაგრამ აქ ნაცების ბუნება და ხასიათი კარგად გამოჩნდა. დასავლეთის გადამტერების ხარჯზეც კი ნაცები არ აღიარებენ მარცხს, მიდიან გზით, რომელიც არა მარტო მათ, არამედ ქვეყნის მომავალსაც საფრთხეს უქმნის, სამაგიეროდ, მარცხს არ აღიარებენ. სააკაშვილს გავახსენებდი ჩაუშესკუს, მუბარაქის, კადაფის გზას. ასე რომ, ჯერ კიდევ არ არის გვიან.

## პუტინზე თავდასხმას დოკუ უმაროვი ამზადებდა

რუსეთის უშიშროების ფედერალურ სამსახურში მიიჩნევენ, რომ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინზე თავდასხმა ტერორისტულმა ორგანიზაცია „იმარატ კავკაზმა“ და მისმა ლიდერმა დოკუ უმაროვმა მოამზადეს, – იუწყება „როსბალტი“.

წყაროს ცნობით, ამაზე სისხლის სამართლის საქმეები მეტყველებს, რომელსაც აღნიშნული სამსახური შეისწავლის.

სისხლის სამართლის საქმე ვლადიმირ პუტინზე თავდასხმის მომზადების ფაქტზე აღძრულია არა მარტო უკრაინაში დაკავებული ადამ ოსმაევასა და ილია პიანზინის, არამედ დოკუ უმაროვის წინააღმდეგაც.

ოსმაევი და პიანზინი ოდესაში მიმდინარე წლის ზამთარში საცხოვრებელ სახლში მომხდარი აფეთქების შემდეგ დააკავეს. მათ დაკითხვისას აღიარეს, რომ ვლადიმირ პუტინზე თავდასხმას აპირებდნენ.

დოკუ (დოკა) უმაროვი (დ. 13 აპრილი, 1964, ჩეჩნეთი). იჩქერიის პრეზიდენტი და ჩრდილოეთ კავკასიის ემირი. იგი რუსეთ-ჩეჩნეთის ომის დაწყების დღიდან იბრძვის რუსეთის წინააღმდეგ.

ამ ომში გამოჩენილი სიმამაცისთვის უმაროვი დაჯილდოებულია ორი ორდენით („ერის პატივი“ და „ერის გმირი“).

პირად სამხედრო შემადგენლობაში ჰყავს რამდენიმე ასეული მებრძოლი.

**გ.მ.**

## სამგლოვიარო განცხადებები



საქართველოს კარდიოლოგთა საზოგადოება ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს დამსახურებული ექიმის, კარდიოლოგის, უბადლო კლინიცისტის, მედიცინის დოქტორის, თვალსაჩინო საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის, ბატონი

**ამირან (კარლო) ნადარაიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ენძელა, დარეჯან, დალი, პეტრე ბერაიები შვილებით, სიძეებით, მწუხარებას გამოთქვამენ რუსიკო, ზაურ აბურჯანიძეების, მაია, თამაზ ალექსანდრიების დედის

**ნადია ალექსანდრიას**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## განცხადებები

- იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ. ფასი 40.000 აშშ დოლარი. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში ბიომასაჟით, ოსტეოქონდროზის, სახსრების დაავადებების, პროსტატიტის, ცისტიტის, ნევრიტების, რადიკულიტის, გასტრიტის, კოლიტის, ქოლეცისტიტისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. მის: ქ.თბილისი, თ.აბულაძის ქ.20, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 551-25-45-35, ბ-ნი ლევანი.
- წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.
- ვასრულებ სამღებრო სამუშაოებს უმაღლესი ხარისხით, შეღავათიან ფასებში. ტელ: 598-24-40-90; 557-41-60-91 დათო.
- ქირავდება ოროთახიანი კეთილმოწყობილი (ტელეფონი, ტელევიზორი, მაცივარი, გაზისა და წყლის გამათბობლები, ავეჯი) ბინა, ვაჟა-ფშაველას II კვარტალში. ტელ: 599-103-183.



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ყველაზე გრძელი მდინარე აფრიკაში; 2. ზაფხულის თვე; 3. ირანის საინფორმაციო სააგენტო; 4. ალპინისტთა ექსპედიცია რამდენიმე მწვერვალის დალაშქვრით; 8. ქართველი ფეხბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი; 9. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 11. იმერეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 12. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი; 14. ქართული გაზეთი; 16. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 17. პოპულარული ზამთრის კურორტი პოლონეთში; 19. ზრდილობიანი მიმართვა მამაკაცისადმი თურქეთში; 21. სპორტის ოლიმპიური სახეობა.

**თარაზულად:** 5. სამეფო რეზიდენცია მადრიდში; 6. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი გაგრის რაიონში; 7. გავლენის სფეროს გაფართოება; 10. საკათედრო ტაძარი თბილისში; 13. გასართობი თავსატეხი; 15. ძვირფასი ლითონების წონის საზომი ერთეული ძველად საქართველოში; 18. ქართველი კინორეჟისორი; 20. სახელმწიფო აფრიკის ჩრდილოეთში; 22. ჯუნა მიქატაძის ქანდაკება თბილისში; 23. მარტვილის ძველი სახელწოდება; 24. ჩქაროსნული ავტომაგისტრალი.

**შეადგინა თ. კოპალეიშვილმა**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. მაყვალი; 2. აზია; 3. კოლიე; 4. დრაივი; 6. „სხიპჰოლი“; 9. ლესოტო; 13. სარქალი; 14. თაღლითი; 15. კამორა; 17. კოალა; 18. გუამი; 20. ბობი.

**თარაზულად**: 1. „მნათობი“; 5. „დაისი“; 7. ბოსფორი; 8. ყვირილა; 10. ლობიო; 11. იფქლი; 12. მასინე; 16. ტაბულა; 17. კონგო; 19. რაჭა; 21. ბორანი; 22. ალბომი; 23. „კაჭიჭი“; 24. „გინესი“.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. შტირია; 2. ღერღედი; 3. ჯაფარიძე; 4. პლანშეტი; 8. ფიროსმანი; 9. ლამინარია; 11. კარიესი; 12. შუმი; 14. ლემა; 16. დისლალია; 17. მადნელი; 19. ფლეგმა; 21. დიდრო.

**თარაზულად**: 5. საფიჩხია; 6. ბრაშპილი; 7. ფრიკადელი; 10. ღილინი; 13. ლიმიტი; 15. ემპირეა; 18. ხილარი; 20. ტრიოდი; 22. აპერიტივი; 23. ხიროსიმა; 24. ბროწეული.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


14 aprili

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,639
ევრო —2,1551
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6114
რუსული რუბლი — 0,0549

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 21–25, ღამით — 10–14
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18–21, ღამით — 8–10
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 19–23, ღამით — 7–9

ამინდის პროგნოზი 14 აპრილისთვის




# ალექსანდრე კობახიძე: გუნდში თავს საუკეთესოდ არ მივიჩნევ“

**საქახთველოს ნაჯიების შემტევი, ალექსანდჰე ჯობახიძე, უჯხაინის პჰემიეჰლიგაში უგოლობას ახ უჩივის. მან ‛ობოლონთან~ მატჩში დუბლი შეასხულა. ეს მისი მეოხე დუბლია მიმდინაჰე გათამაშებაში _ პიჰველად ჯობახიძემ ლუგანსჯის ‛ზოჰია~ ‛დაასაჩუქხა~. საეჰთო ჯამში ჯი 5 გატანილი ბუჰთი დაუგჰოვდა.**



კობახიძესთან ინტერვიუ ერთ-ერთ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

***— გქონდათ იმედი, რომ „ობოლონს“ ასეთი ანგარიშით დაამარცხებდით?***

— იშვიათად ხდება, როდესაც თამაშამდე მეტოქის დიდი ანგარიშით დამარცხებას ვგეგმავთ და არც „ობოლონთან“ დაგვიგეგმავს. მთავარია, რომ 3 ქულა ავიღეთ. რა თქმა უნდა, ბევრი გოლის გატანა სასიამოვნოა, მაგრამ ამ ეტაპზე გამარჯვება უფრო მნიშვნელოვანია.

***— „ობოლონთან“ მატჩში დუბლი შეასრულეთ, ხოლო „გოლი პლუს პასი“ სისტემით „არსენალში“ ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი გაქვთ — 5 გაიტანეთ და 2-ჯერ თანაგუნდელებს გაატანინეთ. ჩემპიონატის დაწყებამდე ფიქრობდით, რომ ასეთი წარმატებული სეზონი გამოგივიდოდათ?***

— ცხადია, სასიამოვნო სტატისტიკაა, მაგრამ გუნდში თავს საუკეთესოდ არ მივიჩნევ. ყველა ფეხბურთელი საუცხოო ფორმაშია და შეგვიძლია, ასეთად თითოეული დავასახელოთ. პარტნიორები გუნდური წარმატებისთვის ჩემზე არანაკლებს აკეთებენ. მაგალითად, შაცკიხი რომ არ ყოფილიყო, ოდიბე „ობოლონთან“ ორ გოლს ვერ გაიტანდა. ამიტომ ბოლო პერიოდში გუნდის მიერ მიღწეულ წარმატებაში რომელიმე მოთამაშის გამორჩევა არ შეიძლება. მთლიანად გუნდმა კარგად ითამაშა.

***— თქვენთვის შემტევ განაპირა ნახევარმცველად თამაში უფრო მისაღებია თუ გამოკვეთილ თავდამსხმელად?***

— ჩემთვის სულ ერთია, სად ვითამაშებ — მარჯვნიდან თუ მარცხნიდან. ნებისმიერ შემთხვევაში ფლანგებიდან შეტევა უფრო მომწონს. რა თქმა უნდა, იშვიათ შემთხვევებში დაცვიდან ვთამაშობთ, მაგრამ უფრო ხშირად შემტევ მანერაში ვმოქმედებთ და ასეთ დროს თავს კომფორტულად ვგრძნობ.

***— ვისთან ელის ჩემპიონატის ფინიშზე „არსენალს“ ყველაზე რთული მატჩი?***

— ჩვენთვის თითოეული მატჩი მნიშვნელოვანია. თუმცა, გამოვარჩევდი დონეცკის „მეტალურგთან“ გასვლით თამაშს, როდესაც უშუალო დაპირისპირებაში გავარკვევთ, ვის აქვს ევროპის ლიგაში მოხვედრის პრეტენზია.

***— შეიძლება ითქვას, რომ „არსენალის“ სასტარტო შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული არავის აქვს, მაგალითად, თავად გუნდის კაპიტან მაქსიმ შაცკიხსაც?***

— ჩვენთან დიდი კონკურენციაა. მეორე მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ ყველა ფეხბურთელი სასტარტოში მოიაზრება. დღეს ერთი თამაშობს, ხვალ — მეორე. კონკურენცია ნორმალური მოვლენაა, რომელიც თითოეულ ფეხბურთელს მომატების საშუალებას აძლევს. გაზაფხულზე რთული გრაფიკი გვაქვს, ამიტომ მწვრთნელებს შემადგენლობის ცვლა მუდმივად უწევთ. მხოლოდ მწვრთნელი წყვეტს, სასტარტოში ვინ დააყენოს. კარგი კოლექტივი ვართ — ვინც უნდა გავიდეს მოედანზე, ყველა ბოლომდე იბრძვის.

***— არ გწყინთ, როდესაც თადარიგში რჩებით ხოლმე?***

— სათადარიგოთა სკამზე ჯდომა არავის უყვარს და გულის სიღრმეში ამით კმაყოფილი არავინაა. თუმცა, ეს ფეხბურთში ნორმალური მოვლენაა. მთავარია, სწორი დასკვნები გააკეთო და ყოველ ვარჯიშზე დაამტკიცო, რომ სასტარტოში თამაშის ღირსი ხარ. ასეთ სიტუაციებში ნაწყენი მხოლოდ საკუთარ თავზე ვარ. ე.ი. რაღაც ისე არ გავაკეთე, როგორც საჭირო იყო.

***— როდის დაიწყებს საქართველოს ეროვნული ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის მზადებას?***

— მაისის შუა რიცხვებში შეკრება და ორი ამხანაგური თამაშის გამართვა გვაქვს დაგეგმილი. ეს შეკრება მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატისთვის ათვლის წერტილი გახდება.

.დტჯფვ უფბსდფჯბცობყტს=

fcnhjghjuyjpb

**14 აპრილი _ ეს დღე სასიამოვნოდ ჩაივლის**

**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** — ფულის პრობლემა არ გაქვთ, მთავარია არ გაფლანგოთ. **ტყუპები** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **კირჩხიბი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **ლომი** — სახლში კარგი ამბებია. **ქალწული** — საღამოს სიურპრიზი გელით, გიხარიათ. **სასწორი** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ღრიანკალი** — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **მშვილდოსანი** — თავს კრიტიკულად უყურებთ, ზედმეტი არ მოგივიდეთ. **თხის რქა** — ბედი გწყალობთ, გახარებული ხართ. **მერწყული** — დილიდან კარგ ხასიათზე ხართ, ამის მიზეზი გაქვთ. **თევზები** — შინაურ წრეში თავს კარგად გრძნობთ, დასაჩუქრდებით.

**15 აპრილი _ ოპტიმისტური დღეა**

**ვერძი** — არაჩვეულებრივი დღეა, გახარებული ხართ. **კურო** — ამ დღეს მხიარულად გაატარებთ. **ტყუპები** — სახლში ნამდვილი დღესასწაულია, მხიარულად ხართ. **კირჩხიბი** — ახალი საქმე გაამართლებს, გარისკვა ღირდა! **ლომი** — წარმატებული დღეა, ბედი გწყალობთ. **ქალწული** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარი საქმე მიიყვანეთ ბოლომდე. **სასწორი** — ფული გაქვთ, შემოსავალი ბევრად იზრდება. **ღრიანკალი** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან საინტერესო ადამიანი ბრუნდება, უარი არ თქვათ შემოთავაზებაზე. **თხის რქა** — შრომა დაგიფასდებათ, იაქტიურეთ. **მერწყული** — რემონტს წამოიწყებთ და მალე მორჩებით. **თევზები** — გადაიხალისეთ გარდერობი, შეხვედრა გაქვთ დანიშნული.

უბცეპდტ,ს ,ტცყბტპ ცქტც=


# 28 მარტიდან

ეყბრფკეპბ გპჯტმნბ

„ახალ თაობასთან“ ერთად იყიდება უნიკალური პროექტის

„ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი“

22-ე ტომი

ფბყინფბყბ

3!)) ობუყიბ4 იტლბც
ბვ ფლფვბფყსფ ,ბჯუპფაბტ,ბ7
პჯვტჯსფნ ლბლბ hდფჯბ
ლფნჯდტც ვცჯაჯბჯ
გჯჯბნბhფიბ7 ვტნყბტპტ,ფცფ
ლფ hეჯნეპფიბ8

უფპტსბ ლფ ობუყბ ტპსფლ
* კფპბ





hპჯცდჯპლბ ფ

**შვეულად**: 1. კლიენტებისთვის ღვინის შემრჩევი მაღალი კლასის რესტორანში; 2. ქართული სპორტული გაზეთი; 3. მუსიკალური წამყვანი დისკოთეკაზე; 4. რომან „დათა თუთაშხია“-ს პერსონაჟი; 6. ისტორიული რკინიგზის ვაგზალი ლონდონში; 9. ტბა, ქალაქი, კანტონი შვეიცარიაში; 13. ფანტასტიკური შინაარსის ხალხური ნაწარმოები; 14. კომპიუტერული თამაშების მოყვარული ადამიანი; 15. კინოფესტივალი საქართველოში; 17. ცხენის ერთგვარი სვლა; 18. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალის, ნორმა ბეიკერის ფსევდონიმი; 20. სასიძო ქორწილში.

**თარაზულად**: 1. მოხარშული და გადაზელილი ქართული ყველი; 5. არწივის ძველი ქართული სახელწოდება; 7. ნახევარკუნძული ევროპაში; 8. საგნის ნატურალური ზომის მოდელი; 10. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 11. ქართველი კინორეჟისორი; 12. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალში; 16. რაიმე ფაქტის, ამბის ერთ-ერთი ახსნა; 17. მაღალყელიანი ფეხსაცმელი; 19. სოფელთა სახელწოდება ჩრდილო კავკასიაში; 21. იაპონური მსუბუქი ავტომობილი; 22. დედამიწის თანამგზავრი; 23. ტროპიკული პალმის ნაყოფი; 24. აეროპორტი მილანში.

შეადგინა თ. გოგინაშვილმა

